პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—78
} მდივნის 10—58
} ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- — რუმინეთში ძლიერდება კამპანია რევოლიუციონერ ბუქორის ციხიდან განთავისუფლების სასარგებლოდ.
- — გერმანიის კომპარტია მოითხოვს რეიხსვერის დაშლას.
- — ამბოხება პლეჩკაიტის „არმიაში".
- — ულტრა - მემარცხენეთა მორიგი დამარცხება გერმანიაში.
- — ირაქის წარმომადგენლის გაწვევა ლონდონიდან.
- — ქალები დიპლომატები საფრანგეთში.
- — ტირასპოლში ხუთ რუმინელ ჯაშუშს მიუსაჯეს დახვრეტა.

კვირა, 19 თებერვალი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 42 (2085)

გავაძლიეროთ შემნახველი სალაროები

5 წლის წინად მოსკოვის კრასნაპრესნიას რაიონში საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა შემნახველ სალაროებს.

მას შემდეგ ეს საქმე თანდათან ფართოვდებოდა და ვითარდებოდა. ამჟამად შემნახველ სალაროებში ანაბარების შემტანთა რაოდენობა 3 მილიონ კაცს უდრის, ხოლო ანაბარების თანხა 227 მილ. მან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმის ასეთი განვითარება უმთავრესად ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მოხდა. შემნახველ სალაროებში წლიურად შეტანილი თანხა, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება, ამჟამად 100-120 მილ. მან. აღწევს.

ასეთია საბჭოთა შემნახველ სალაროების ხუთწლიანი განვითარების ჯამობრივი შედეგები.

დიდია თუ მცირე ეს შედეგები?

საკმაოა თუ არა შემნახველ სალაროებში დაზოგვილი თანხების შეტანის ტემპი? სრულებით არა საკმარისი და მეტად უმნიშვნელოა. ის მოწმობს იმას, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ წვრილ შემონახული თანხების შეგროვების საქმის მოწყობას და განვითარებას.

ამავე დროს კი ის მოთხოვნილებები, რომელთაც სოციალისტური მშენებლობის მსვლელობა უყენებს წვრილ შემონახული თანხების სახელმწიფოს ხელში დაგროვების საქმეს, არა ჩვეულებრივად იზრდება და წინ უსწრებს ჩვენი შემნახველი სალაროების მუშაობას. შემნახველი სალაროები ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც მათ სახელმწიფო უყენებს.

სეზონურ კონიუნქტურულ რყევას ჩვენს ქვეყანაში მეტად მწვავე ხასიათი აქვს, მნიშვნელოვან სამეურნეო მარაგის უქონლობა და საქონლის ნაკლებობის პირობებში სამეურნეო წონასწორობის დაცვისა და მიწოდება - მოთხოვნის შეთანხმებისათვის გაფაციცებით თვალყურის დევნების აუცილებლობა კიდევ უფრო ადიდებს შემნახველ სალაროების მნიშვნელობას, სალაროების, რომლებიც ბაზარს წლის დროის და მიხედვით ანთავისუფლებენ მოთხოვნის ერთგვარი წილისაგან და რომლებსაც დაზოგვილი თანხები გადააქვთ საერთო - სამეურნეო მშენებლობაში.

აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ დიდათ განვითარებულ კაპიტალიზმისა და კულტურული მოსახლეობის ქვეყნები ამ იარაღს გაცილებით უფრო უკეთ და უფრო ფართოდ იყენებენ, ვიდრე ჩვენ.

ვილოთ მაგალითად, გერმანია. 1923 წლის ინფლიაციის შემდეგ, როცა გერმანიის მარკის ღირებულება საბჭოთა ფულის ნიშნებზე უფრო დაეცა, განვლო 4 წელზე მეტმა. და ამ ოთხი წლის განმავლობაში გერმანიის ბურჟუაზიამ შესძლო წვრილი დაზოგვილი თანხების 4 მილიარდი მარკის რაოდენობით დაგროვება, უდავოა, რომ ამ 4 მილიარდიდან მნიშვნელოვანი წილი მოდის გერმანიის მუშებზე და საერთოდ მშრომელებზე.

გამოდის, რომ გერმანიის ბურჟუაზიას უკეთ შეუძლია გერმანიის მშრომელთა მონაგარის შეგროვება, ვიდრე ჩვენ მუშათა სახელმწიფოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მონაგარის.

ეს—ჩვენი სამწუხარო მინუსია. ამის მიზეზი მრავალია (აქ მხედველობაშია მისაღები მოსახლეობის კულტურული დონე, ინდუსტრიალიზაციის დონე ქვეყნის საერთო დაგროვებაში, სოცდაზღვევის საქმის დაყენება ჩვენში და სხ.).

მაგრამ ეს ვერ ახსნის იმ გარემოებას. თუ ჩვენ შემნახველ სალაროებში ყოველთვიურათ შეტანილი თანხის რაოდენობა, რატომ 8-9 მილ. მან. არ აღემატება, იმ დროს, როცა თავისუფლად შეიძლება ამ თანხის ორჯერ მეტად გადიდება.

ცხადია, რომ ამის მიზეზია ჩვენი დაუდევრობა, რომელსაც ჩვენ ვიჩენთ შემნახველ სალაროების ორგანიზაციის საქმეში უნდა ითქვას, რომ შემნახველ სალაროების მუშაობას ჩვენში სტიქიური ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე ორგანიზაციული.

თუ საქმის ასეთ დაყენებას რაიმე გამართლება აქვს სოფლის მიმართ, სადაც ინდივიდუალური გლეხური მეურნეობაა (თუმცა საერთოდ აღიარებულია, რომ აქაც საჭიროა გარდატეხა შემნახველ სალაროების მუშაობაში), ყოველ შემთხვევაში ქალაქის მიმართ ამ დაუდევრობას არავითარი გამართლება არა აქვს. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ქალაქის მშრომელები და პირველ რიგში მუშები მხურვალედ ეხმაურებიან მთავრობის მოწოდებს დაეხმარონ მას დაზოგვილ თანხების შეგროვებაში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის. მაგრამ ჩვენ ვერ ვიყენებთ (ორგანიზაციულად და ტექნიკურად) ამ გამოხმაურებას, და ამაში დამნაშავეა შემნახველი სალაროები.

პატარა ფაქტი: შემნახველ სალაროების არსებობის ხუთი წლის თავზე ჩვენ არა გვაქვს სამუშაო ხელფასის შემნახველ სალაროების საშუალებით გაცემის განზოგადოებული გამოცდილება.

ამავე დროს კი საკმარისია რამდენიმე ციფრის მოყვანა (შეერთებული თვიური ხელფასის რაოდენობის შესახებ და სხ.), რათა დავრწმუნდეთ, რომ ეხლაც კი, სოფლის ფართო მონაწილეობის გარეშეც, შეგვიძლია ორჯერ გავადიდოთ ის 8—9 მილიონი მ., რომელიც ამჟამად ყოველ თვიურად შედის მეშნახველ სალაროებში.

აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ დაზოგვილ თანხების დაგროვების ამოცანები მხოლოდ ქალაქის მასშტაბით იჭრება. სრულიადაც არა. საჭიროა ახსნა-განმარტება, რომ შემნახველი სალაროების საქმის განვითარება სოფლად მოითხოვს განსაკუთრებით სერიოზულ ყურადღებას. გლეხობაში დაგროვილია მნიშვნელოვანი თავისუფალი თანხები საჭიროა ყოველნაირი ღონისძიების ხმარება, რათა ეს თანხები მოვაქციოთ შემნახველ სალაროებში. ეს ხელს შეუწყობს სამეურნეო წონასწორობის დაცვასა და ჩვენს მეურნეობაში არსებულ მწვავე მდგომარეობის შენელებას.

მაგრამ ჩვენ ვიძლევით გაფრთხილებას, რომ სოფლად არ იქნეს შესუსტებული მუშაობა შემნახველ სალაროების განვითარების დარგში იმ საბაბით, რომ ეს მუშაობა ქალაქში სწარმოებს არა სათანადო ტემპით საქმის უცოდინარობის გამო. უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში დაზოგვილ თანხების ახალ დაგროვებას 700-800 მილ. მან. განსაზღვრავენ. ეს მინიმალური პროგრამაა. ამ პროგრამით გათვალისწინებული ტემპი [illegible] არ განსხვავდება იმ ტემპისაგან, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს, ამავე დროს კი ჩვენ უნდა დავისახოთ უფრო გაბედული ამოცანა — ხუთწლედის დასასრულს, — სახელდობრ — გადავაქციოთ შემნახველი სალაროები მშრომელთა ყოფა - ცხოვრებასთან დაკავშირებულ მოვლენად.

მშრომელთა დაზოგვილი თანხების დაგროვება შემნახველ სალაროების საშუალებით ინდუსტრიალიზაციის მიზნებისათვის ყოფა - ცხოვრებრივ მოვლენად უნდა იქცეს.

შემნახველ სალაროების მუშაობას მხარს დაუჭერენ პრესა და მასიური ორგანიზაციები, ამ საქმეს, უეჭველად, თანაგრძნობით შეხვდებიან მშრომელნიც.

მაგრამ საჭიროა დაგროვების ორგანიზაცია, ყოველნაირი გზების გამოყენებით (მიზნობრივი დაგროვება, მაგალითად, ბინისათვის, სამუშაო ხელფასის გაცემა შემნახველ სალაროების საშუალებით, ფულის მიღებისა და გაცემის ტექნიკური ორგანიზაცია და სხ.).

საჭიროა ამ ყოფა - ცხოვრების ორგანიზაცია. დავეწიოთ და გაუსწროთ განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებს მშრომელთა დაზოგვილი თანხების დაგროვების საქმეში — ასეთია ამოცანა.

„პრავდა" 18 თებერვალი.

შრომის კონფლიქტების გაჭიანურების შესახებ *)

(ამხ. ლარინის პროექტის გამო)

გაზეთ „პრავდა"-სა და „ტრუდ"-ში გამოქვეყნებული იყო ამხ. ლარინის წინადადებები შრომის კონფლიქტების გარჩევის წესის განმარტივების შესახებ. ამ წინადადებებმა გამოიწვია დისკუსია, როგორც მოსკოვში, ისე სხვა ქალაქებშიაც. თბილისშიც პროფკავშირების საბჭომ მოაწყო ამ საკითხის შესახებ თათბირი.

აღსანიშნავია, იუსტიციის ზოგიერთ მუშაკების მიდგომა ამ საკითხისადმი. მათი განცხადებით, საქართველოში ამ მხრივ ყველაფერი წესიერათ არის, მუშა - მოსამსახურეების საჩივრები დროზე იხილება, ზედმეტი ინსტანციები არ არის და ამიტომ არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა შრომის კონფლიქტების მსვლელობა - გარჩევის არსებულ წესებში საჭირო არ არის.

მოუსმინეთ თუ გინდ შრომის პროკურორს ამხ. ამიროვს. „ზარია ვოსტოკა" 12 თებერვლის ნომერში ის აცხადებს, რომ ჩვენში შრომის კონფლიქტების ისეთი გაჭიანურება არ არის, როგორც მოსკოვში. ამას ამბობს ისეთი პირი, რომელიც მასზე დაკისრებულ მოვალეობით ვალდებულია ებრძოლოს გაჭიანურების შემთხვევებს.

სინამდვილეს თუ არ დავფარავთ და „ჩინოვნიკურათ" არ მივუდგებით საკითხს, უნდა ვთქვათ, რომ ძალიან იშვიათი არის სასამართლოში აღძრულ შრომის საქმეების ერთი თვის განმავლობაში დამთავრების შემთხვევები. არის არა ერთი და ორი შემთხვევა შრომის საქმეების წელიწადზე მეტი გაჭიანურებისა. შეიძლება, სასამართლოს მუშაკები ამას ნორმალურ მდგომარეობათ სთვლიდნენ? ძველ დროსთან შედარებით შეიძლება ახლანდელი მდგომარეობა უფრო უკეთესათ ჩაითვალოს. მაგრამ ეს საზომი და შედარება ჩვენთვის გამოუსადეგია.

რამდენი ინსტანცია არსებობს ჩვენში შრომის კონფლიქტების გასარჩევათ? მოსკოვში ჩაუტარებიათ სპეციალური გამოკვლევა, რომლის დასკვნით ფაქტიურათ არსებობს 24 ინსტანცია. ჩვენი სასამართლოს მუშაკები ამტკიცებენ, რომ საქართველოში არსებობს მხოლოდ ორი ინსტანციაო. ცხადია, ეს მტკიცება ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს. ფაქტიურად ჩვენშიაც დაახლოვებით 24 ინსტანცია არის. იუსტიციის მუშაკთა ეს შემცდარი მტკიცება აიხსნება მათ მიერ საკითხებისადმი ფორმალური მიდგომით. (ბევრი კიდევ ვერ განთავისუფლებულა ამ ფორმალურ მიდგომისაგან!).

აი ინსტანციების მთელი რიგი: შემფასებელ - საკონფლიქტო კომისია, შრომის ინსპექტორი, შრომის კომისარიატი, მომრიგებელი კამერა, სამედიატორო სასამართლო, შრომის სასამართლო, უზენაესი სასამართლო კოლეგია, უზენაეს სასამართლოს პლენუმი, შრომის პროკურორი და სხვა. ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თვითეულ ზევით მოყვანილ ინსტანციაში ერთი და იგივე საქმე რამოდენიმეჯერ ირჩევა. მაგალითად, შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიაში ერთჯერ გარჩეული საქმე, შრომის ინსპექტორის და შრომის კომისარიატის მიერ გაუქმებული, ხელმეორეთ უნდა გაირჩეს. ასევე ხდება შრომის სასამართლოშიაც. სასამართლოს დადგენილება გადადის უზენაეს სასამართლოში და შემდეგ (თუ გაუქმებული იქნება) ბრუნდება კიდევ სასამართლოში ხელახლა გასარჩევათ. ყველა ამას თუ მივიღებთ მხედველობაში, ფაქტიურათ გამოვა 24 ინსტანციაზე მეტი.

ამხ. ლარინის წინადადება მიმართულია ამ ინსტანციების შემცირებისაკენ. ეს კი ჩვენი იუსტიციის ზოგიერთ მუშაკთა უკმაყოფილებას იწვევს. „როგორ შეიძლება ამ წესის შეცვლა! ეს ხომ უკანონობა არის! ლარინის ორიგინალური წინადადებების ცხოვრებაში გატარება მთლიანათ შესცვლის არსებულ წესს. ეს უვიცობაზე არის დამყარებული!" ასეთ და სხვა ამგვარ მსჯელობას ადგილი ქონდა თბილისში გამართულ თათბირზე. ამხ. ლარინის მომხრეებს ირონიით ხვდებოდენ იუსტიციის მუშაკები და უწოდებდენ „საქართველოს ლარინებს". ამ შემთხვევისათვის გასახსენებელია ამხ. სტალინის შემდეგი სიტყვები: „ჩვენში ყოველთვის ზოგი რამ კვდება ცხოვრებაში. მაგრამ იმას, რაც კვდება, არ სურს მოკვდეს უბრალოთ, არამედ იბრძვის თავისი არსებობისათვის და იცავს თავის დრომოჭმულ საქმეს".

როგორი სახით უნდა გატარდეს შრომის კონფლიქტების გარჩევის წესის რეორგანიზაცია?

შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიაში კონფლიქტების გარჩევა უნდა ხდებოდეს ნებაყოფლობით. თუ თვით მუშა-მოსამსახურეს სურს, მხოლოდ მაშინ უნდა ირჩეოდეს მისი საკითხი შემფ.-საკ. კომისიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უფლება აქვს უშუალოდ მიმართოს შრომის სასამართლოს. ეს ზომა ფრიად საჭიროა, ვინაიდან არის შემთხვევები, როცა კომისიის მუშათა ფრაქციის წევრები ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და მუშა-მოსამსახურის ინტერესებს სათანადოთ ვერ იცავენ. ამას გარდა, შემფასებელ-საკონ. კომისიის ბევრი წევრი არ არის გაცნობილი შრომის კანონმდებლობას კარგათ და ამიტომ ხშირათ კონფლიქტი მუშაკის სასარგებლოდ არ იჭრება.

მუშა - მოსამსახურეს უნდა მიეცეს უფლება საქმე გაასაჩივროს და მისი ხელახალი გარჩევა მოითხოვოს სასამართლოში, და ეს იმ შემთხვევებშიაც, თუ შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიის დადგენილება მის სასარგებლოდ არ არის გამოტანილი. ყველა მოქალაქეს აქვს სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების უფლება. მით უმეტეს მუშა - მოსამსახურეს უნდა ქონდეს უფლება შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიის დადგენილების გასაჩივრებისა. გასაჩივრება დასაშვებია არსებითათ იმისდამიუხედავათ, აუქმებს თუ არა შრომის ორგანო შემფ. - საკონ. კომისიის დადგენილებას.

უნდა მოისპოს სრულებით მომრიგებელი კამერა, ვინაიდან ფაქტიურად მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუ მხარეებს შეუძლიათ მორიგება, შრომის კომისარიატის ორგანოების ჩაურევლადაც მორიგდებიან. პრაქტიკამ დაამტკიცა მომრიგებელ კამერების სრული უნიადაგობა.

წვრილმან საქმეების ირგვლივ (150 მანეთამდე) შრომის სასამართლოს თავმჯდომარეს უნდა გამოქონდეს ბრძანებები და ამისათვის საჭირო არ არის სხდომების მოწვევა. არსებული კანონებით წვრილმან უდავო საქმეების გამო ბრძანების გამოტანის უფლება აქვთ მინიჭებული სასამართლოების თავმჯდომარეებს, მაგრამ ამ უფლების გამოყენება ძლიერ იშვიათათ ხდება.

უნდა გატარდეს ცხოვრებაში ამხ. ლარინის წინადადება შრომის სასამართლოში გარჩეულ მუშა - მოსამსახურეთა საქმეების კასაციის ან ზედამხედველობის წესით გასაჩივრება — გაუქმების შესახებ. პირველი ინსტანციის დადგენილება უნდა იყოს საბოლოვო და მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება დაშვებული იქნეს მისი გასაჩივრება: როცა მუშა - მოსამსახურისათვის არა სასარგებლო დადგენილების გასაჩივრების მომხრე არის კავშირი ან როცა მისჯილია ათას მანეთზე მეტი და სამეურნეო ორგანიზაცია არ სცნობს ამას კანონიერად. არსებული პრაქტიკაც ამ წესის სასარგებლოდ ლაპარაკობს. შრომის სასამართლოს დადგენილებათა დაახლოვებით 10-12 პროც-ის გაასაჩივრება ხდება; უქმდება უმაღლეს სასამართლოს მიერ მხოლოდ 1 ½ პროცენტი.

შრომის პროკურორის ამხ. ამიროვის პროექტით კასაცია ყველასათვის უნდა მოისპოს, მხოლოდ შრომის პროკურორს (ესე იგი მას) უნდა მიეცეს ზედამხედველობის წესით შრომის სასამართლოს დადგენილებათა გასაჩივრების უფლება. (განურჩევლად იმისა, თუ რა საქმე არის და ვის სასარგებლოდ გადაწყდა). ცხადია ეს წესი ყოვლად დაუშვებელია, მისი შემოღება ნიშნავს შრომის პროკურორის პიროვნულ შეხედულებასთან საქმის ბედ-იღბლის დაკავშირებას.

უნდა შეიცვალოს კასაციის წესიც. უმაღლეს სასამართლომ შრომის სასამართლოს დადგენილების გაუქმების შემთხვევაში თვით უნდა შეიტანოს არსებითათ ცვლილება დადგენილებაში და ის არ უნდა აბრუნებდეს საქმეს ხელახლა გასარჩევათ.

უნდა შემცირდეს შრომის კონფლიქტების სხვადასხვა ინსტანციებში გარჩევის ვადა: შემფასებ. - საკ. კომისიაში 24 საათი (სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში ეს ვადა არის მიღებული), — შრომის ორგანოებში — 2 დღე, შრომის სასამართლოში — ერთი კვირა, (საქმის შესვლიდან სრულ დამთავრებამდე), უმაღლეს სასამართლოში — ერთი კვირა. ეს შემცირებული ვადებიც იძლევა ერთად ხანგრძლივ დროს (სამი კვირა — ერთი თვე). იუსტიციის მუშაკებმა ამას უწოდეს დაცინვით „საქმის გარჩევის მექანიზაცია". მიუხედავათ ამისა, ეს ვადები უნდა ჩაითვალოს მაქსიმალურათ (შემდეგში კიდევ უნდა შევამციროთ) და ამ ვადების გადაცილებისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი.

უნდა მოისპოს შრომის სასამართლოებში საქმის გადადების ფრიად ფართო პრაქტიკა. შექმნილი წესით, სამეურნეო ორგანოს წარმომადგენელს თუ არ მოეხასიათა მოსვლა, ან გამოცხადდა, მაგრამ გუნებაზე ვერ არის, ან დაავიწყდა პორტფელის მოტანა,— საქმე იდება „შემდეგისათვის" (ესე იგი ერთი — ორი კვირით ან მეტი დროთი) ეს წესი უნდა მოისპოს. კანონშიაც ამისთანა არაფერი წერია. თუ მოპასუხე არ ცხადდება არა საპატიო მიზეზების გამო, არსებული კანონით საქმე ირჩევა მის დაუსწრებლადაც.

მოწმეების დანიშვნის წესიც უნდა შეიცვალოს. აქამდე საქმე ინიშნებოდა და სხდომის გახსნის შემდეგ შემოდიოდა განცხადება საქმის გადადების და ახალი მოწმეების დანიშვნის შესახებ. ამის მაგივრათ უნდა შემოვიღოთ შემდეგი წესი. მხარეებს ეგზავნებათ უწყება: თუ მათ სურთ მოწმეების დანიშვნა, ორი დღით ადრე უნდა მივიდენ და განაცხადონ სასამართლოში. ამრიგად დანიშნული სხდომის გადადება საჭირო არ იქნება.

უნდა მოისპოს აგრეთვე საქმის დანიშვნის ის არანორმალური წესი, რომელიც ახლა არსებობს. ახლა თუ დღეში გასარჩევია 10 საქმე, ყველას ნიშნავენ დილის 9 ან 10 საათზე და არა სხვა დაახვა საათებში. მოდიან, იცდიან და დრო ეკარგებათ.

ს. გოდაბრელიძე.

გერმანელ მელითონეების ბრძოლა

შეთანხმება ჩან-კაი-შისა, ფინ-იუ-სიანისა და ენ-სი-შანს შორის

ამერიკის ჰეგემონიის საკითხი პან-ამერიკულ კონფერენციაზე

კლასობრივი ბრძოლა გერმანიაში

ბერლინი, 17 თებერვალი. ფაბრიკების მუშათა კავშირის მიერ კელნში მოწვეულმა კონფერენციამ წინადადება მისცა კავშირის სექციებს დაუყოვნებლივ განიხილონ საკითხი სატარიფო ხელშეკრულებათა ჩაშლის შესახებ. ეს დადგენილება ვრცელდება ლიდიგსჰაფენზე, მაინის ფრანკფურტზე, კელნზე, ესენზე, ჰამბურგზე და შუა-გერმანიაზე და ეხება 100,000-ზე მეტ მუშას. ქრისტიანული პროფკავშირები შეუერთდნენ ამ დადგენილებას (ადს).

ბერლინი, 18 თებერვალი. თანახმად ლითონის მრეწველთა კავშირის დადგენილებისა საყოველთაო ლოკაუტის შესახებ, კავშირის ორგანიზაციებმა ბადენში და პფალცში გასცეს განკარგულება 22 თებერვლიდან ყველა წარმოებებიდან მუშების დათხოვნის შესახებ. ბადენში ლოკაუტი შეეხება 45.000 მელითონეს, პფალცში — 20.000-ს. (ადს).

ბერლინი, 18 თებერვალი. შრომის სამინისტროში გუშინ შემდგარი თათბირი შუა-გერმანიის ლითონის მრეწველობაში წარმოშობილ კონფლიქტის შესახებ უშედეგოდ დამთავრდა. ამ მოლაპარაკების შემდგომ შემდგარმა მომრიგებელმა კამერამაც ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღო. ყველა მწარმოებლებმა, რომლებიც შედიან ლითონის მრეწველობის ბერლინელ მწარმოებელთა კავშირში, გამოაცხადეს, რომ ითხოვენ მუშებს 22 თებერვლიდან. ეს გადაწყვეტილება შეეხება 250.000 მელითონეს. მელითონეთა რეფორმისტულ კავშირის ბერლინის კომიტეტი მოუწოდებს ყველა ბერლინელ მელითონეებს იხელმძღვანელონ მხოლოდ და მხოლოდ მელითონეთა კავშირის განკარგულებებით, მაგრამ ამასთანავე არავითარ კონკრეტულ წინადადებას არ იძლევა. კომპარტიის ბერლინის საოლქო კომიტეტი მოუწოდებს ბერლინელ მუშებს გადამწყვეტ ბრძოლისაკენ შუა გერმანიის მელითონეთათვის დახმარების აღმოსაჩენად კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. კომპარტიამ წინადადება მისცა პროფკავშირთა სრულიად გერმანიის რეფორმისტულ გაერთიანების კომიტეტს, რომ ორშაბათს გამართოს ყველა გერმანელ მუშების საპროტესტო დემონსტრაცია ლოკაუტის წინააღმდეგ. კომიტეტმა ეს წინადადება უარყო. კომპარტიის ბერლინის საოლქო კომიტეტი მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს მოიწვიონ მუშათა საერთო კრებები ბერლინის ყველა წარმოებებში, რათა პროფკავშირთა ორგანიზაციებმა წარადგინონ მთელი რიგი მოთხოვნილებები. (ადს).

ბერლინი, 18 თებერვალი. ლითონის მრეწველთა კავშირებმა კელნის, აახენის და დიურენის ოლქებში ლოკაუტი გამოუცხადეს ამ წარმოებათა მუშებს 8 მარტიდან. ამ რაიონების მწარმოებლები არ შედიან ლითონის მრეწველთა სრულიად გერმანიის კავშირში, რომელმაც ლოკაუტი გამოაცხადა 22 თებერვლიდან, ისინი ლოკაუტს ცალკე აცხადებენ. ბერლინის ლითონის სამრეწველო წარმოებათა ტექნიკურ და კანცელარიის მოსამსახურეთა სადელეგატო კრებამ ერთხმად დაადგინა განუცხადოს მწარმოებლებს, რომ მოსამსახურეები უარს აცხადებენ მომქმედ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე სოლიდარობის ნიშნად ლოკაუტ გამოცხადებულ მუშებისადმი. (ადს).

გერმანია საბჭ. კავშირის მოლაპარაკება

ბერლინი, 17 თებერვალი. გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკება, რომელიც დაიწყო 11 თებერვალს, გრძელდებოდა უკანასკნელ დღეების განმავლობაში. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ ვოლხოტმა და საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა შლეიფერმა გამოსთქვეს თავიანთ მთავრობების პრინციპიალური შეხედულებანი ორივე ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობის საკითხებზე. შემდეგ ორივე დელეგაცია შეუდგა მხარეების მიერ წარმოდგენილ მასალების საერთო განხილვას. მასალების განხილვის შემდეგ მუშაობას დაიწყებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანოებისა და გერმანიის მეურნეობას შორის საქმიანი ურთიერთობის მომწესრიგებელი კომისია, გერმანია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სტატისტიკურად შემსწავლელი კომისია და უფლებრივ საკითხების კომისია. კომისიები მუშაობას დაიწყებენ 20 თებერვალს (ადს).

კომპარტია მოითხოვს რეიხსვერის დაშლას

ბერლინი, 17 თებერვალი. რეიხსტაგში თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს კომპარტიის სახელით გამოსულმა შნელერმა მოითხოვა რეიხსვერის დაშლა და მისი შეცვლა მშრომელთა მილიციით. ვინაიდან რეიხსტაგმა უარყო ეს მოთხოვნილება, კომპარტია აყენებს შემდეგ მოთხოვნილებებს: სამხედრო მოსამსახურეებს მიეცეს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, პოლიტიკურ კრებებში მონაწილეობის მიღების და ჯარისკაცთა პროფკავშირების შექმნის უფლება; მოსპობილ იქნას შეზღუდვა კორწინების დარგში, მოხალისენი მიღებულ იქნან მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შემდგარ კომისიების საშუალებით, მოსპობილ იქნას ოფიცრების პრივილეგიები, შემოღებულ იქნას უფროსთა შემადგენლობის არჩევა და სხვ. (ადს).

პან-ამერიკულ კონფერენციაზე

ბანკირებმა გაიმარჯვეს

ნიუ-იორკი, 17 თებერვალი. პან-ამერიკულ კონფერენცია გავანაში იხილავს კონფერენციის პან-ამერიკული კავშირის რეორგანიზაციის პროექტს. უარყოფილ იქნა ყველა წინადადებები, რომელთა მიზანი იყო შეერთებულ შტატების ბატონობის შესუსტება კავშირში. კავშირის გამგეობა წინანდებურად ვაშინგტონში იქნება. კავშირის თავმჯდომარეთ რჩება შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრი. შეერთებულ შტატების დელეგაციის მოთხოვნით კონფერენციამ მოიწონა საავიაციო კონვენცია, რომლის თანახმად შეერთებული შტატები კონტროლს უწევენ საჰაერო მიმოსვლას ამერიკის ყველა ქვეყნებს შორის (ადს).

ულტრა-მემარცხენეთა მორიგი დამარცხება

ბერლინი, 17 თებერვალი. ერფურტში ფეხსაცმელების მრეწველობის მუშათა პროფესიონალურ გაერთიანების გამგეობის არჩევნებზე მასლოვის ჯგუფმა წამოაყენა კანდიდატთა დამოუკიდებელი სია. რევოლიუციონურ მუშების შენიშვნაზე, რომ მასლოვის ჯგუფი ამით აძნელებს კომუნისტების კანდიდატების გაყვანას და ამრიგად ხელს უწყობს რეფორმისტებს, მასლოვის მიმდევრებმა განაცხადეს: „ეს ჩვენთვის სულ ერთიაო".

მიუხედავად მასლოვის მიმდევართა ცდისა, დაექსაქსათ ხმები, პროფკავშირის გამგეობაში არჩეულ იქნენ კომუნისტურ პარტიის კანდიდატები, მასლოვის ჯგუფიდან ვერ გავიდა ვერც ერთი კანდიდატი (ადს).

შეტევა მემაღაროეებზე

ლონდონი, 17 თებერვალი. მთავრობა განაგრძობს ზომების მიღებას, რომ სამხრეთ უელსის უმუშევარ მემაღაროეებს არ აღმოეჩინოს დახმარება.

ბედველების ოლქში მთავრობის კომისრებმა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დირექტივების თანახმად, დაშალეს მზრუნველობის ბიურო. ჯანმრთელობის სამინისტრო ყოველგვარ ზომებს მიმართავს, რათა მინიმუმამდე შეამციროს უმუშევართა დახმარება. უმუშევართა დამხმარე ფონდს, რომელიც თვით მემაღაროეებმა მოაწყვეს, განუწყვეტლივ მოსდის თხოვნები დახმარების შესახებ იმ პირთაგან, რომლებიც სახელმწიფოს დახმარებით უნდა სარგებლობდენ

მდგომარეობა ჩინეთში

ჩან-კაი-შიმ გასცა ბრძანება შეტევის შესახებ

პეკინი, 17 თებერვალი. პრესის ცნობით, ჩან-კაი-შიმ უბრძანა ბაი-ცზუნ-ჩისა და ჩენ-ჩიენს დაძრან თავისი ჯარები მუკდენელების წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაემორჩილენ ამ ბრძანებას, ჩან-კაი-ში ემუქრება მათ, რომ დაამარცხებს მათ ფინ-იუი-სიანის დახმარებით (ადს).

„დიდი დანების" მოძრაობა

პეკინი, 17 თებერვალი. როგორც ტოხოს სააგენტო იუწყება, ლინცზიანის რაიონში, მანჯურიაში, ისევ გამოჩნდნენ „დიდი დანები" (გლეხთა რაზმები). ჟანდარმერიასთან ბრძოლის შემდეგ „დიდმა დანებმა" უკან დაიხიეს და დაიკავეს რამოდენიმე სოფელი. გაზეთი „შუნ-ტიენ-ში-ბაო", რომელიც გამოხატავს იაპონელთა თვალსაზრისს, სწერს, რომ „დიდი დანების" მოძრაობის ჩახრჩობა არ შეიძლება არავითარი ზომებით, სანამ გაუმჯობესებული არ იქნება მასების მდგომარეობა.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს „დიდი დანები" მარცხდებიან იარაღის ნაკლებობის გამო (ადს).

ბაო-ცზუნ-ჩის ჯარები წინ მიიწევენ

შანხაი, 17 თებერვალი. ხანკოუდან იუწყებიან, რომ ბაო-ცზუნ-ჩის არმიამ ხუნანის პროვინციაში დაიკავა ბაოცინი 230 კილომეტრის მანძილზე ჩანშადან სამხრეთ-დასავლეთით. (ადს).

კანტონში სიკვდილით დასაჯეს 50 კომუნისტი

შანხაი, 17 თებერვალი. კანტონიდან იუწყებიან, რომ იქ სიკვდილით დასაჯეს 50 კომუნისტი. მათ ბრალდებათ პოლიტიკური ტუსაღების ციხიდან გაქცევის მოწყობის ცდა. (ადს).

სამფლობელოების გაყოფა სამხრეთ ჩინეთში

ტოკიო, 17 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ჩან-კაი-შისა, ფინ-იუი-სიანსა და ენ-სი-შანს შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგ საფუძვლებზე:

1) ფინ-იუი-სიანი კისრულობს შუამავლობას იმ მიზნით, რომ მოაგვაროს უთანხმოება უხანსა და ნანკინს შორის; 2) ჩან-კაიში და ენ-სი-შანი ვალდებულებას ღებულობენ მხარი დაუჭირონ ფინ-იუი-სიანს შეტევას შანდუნის წინააღმდეგ; 3) ფინ-იუი-სიანი და ჩან-კაიში ცნობენ შანსის პროვინციის ავტონომიას. (ადს).

მღელვარება საბერძნეთში

პანგალოსი გადაყვანილია ათინაში

ვენა, 17 თებერვალი. ბალკანეთის პრესის ცნობით, საბერძნეთის ყოფილი დიქტატორი პანგალოსი კუნძულ კრიტიდან ნაღმოსანით გადაიყვანეს ათინაში, სადაც ის წარსდგება პარლამენტის სამსჯავროს წინაშე (ადს).

კომინტერნის აღმასკომის მეცხრე პლენუმი

კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო

ამხ. სენ-კატაიამას სიტყვა

ამხ. კატაიამა (იაპონია) აცხადებს, რომ იაპონიაში, გარდა ერთად-ერთი წერილისა, რომელიც ვიღაც სტუდენტმა მოათავსა სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ლეიბორ"-ში, არ არსებობს ტროცკიზმის არავითარი ნიშნები. ამ წერილში ავტორი ტროცკის უწოდებს „მარქსიზმის და ლენინიზმის ჭეშმარიტ ბელადს". „ჩვენში—ამბობს ამხ. კატაიამა—არ არის ტრენი, სუვარინი, რუტ ფიშერი ან მასლოვი და ამგვარი ხალხი. ამიტომ იაპონიაში ჩვენ არ გვეშინია, რომ მუშები და გლეხები შეცდომაში იქნებიან შეყვანილი ტროცკიზმის მიერ. ამჟამად როცა არსებობს კომინტერნი და მისი სექციები, როცა ყველა ქვეყნებში არსებობს საბჭოთა კავშირის მეგობართა ორგანიზაციები, ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოწყობა, ტროცკის პირადი როლის გამომჟღავნება რუსეთის რევოლიუციის ისტორიაში—შედარებით ადვილი საქმეა. ტროცკი კომინტერნს და საკავშირო კომპარტიის ცეკას ბრალს სდებს შეცდომებში, ფრაქციულობაში და ტერმიდორიანობაში. კომინტერნის სექციებმა, რომლებიც არსებობენ ყველა ქვეყნებში, უნდა გააცნონ მთელი ქვეყნის მუშებს და გლეხებს ნამდვილი ფაქტები, რომლებიც ღაღადებენ ტროცკისა და ტროცკიზმის წინააღმდეგ, მაგალითად, ოპოზიციის გამოსვლა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის დროს. საჭიროა გავაცნოთ მუშებს ტროცკის საქციელი ლენინის გარდაცვალების შემდეგ, პარტიული დისციპლინის არა ერთხელ დარღვევა მის მიერ და მეორე პარტიის დაარსების ცდა (ადს).

ამხ. ილეკის სიტყვა

ამხ. ილეკი (ჩეხო-სლოვაკია) ეხება ოპოზიციონურ ჯგუფებს ჩეხო-სლოვაკიაში და აღნიშნავს, რომ ასეთი ჯგუფი არის სამი: ულტრა-მემარცხენე—მიხალეცის, პოლაკის და ნეირატის მეთაურობით, ოპორტუნისტები—ეცერის და ტაურიკის მეთაურობით და ლიკვიდატორები—ხკალა, გოროვსკი, ბულა, გერლიკი და სხვ.. ყველა ეს ჯგუფები აწარმოებენ ბრძოლას პარტიისა და კომინტერნის წინააღმდეგ.

ახასიათებს რა ლიკვიდატორების პლატფორმას, ამხ. ილეკს მოჰყავს ციტატები გოროვსკის ბროშურიდან „ლენინიზმის დამარცხება ევროპაში".

ამ ბროშურაში გოროვსკი სწერს: „ლენინიზმის სტრატეგია ევროპაში გამოუსადეგარია, ამის მიზეზია ის, რომ ბოლშევიზმი ერთდა იმავე ტაქტიკურ მითითებებს იძლევა ყველა ქვეყნებისათვის".

მეორე ბროშურაში გოროვსკი ამტკიცებს, რომ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია უფსკრულის პირას სდგას. „დაბრკოლებები, რომლებიც სდგას ევროპის კომუნიზმის წინაშე,—სწერს გოროვსკი,—გამომდინარეობენ ორ გარემოებიდან: ევროპის კომუნიზმი დამოკიდებულია რუსეთის კომპარტიისაგან და მას მექანიკურად შენარჩუნებული აქვს ორგანიზაციის რევოლიუციონური ფორმები და რევოლიუციონური აზროვნება არა რევოლიუციონურ დროში".

„ულტრა-მემარცხენე მიხალეცი,—ამბობს ამხ. ილეკი,—შემდეგნაირად მსჯელობს: საჭიროა ბრძოლა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელიც შემცდარ გზაზე სდგას, და ვინაიდან ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ხაზი შეთანხმებულია კომინტერნთან და საკავშირო კომპარტიასთან, ამიტომ ბრძოლა გადატანილ უნდა იქნეს საერთაშორისო ასპარეზზე".

„ულტრა-მემარცხენეთა შორის—ამბობს ამხ. ილეკი—რამოდენიმეთ განსხვავებული მდგომარეობა უჭირავს ნეირატს. ის არის კამენევის და ზინოვიევის მომხრე. ნეირატი გაურბის აშკარად გამოსვლას და ხშირად აცხადებს, რომ ის მზადაა შეასრულოს პარტიის გადაწყვეტილებანი. მიუხედავათ ამისა, პრაქტიკაში ის ატარებს ოპოზიციონურ ხაზს და ცდილობს ოპოზიციონურ გზაზე დააყენოს ის ამხანაგები, რომლებთანაც მას უხდება მუშაობა. ამ ბოლო დროს ნეირატი უახლოვდება პარტიის თვალსაზრისს".

ეხება რა სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებას ტროცკისტებთან, ამხ. ილეკი ამბობს:

„ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატები, თავის თავად ცხადია, დახმარებას უწევენ ტროცკისტებს, მაგრამ ნიღაბ აფარებული ფორმით. ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადები ფრიც ადლერის მსგავსათ აცხადებენ, რომ არ შეიძლება ჩამოშორდეს პოლიტიკურ ასპარეზს ისეთი კაცი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია რუსეთის რევოლიუციას, და სხვ.. მიუხედავათ იმისა, რომ ჩეხო-სლოვაკიის ტროცკისტები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ პარტიის წინააღმდეგ, უკანასკნელი სულ ახალ-ახალ პოზიციებს იპყრობს მუშათა კლასში. ამას მოწმობს თუგინდ პარტიის ის გამარჯვება, რომელიც მან მოიპოვა ჩეხო-სლოვაკიის უკანასკნელ მუნიციპალურ არჩევნებში. პარტიის წევრთა ფართე მასაში არ არსებობს ორი აზრი ტროცკიზმის შესახებ. პარტია გადაჭრით და ერთსულოვნად გმობს ტროცკიზმს.

ამხ. ილეკს მოჰყავს დამახასიათებელი მაგალითები იმისა, თუ როგორია პარტიის უბრალო წევრების დამოკიდებულება ტროცკისტებისადმი. მიხალეცმა თავისი უჯრედის საერთო კრებაზე მოითხოვა სიტყვა თავისი პროგრამის განსამარტავად. კრებამ მას სიტყვის წარმოთქმისთვის მისცა ერთი საათი. დროს გასვლის შემდეგ უჯრედის ერთ-ერთმა წევრმა კრებაზე შეიტანა წინადადება განეგრძოთ დრო მიხალეცისთვის, რათა უკანასკნელს დაწვრილებით დაესაბუთებია თავისი თვალსაზრისი. როცა მიხალეცმა დაამთავრა სიტყვა უჯრედის ერთ-ერთი წევრი მუშა ადგა და მოითხოვა მიხალეცის დაუყოვნებლივ გამორიცხვა პარტიიდან. წინადადებას კენჭი უყარეს და ის ერთხმად იქნა მიღებული.

ჩეხო-სლოვაკიის მუშები იბრძვიან ოპოზიციის ცდებს დეზორგანიზაცია შეიტანოს პარტიის მუშაობაში.

ამხ. განსენის სიტყვა

ამხ. განსენი (ნორვეგია) აცხადებს, რომ ნორვეგიის კომპარტია სავსებით ეთანხმება ამხ. ბუხარინის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ წარმოადგენს შემადგენელ ნაწილს კომუნისტურ პარტიების ბრძოლისას სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. ნორვეგიის სოციალ-დემოკრატია ყველაზე უფრო „მემარცხენე" მსოფლიოში, კიდევ უფრო „მემარცხენეა", ვინემ ავსტრიის სოციალ-დემოკრატია. ამ სოციალ-დემოკრატიის რიგებში არიან ტრანმელის მსგავსი რენეგატები, რომლებიც ფართედ იყენებენ ტროცკისტულ ოპოზიციის არგუმენტებს. „როგორც კი დამთავრდა ნორვეგიის პროფკავშირთა ყრილობა,—ამბობს ამხ. განსენი,—სადაც ჩვენ გვქონდა საკმაოდ დიდი მიღწევები, ყრილობა, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა „საბჭოთა კავშირის მეგობართა" მსოფლიო კონგრესის დადგენილება და აიღო კურსი საბჭოთა კავშირის პროფკავშირებთან მთლიანობის კომიტეტის შექმნაზე, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ტროცკისტულ ოპოზიციის გამოყენების გარდა, ტრანმელს არავითარი სხვა იარაღი არ გააჩნია ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში. დისკუსიის დასაწყისში ტრანმელმა განაცხადა, რომ ის ეთანხმება ამხ. სტალინის პოლიტიკას, როგორც „ერთად ერთ შესაძლო პოლიტიკას". შემდეგ ტრანმელმა ახალი კურსი აიღო, ის უკვე აღარ თანაუგრძნობს ამხ. სტალინს, რუსეთის კომპარტიას და მის პოლიტიკას. ის თვით ამჟღავნებს თავის ნამდვილ ფიზიონომიას, ამტკიცებს რა ეხლა, რომ უკანასკნელი ამბები საბჭოთა კავშირში არის ისეთი განვითარების დასაწყისი, რომელიც, თითქოს, გამოიწვევს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას. ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ტრანმელის ამ კამპანიას თითქმის არავითარი გასავალი არ ჰქონდა. ეს აიხსნება იმით, რომ ნორვეგიაში საბჭოთა კავშირი განსაკუთრებით ძლიერი სიმპატიით სარგებლობს. ნორვეგიის მუშების არა ერთმა და ორმა დელეგაციამ ინახულა საბჭოთა კავშირი და ამ დელეგაციების მიერ ნათქვამის წინააღმდეგ გამოსვლა არც ისე ადვილი საქმეა.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის შემდეგ, რომელზედაც ტრანმელმა წარმოსთქვა სიტყვა მოწოდებით მსოფლიო რევოლიუციისაკენ, მან დაიწყო კამპანია საბჭოთა კავშირში „პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების" სასარგებლოთ. სამი დღის შემდეგ ის იძულებული შეიქნა შეეწყვიტა ეს კამპანია, ვინაიდან დარწმუნდა, რომ ნორვეგიის მუშათა კლასი მტრულად ხვდება ყოველგვარ თავდასხმებს საბჭოთა კავშირზე. მაინც საჭიროა აღინიშნოს, რომ ტრანმელის კამპანიამ რამოდენიმეთ შეაფერხა ზოგიერთ იმ მემარცხენე ელემენტების რადიკალიზაცია, რომლებიც მოილტვოდენ ჩვენი პარტიისაკენ.

მით უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა იმ გარემოებას, რომ თვით ნორვეგიის კომპარტიის შიგნით ამ საკითხში არ ყოფილა არავითარი აზრთა სხვადასხვაობა და უთანხმოება. ტროცკისტულ ოპოზიციის წინააღმდეგ და ტრანმელიზმის დემაგოგიურ პლატფორმის წინააღმდეგ ჩვენი პარტია იბრძოდა, როგორც ერთი კაცი, ყველა ორგანიზაციებში და პრესაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს შემდგომ ბრძოლაში ტროცკისტულ ოპოზიციის წინააღმდეგ გადამწყვეტ როლს ითამაშებს მუშაობა ნორვეგიის პროლეტრიატისათვის საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობის კონკრეტულ მიღწევების გასაცნობათ და ნორვეგიის და საბჭოთა კავშირის მუშებს შორის კონტაქტის დასამყარებლად. ნორვეგიის სოციალ-დემოკრატები ცდილობენ ყოველგვარ საშუალებით შეუშალონ ხელი კომუნისტურ სიმპატიების ზრდას ნორვეგიის პროლეტარიატში. ამ ცოტა ხნის წინად ნორვეგიის მუშათა პარტიის მთავრობამ გამოსცა „მემარცხენე" დეკლარაცია (სინამდვილეში მას, რასაკვირველია, არაფერი რევოლიუციონური არ გაუკეთებია) და ამით, ასე ვსთქვათ, თვითონვე მოისპო სიცოცხლე, ვინაიდან მისთვის აშკარა გახდა, რომ ბურჟუაზიულ ლიბერალებთან აშკარა კავშირის გზაზე დადგომით, ის კიდევ უფრო დააჩქარებდა ნორვეგიის მუშების გამემარცხენების პროცესს.

საბოლოოდ აღმოიფხვრა ოპოზიცია საკავშირო კომპარტიაში და მთელს კომინტერნში, სრული გამარჯვება მასლოვზე და კომპანიაზე გერმანიაში, მოკლედ რომ ვსთქვათ პარტიის ყველა ამ მოღალატეების განადგურება, არის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სკანდინავიის ქვეყნების მემარცხენე მუშათა მასების გადმოსაყვანად ჩვენს მხარეზე.

ამხ. ვიზერის სიტყვა

ამხ. ვიზერი (შვეიცარია) აღნიშნავს, რომ დისკუსიას საკავშირო კომპარტიაში (ბ) არავითარი შერყევა არ გამოუწვევია შვეიცარიის კომპარტიაში, თუმცა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცხოვრებაში მომხდარი ამბები უკანასკნელი წლების განმავლობაში დაწვრილებით იქნა განხილული. ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არც შვეიცარიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, არც ღია პარტიულ კრებებზე პარტიის არც ერთი წევრი არ გამოსულა ოპოზიციის დასაცავად. შემდეგ ამხ. ვიზერი ამბობს:

„საჭიროა კომინტერნმა თავის სექციებს, მათ შორის ჩვენ პარტიასაც უფრო ვრცელი ინფორმაცია მიაწოდოს პარტიული მასებისათვის საინტერესო საკითხებზე, ტროცკისტულ ოპოზიციის მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ვინაიდან პარტიული მასების გაურკვევლობას ამა თუ იმ საკითხში, სოციალ-დემოკრატები იყენებენ თავისი მიზნებისათვის. საკმაო ინფორმაციის უქონლობის გამო ზოგიერთ შემთხვევაში არ გვაქვს საშუალება სათანადო პასუხი გავსცეთ სოციალ-დემოკრატების გამოსვლებს. უბრალო მუშა ძალიან ხშირად ვერ კისრულობს გადასწყვიტოს საკითხი: მართალია თუ არა ტროცკი თეორეტიულად? მუშებს აინტერესებთ მეორეხარისხოვანი, მაგრამ პრაქტიკული საკითხები. სოციალ-დემოკრატები თავისი გალაშქრების დროს ემყარებიან სწორედ ამგვარ საკითხებს, ამასთანავე ამახინჯებენ ჭეშმარიტებას და ფაქტებს, და თუ ჩვენ არ გვექნება საშუალება ვრცელი ინფორმაცია მივაწოდოთ მუშებს, მაშინ მათ გონებაში შეიძლება წარმოიშვას ეჭვები. პრაქტიკულ საკითხებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს დისკუსია ოპოზიციასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ევროპის მუშისათვის და ჩვენ ეს საკითხები პირველ რიგში უნდა წამოვაყენოთ. განსაკუთრებით დაწვრილებით უნდა იქნას განხილული კომინტერნის სექციებში მუშათა კლასისა და გლეხთა დამოკიდებულების საკითხი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომინტერნის მომავალი მე-6 კონგრესი კომინტერნის აღმასკომს მისცემს საშუალებას ბოლო მოუღოს ყოველგვარ ოპოზიციონურ ხასიათის მოვლენებს".

დასასრულ ამხ. ვიზერი აღნიშნავს, რომ შვეიცარიის კომპარტია პროფკავშირებში უფრო მეტი გავლენით სარგებლობს, ვიდრე სათემო და სხვა არჩევნებში; შვეიცარიის კომპარტიას აქვს ჯანსაღი პროლეტარული შემადგენლობა, რომელიც საშუალებას აძლევს მას განვითარდეს რაიმე სერიოზული კრიზისის გარეშე (ადს).

დიპლომატი ქალები

საფრანგეთში

პარიზი, 17 თებერვალი. გამოქვეყნებულია დეკრეტი, რომელიც ქალებს ანიჭებს უფლებას დაიჭირონ თანამდებობა დიპლომატიურ ასპარეზზე.

მეწარმეების ახალი იერიში

ლონდონი, 17 თებერვალი. გემთა საამშენებლო საწარმოთა მეპატრონეების ფედერაციის კონფერენციამ კარლეილში განიხილა ტრედიუნიონების მოთხოვნილება ერთი კვირის სამუშაო ხელფასის 10 შილინგით გადიდების შესახებ და დაადგინა სამუშაო ხელფასი გაუდიდოს 3 შილინგით, სეზონურათ მომუშავეთა ზოგიერთ კატეგორიებს იმ პირობით, თუ ტრედიუნიონები დათანხმდებიან სამუშაო ხელფასის მოძრავ სისტემაზე და ითანამშრომლებენ მწარმოებლებთან წარმოების რეორგანიზაციაში; მწარმოებლების ეს წინადადება განსახილველად გადაეცემა ფედერაციაში შემავალ ტრედიუნიონებს. მანქანათ მშენებელ და გემთმშენებელთა ფედერაციაში შემავალ კავშირების წარმომადგენლებმა განაცხადა, რომ მწარმოებლების წინადადება გადაეცემა დაინტერესებულ კავშირების აღმასრულებელ კომიტეტს, მაგრამ ამ წინადადების მიღებას არ შეიძლება მხარი დაუჭიროთო (ადს).

კამპანია ბუქორის განთავისუფლების სასარგებლოდ

ვენა, 17 ბეთერვალი. კამპანია რუმინელი რევოლიუციონერის ბუქორის ციხიდან განთავისუფლებისათვის სულ უფრო და უფრო ფართოვდება. ბუქარესტში და რუმინეთის სხვა ქალაქებში გაიმართა მასიური კრებები, რომელზედაც მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ბუქორის განთავისუფლებას. რუმინეთის უნიტალურმა პროფკავშირებმაც, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმისტემა უარი განაცხადეს მთლიანი ფრონტის მოწყობაზე ბუქორის, სტეფანოვის და მისი ამხანაგების განთავისუფლებისათვის და საერთო პოლიტიკური ამნისტიისათვის, აქტიური მონაწილეობა მიიღეს მათი განთავისუფლების კამპანიაში (ადს).

რადიჩის შეკითხვა

ვენა, 17 თებერვალი. ხორვატიის გლეხთა პარტიის ლიდერმა რადიჩმა სასწრაფო შეკითხვა შეიტანა სამხრეთ-სლავიის პარლამენტში ჟანდარმერიის მოქმედების შესახებ. რადიჩმა მოიყვანა მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც ჟანდარმები სცემდნენ სრულიად უდანაშაულო გლეხებს. ჟანდარმერიის უფროსი, რადიჩის სიტყვებით, თავისი ხელით სცემს იმ თავის ხელქვეითებს, რომლებიც უარს ამბობენ გლეხების წამებაზე. რადიჩმა აღნიშნა, რომ ჟანდარმერიის თვითნებობა სასოწარკვეთილებაში აგდებს მოსახლეობას და მოითხოვა, რომ ჟანდარმები გადაყვანილ იქნან სასამართლო ორგანოების განკარგულებაში.

რადიჩის განცხადებამ საშინელი აღშფოთება გამოიწვია ოპოზიციის სკამებზე. დეპუტატებმა წამოდგნენ ადგილებიდან, და უყვიროდნენ მთავრობას: „მატყუარებო, არამზადებო. ჩვენ წავალთ ასეთ პარლამენტიდან, ასეთი ტერორი და წამება ჯერ კიდევ არსად არა ყოფილა" (ადს).

ირაქის წარმომადგენლის გაწვევა ლონდონიდან

ლონდონი, 17 თებერვალი. ირაქის დიპლომატიური წარმომადგენელი ლონდონში მუზახიმ-ბეი მოხსნილია თანამდებობიდან.

რეიტერის სააგენტოს კორესპოდენტთან საუბარში მუზახიმ-ბეიმ განაცხადა, რომ მისი გაწვევა მოხდა იმის გამო, რომ იგი არ ეთანხმება ინგლის-ირაქის ახალ ხელშეკრულებას, რომელიც ირაქს კიდევ 5 წლით ართმევს საშუალებას მიიღოს დამოუკიდებლობა (ადს).

---

*) სადისკუსიო

დირექტივები საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესადგენად

ამხ. ლ. ქართველიშვილის მოხსენებიდან საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმზე*)

მრეწველობის განვითარების პერსპექტივები

გამოკვლევის დარგში ჩვენ გვაქვს ორი ნაკლი:—ძალიან მცირე საშუალებები და მცირე ყურადღება საქმისადმი. ჩვენ ჯერ კიდევ სავსებით არ გვესმის, რატომაა საჭირო ამა თუ იმ საკითხის ერთი, ორი და სამი წლით დამუშავება. ზოგიერთი ამხანაგი ამბობს: ბარიტი გვაქვს,—საჭიროა ქარხნის აშენებაო. მაგრამ რომ საჭიროა მტკიცე გეგმა და მეცნიერული დასაბუთება იმისათვის, რომ დავუმტკიცოთ როგორც ფედერატიულ, ისე საკავშირო მთავრობას ამა თუ იმ მრეწველობისა და საწარმოს აუცილებლობა, შესაძლებლობა და სარგებლობა. საჭიროა რამდენიმე წლიწადი მუშაობა, რომ ასეთი გეგმა და მეცნიერულად დასაბუთებული საფუძველი გვქონდეს.

როცა ჩვენი მრეწველობის პერსპექტივებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ შევეხოთ იმ საკითხს, რომელიც ჩვენ სათანადო ორგანოების მიზეზით მხედველობიდან გამოგვრჩა, მაგრამ რომელიც წამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც აქტუალური საკითხი. ეს არის საკითხი ფარმაცევტიული მრეწველობის განვითარების შესახებ. საბჭოთა სახელმწიფო დიდათაა დამოკიდებული უცხოეთისაგან მედიკამენტების მხრით. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განვთავისუფლდეთ ამ დამოკიდებულებისაგან და გამოვნახოთ ადგილი და შესაძლებლობა ფარმაცევტიული მრეწველობის თანდათანობითი განვითარებისათვის საბჭოთა კავშირში. სამეცნიერო მუშაკები ამბობენ, რომ ამ მრეწველობის განვითარებისათვის საქართველოში არსებობს ყველა პირობები. ამჟამად დადგა მომენტი პრაქტიკულად დავაყენოთ საკითხი ფარმაცევტიული მრეწველობის განვითარების შესახებ საქართველოში, მაგრამ ჩვენ გვაბრკოლებს მხოლოდ ის გარემოება, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დამუშავებული. ცეკას პლენუმმა უნდა დააჩქაროს ამ საკითხის შესწავლა, რომ უახლოეს წლებში დავიწყოთ პრაქტიკული მუშაობა ამ მიმართულებით.

ზედმეტი „დატვირთვა" დაუშვებელია

ზევით ჩვენ ვლაპარაკობდით ჩვენი ცენტრალური ორგანოებისა და იგივე სპეციალისტების ნაკლზე. ეხლა საჭიროა შევჩერდეთ ჩვენ მაზრებზე, ადგილობრივ ხელისუფალ ორგანოებზე. საჭიროა შევჩერდეთ იმაზე, თუ რა დახმარებას უწევენ მაზრები ჩვენ ახლად ფეხადგმულ მრეწველობას. სამწუხაროდ, ამ მხრით საქმე ვერაა კარგად.

ავიღოთ, მაგალითად, ბარიტი. გლეხები ბარიტს ამუშავებენ სასტიკი წესით და მიაქვთ ის ქუთაისში. ს.მ.უ.ს. ერთ ფუთ ბარიტს ადებს 6 მან. 12 კ. გადასახადს. მაგრამ ჩვენი მაზრების მესვეურები თავისი მხრით ფიქრობენ, რომ საჭიროა თვითეულ ადგილობრივ საწარმოს დაბეგვრა ადგილობრივ ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამიტომ ბარიტს ადებენ დამატებით გადასახადს ადგილობრივ—ლეჩხუმში. გარდა ამისა ქუთაისის აღმასკომს აუცილებლად მიაჩნია ლეჩხუმიდან ჩამოტანილ ბარიტს დაადვას კიდევ გადასახადი ფუთზე 10 კაპ. რაოდენობით. საბოლოო ჯამში წარმოება, რა თქმა უნდა, ზარალობს.

ავიღოთ შემდეგ ინფუზორიტი. ინფუზორიტის მადანი არის ახალციხის მაზრაში. ახალციხის აღმასკომი ადგენს: თუ ერთი ტონა ინფუზორიტის თვითღირებულება 55 მან. უდრის, აღმასკომმა ერთ ტონაზე უნდა აიღოს 30 მ. გაუძლებდენ თუ არა ჩვენი წარმოებები ასეთ „დატვირთვას"? რა თქმა უნდა, რომ ვერ გაუძლებდნენ!

ანდა მაგალითისათვის ავიღოთ დღევანდელი ჩემი საუბარი ამხ. ღვამიჩავასთან. ის ელაპარაკებოდა დღეს ფინსახკომს და ეკითხებოდა,—შეიძლება თუ არა ისე მოეწყოს საქმე, რომ აბრეშუმის ტრესტი დაიბეგროს ადგილობრივ. ჩვენ ვამბობთ,— განა სულ ერთი არაა, აბრეშუმის ტრესტი ხომ ცენტრალიზაციაქმნილი ორგანიზაციაა და უფრო რაციონალურია, რომ ის ცენტრში იბეგრებოდეს. ამხ. ღვამიჩავა გვეკითხება: „შეიძლება თუ არა კიდევ დამატებით დაბეგვრა ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოთ"-ო.

აი ასეთი უარყოფითი მომენტები უნდა აღმოიფხვრას. საქართველოს ახლად ფეხადგმული მრეწველობა ვერ გაუძლებს ზედმეტ დატვირთვას.

მე არ ვამბობ, რომ აღნიშნული უარყოფითი მომენტები მხოლოდ სამაზრო აღმასკომებს მიეწერება. ჩვენ თვითონ შევიტანეთ ადგილობრივ აღმასკომების ბიუჯეტში ეს მუხლი და უნდა ვსთქვათ, რომ გადავდგით შეცდარი ნაბიჯი და საჭიროა მისი გამოსწორება. ჩვენი მრეწველობა უნდა განვითარდეს და უნდა შევეცადოთ, რომ ის არ გადაიქცეს ადგილობრივ ბიუჯეტის შემავსებელ რეზერვუარად. ჩვენი ბარიტი უნდა გავიტანოთ ბაზარზე, მაგრამ მოსკოვის ბაზარზე ჩვენი ბარიტი არ ხაღდება, იმიტომ, რომ ის ძვირი ღირს. ამას ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ჩვენი ნაცპოლიტიკის გადამახინჯების წინააღმდეგ

ამჟამად სწარმოებს ტყვარჩელის ქვანახშირის გამოკვლევა. ჩვენ მიერ შექმნილია ტყვარჩელის გეოლოგიური კომისია, რომელიც აწარმოებს მუშაობას აფხაზეთის სახკომსაბჭოსა და უკრაინისა და საკავშირო ორგანიზაციებთან ერთად. მაგრამ ეს მუშაობა დიდ დაბრკოლებას ხვდება აფხაზეთში. მე ხელთა მაქვს ერთი მეტად საინტერესო ნაწარმოები—„ბაღადა", რომელიც უფრო გამოხატავს აფხაზეთში მოკალათებულ შავრაზმელების ფილოსოფიას. ეს ელემენტები თითქოს, ცდილობენ ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის „გამოსწორებას". „ბაღადა" დასცინის ყოველივე ქართულს და სცდილობს ცუდი განწყობილება შექმნას აფხაზეთში მომუშავე სპეციალისტებსა და ადგილობრივ მუშაკებს შორის.

რატომ მივაქცევ მე ამ გარემოებაზე თქვენს ყურადღებას? იმიტომ, რომ ასეთი ნაწარმოები გამოხატავს იმ გარკვეული ფენების განწყობილებას, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს მუშაობას ტყვარჩელის ქვანახშირის შესწავლის დარგში. ამ განწყობილებას უნდა ებრძოლოს ამხ. ლაკობა და არა ჩვენ. თუ საჭიროა, ასეთი ელემენტები უნდა ჩამოვაცილოთ მუშაობას და გადავასახლოთ კიდეც აფხაზეთიდან.

მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს მეორე მხარესაც: იქნებ მართლაც აქვს ერთგვარი ნიადაგი ასეთ განწყობილებას! ეხლა სწარმოებს ბრძოლა იმ საკითხის შესახებ, თუ სად უნდა აშენდეს ნავთსადგური ტყვარჩელის ქვანახშირის გასაზიდათ. საქართველოში არიან სპეციალისტები, რომლებიც ამბობენ, რომ ფოთი—ერთად-ერთი გამოსავალია ტყვარჩელის ქვანახშირისათვის.

ასეთ კატეგორიულ მტკიცებას შეუძლია წარმოშვას შეხლა-შემოხლა საქართველოსა და აფხაზეთის სპეციალისტებს შორის. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, რათა არ შეიქმნეს კინკლაობა, რომელიც ხელს უშლის ჩვენ პრაქტიკულ მუშაობას.

მთლიანი სამეურნეო მუშაობისათვის

სანამ ჩემი მოხსენების იმ ნაწილს დავამთავრებდე, რომელიც მრეწველობას შეეხება, მე მინდა შევჩერდე კიდევ რამდენიმე საკითხზე.

პირველ ყოვლისა, მე მინდა მოვაგონო ცეკას პლენუმს ჩვენი გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ 1926 წ. მივიღეთ. როცა ჩვენ სატყეო მრეწველობის საკითხს ვარჩევდით, მაშინ მიზანშეწონილად ვსცანით მოგვეყვანა ამ სატყეო მრეწველობის ერთ მთლიან მეურნეობაში გაერთიანების ფორმაზე იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა ზიანმრეწველური ხასიათი, რაც აუცილებელია ამ მრეწველობის ხელმძღვანელობის დაქუცმაცების დროს საქართველოს, აჭარისტანსა, აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთს შორის. საჭირო იყო ამ რესპუბლიკებისათვის მისაღებ გაერთიანების ფორმის გამონახვა. ეს ფორმა ჩვენ გამოვნახეთ, მაგრამ მთელ რიგ მიზეზების გამო ვერ შევძელით დაგვეწყო დასახულ გეგმის განხორციელება. ამჟამად ჩვენი გადაწყვეტილება უნდა გავიმეოროთ მხოლოდ ერთი შესწორებით. იქ უნდა ნათქვამი თამბაქოს მრეწველობის ასეთივე ფორმაში გაერთიანებაზე. ჩვენმა პლენუმმა უნდა გადასინჯოს ეს საკითხი.

ჩვენი თამბაქოს 90 პროც. გადამუშავება სწარმოებს საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში.

ჩვენ საქართველოში გვაქვს სულ თამბაქოს ოთხი ფაბრიკა: ორი თბილისში, ერთი ბათუმში და ერთიც სოხუმში.

მე ვფიქრობ, და ასე ფიქრობს ბევრი სხვა ამხანაგიც, რომ თამბაქოს ფაბრიკების განვითარება განზრახული არაა და არ ვაპირებთ მთელი თამბაქოს ნედლეულის გადამუშავებას აქ, საქართველოში.

ამ დარგში ჩვენს ძირითად ამოცანას შეადგენს თამბაქოს ნედლეულის გატანა საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის და საზღვარგარეთის ბაზარზე.

სულ სხვანაირად სდგას სატყეო მეურნეობის საკითხი. ჩვენმა სატყეო მეურნეობამ დიდი ადგილი უნდა დაიჭიროს საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობაში პირველი ადგილი „სევეროლესისა" და „დალლესის" შემდეგ. ამიტომ ჩვენ ზიანმრეწველობიდან მსხვილ სატყეო მეურნეობაზე უნდა გადავიდეთ. ჩვენმა ხე-ტყემ გზა უნდა გაიკვალოს საბჭოთა კავშირშიაც და კავშირის გადაღმაც.

მეორე საკითხია ჩვენი კურორტების საქმე. საქართველოს კურორტებს მარტო საქართველოსათვის კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ მთელი კავშირისათვის. კურორტები შეიძლება გადაიქცეს თვალსაჩინო შემოსავლის წყაროდ. მაგრამ აქაც, ისევე როგორც სატყეო მრეწველობაში, საჭიროა მთლიანი სამეურნეო მუშაობა, კურორტების მჭიდროთ დაკავშირება ერთმანეთთან, მეცნიერული მიდგომა მათი განვითარების საკითხში. კურორტები ჩვენი მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია და ჩვენ აქ უნდა შევქმნათ სამეურნეო მუშაობას მთლიანობა. ასე თუ არ მოვიქციეთ, ჩვენი განვითარების ტემპი ნელი იქნება, კუს ნაბიჯით ვივლით და ვერც ფედერაციისა და ვერც კავშირის ფარგლებში სათანადოთ ვერ მოვაგვარებთ კურორტების საქმეს.

მუშათა საბინაო მშენებლობა

მუშათა საბინაო მშენებლობის [illegible] მე გვერდს ვერ ავუქცევ კიდევ ერთ საკითხს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს ჩვენს მუშაობაში და რომელიც ცუდად არის დაყენებული. მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ზრდა მოითხოვს ჩვენგან, რომ ვიზრუნოთ მუშათა საცხოვრებელ ბინებისათვის, მოითხოვს ახალ საბინაო მშენებლობას. რა გავაკეთეთ ჩვენ ამ მხრით? უკანასკნელ სამ წელიწადში საბინაო მშენებლობაზე ჩვენ დავხარჯეთ სულ 5.700.000 მანეთი. აქ შედის რამდენიმე გზის შეკეთების ხარჯიც. ცხადია, ეს თანხა უმნიშვნელოა და საჭიროა, რომ დიდი ყურადღება მივაქციოთ საბინაო მშენებლობის განვითარებას. ჩვენ ასეთი შეუხამებლობაც ჩავიდინეთ: მაგალითად, როდესაც მარელისის ფაბრიკა შენდებოდა, ჩვენ წინადადება მივეცით ფაბრიკასა და მუშათა საცხოვრებელი ბინების აშენების ხარჯთაღრიცხვის შემდგენელთ, რომ ხარჯთ-აღრიცხვიდან ამოეშალათ მუშათა ბინების აშენებისათვის საჭირო ხარჯები. ახლა ჩვენ ძირითად ამოცანად უნდა დავისახოთ მუშებისათვის საჭირო ბინების მშენებლობის განვითარება, მეტადრე ახალ სამრეწველო ადგილებში, როგორიცაა მაგალითად, მარელისი, ბორჯომი, შამგონი, ტყვარჩელი. თუ ამას არ შევასრულებთ, ჩვენი მრეწველობის მუშაობას დიდი დაბრკოლება გადაეღობება.

სოციალიზმის მშენებლობა სოფლად

სასოფლო მეურნეობის საკითხებს, სოფლის საკითხებს მე-15 ყრილობაზე თვალსაჩინო ადგილი ეჭირა და ასეთაც უნდა ყოფილიყო. მთელ კავკასიაში სასოფლო მეურნეობა აღდგენილია ომის წინადროინდელ ნორმამდე. საჭიროა შემდეგი ნაბიჯიც გადავდგათ, რომ სოფლის მეურნეობამ გაუსწროს ომის წინადროინდელ ნორმას, მოხდეს მისი ინტენსიფიკაცია და მექანიზაცია. როგორ უნდა მივაღწიოთ ეს? ამ საკითხზე ჩვენ ახლა კონკრეტული პასუხი უნდა გავსცეთ, რადგან თვით ცხოვრება მოითხოვს სასოფლო მეურნეობის განვითარებას. მაგრამ მარტო განვითარება ჩვენთვის საკმაო არაა, საკმაო არაა პარტიისათვის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმს აშენებს. სასოფლო მეურნეობა შეიძლება განვითარების უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ, მაგრამ ეს შეიძლება არ იყოს სოციალისტური სასოფლო მეურნეობა. კაპიტალისტურ ქვეყნებში სასოფლო მეურნეობა უფრო განვითარებულია, ვიდრე ჩვენში, მაგრამ ის არ არის, რაც ჩვენ გვესაჭიროება. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა—სოციალიზმის მშენებლობა სოფლად.

შესაძლებელია თუ არა ასეთი მშენებლობა და რა გზით შეგვიძლია წავმართოთ სასოფლო მეურნეობა სოციალიზმისაკენ?

სოციალიზმის მშენებლობა სოფლად—მეტად ძნელი საქმეა. მრეწველობის სოციალისტური მშენებლობის მხრით ჩვენ გზა გვაქვს გაკვლეული, სოციალიზმი სოფლად კი უფრო რთული საკითხია.

მე-15 ყრილობამ რომ განიხილა სოფლად მუშაობის საკითხი, კონკრეტული პრაქტიკული მითითებანი მოგვცა იმის შესახებ, თუ რა გზით შეგვიძლია სასოფლო მეურნეობის განვითარება და, ამასთანავე, სოციალისტური მშენებლობის კალაპოტში ჩაყენება.

სასოფლო მეურნეობის მაშინიზაცია და ინტენსიფიკაცია, მისი ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია—აი ის ძირითადი გზები, რომლებიც დაგვისახა მე-15 ყრილობამ.

ამ ზოგადი დირექტივებით უნდა მივუდგეთ ჩვენს სასოფლო მეურნეობასაც.

ომის წინანდელ დონეს მიაღწიეთ

ჩვენ ახლა ასეთ მდგომარეობას მივაღწიეთ, როდესაც საქართველოს სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარება ძველი მამაპაპური წესების ნიადაგზე შეუძლებელი ხდება.

თავისთავად იბადება საკითხი ჩვენი სასოფლო მეურნეობის უფრო მაღალ საფეხურზე აწევის შესახებ. ამჟამად სასოფლო მეურნეობის ბევრ დარგში ჩვენ უკვე მივაღწიეთ ომის წინადროინდელ ნორმას, ზოგიერთ დარგში კი გადავაჭარბეთ კიდეც.

მივმართოთ ციფრებს. ვნახოთ იმ მიწების სივრცე, რომელზედაც ხორბლეულია დათესილი. 1925 წელს—723.000 დესეტინა, 1926 წელს—731.000 დესეტინა, 1927 წელს—714.000 დესეტინა. ბამბა ხსენებულ წლებში: 7.500 დ.; 9.400 დ. და 4.900 დ.; თამბაქო:—9.000 დ.; 14.000 დ. და 18.000 დეს.

1913 წელს საქართველოს სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია გამოიხატებოდა 111.780.000 მან.; 1924—25 წელს—100.500.000 მან.; 1925—26 წელს—107.000.000 მან., 1927 წელს—105.000.000 მან. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ სასოფლო მეურნეობაში მივაღწიეთ ომის წინადროინდელ ნორმას.

ძვირფას კულტურათა: ბამბის, თამბაქოს, ყურძნის, ჩაის და სხვათა პროდუქცია იზრდება. თუ 1924 წელს იგი შეადგენდა—7.800.000 მან.; 1925 წელს მან მიაღწია—8.200.000 მანეთს, 1926 წელს—11.200.000 მან.

საქართველოს მარცვლეულ კულტურათა სტაბილობა იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენ უკანასკნელ წლებში გეზი გვაქვს აღებული ტექნიკურ მცენარეულობაზე, მესაქონლეობაზე და სხვ.; რაც ხელს უწყობს ჩვენი გლეხურ მეურნეობაში დამზადებულ საქონლიანობის ზრდას.

ჩვენში ხორბლეულის კულტურა ხელს ვერ შეუწყობს ჩვენი სოფლის საქონლიანობის ზრდას. ამისათვის საჭიროა, ყურადღება მივაქციოთ ტექნიკურ მცენარეულობას და მესაქონლეობას.

როგორ იზრდება ჩვენში ბამბის საქმე? 1913 წელს ბამბას ეჭირა 6.100 დესეტინა, 1917 წელს—7.309 დეს.; 1926 წელს—9.000 დეს.; ხოლო 1927 წელს უკვე შემცირებას ვამჩნევთ. ეს ფაქტი ჩვენის მხრით დიდ ყურადღებას მოითხოვს. ჩვენ ახლა დანამდვილებით ვერ გეტყვით, ხეირიანია თუ არა ეს კულტურა ჩვენი სასოფლო მეურნეობისათვის. ჯერ-ჯერობით კი ბამბას ვავითარებთ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. რა სურათს ვხედავთ აქ? დასავლეთ საქართველოში—ქუთაისის, სენაკის და სხვა მაზრებში—

ძვირფასი კულტურები

თითეული დესეტინის მოსავალი 22 ფუთს შეადგენს, მაშინ როდესაც საშუალო მოსავალი აზერბეიჯანში უდრის 45—46 დესეტინას. ბორჩალოს მაზრას და ზოგიერთ სხვა რაიონში კი ბამბის მოსავალი უდრის აზერბეიჯანის მოსავალს. თუ აზერბეიჯანში ბოჭკოს ღირებულება ფუთზე უდრის 18 მან. 60 კაპ.; საქართველოს ბამბის ბოჭკო 22 მანეთზე მეტად ჯდება. სახალხო მეურნეობის გეგმის შედგენის დროს, ჩვენ ბამბის მოყვანის 4 წლის გამოცდილების მიხედვით უნდა გამოვარკვიოთ, თუ რომელ რაიონშია ბამბა სარფიანი, რომელ რაიონშია საზარალო და სად უნდა განვავითაროთ იგი, თუ ამა თუ იმ რაიონისათვის ბამბა მომგებიანია, მაშინ მისი განვითარებაა საჭირო, თუ არადა—სხვა კულტურით უნდა შევცვალოთ.

ჩვენი სასოფლო მეურნეობის მეორე თვალსაჩინო დარგია—მევენახეობა.

1913 წელს მევენახეობას მთელ საქართველოში ეჭირა 49 ათასი ჰექტარი მიწა, 1917 წელს—41 ათასი, 1918 წელს—37 ათასი, 1919 წელს—37.500, 1927 წელს—37.700.

მევენახეობის დარგში უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენ ვებრძოდით ფილოქსერას და ვამკვიდრებდით ჩვენს მეურნეობაში ამერიკულ ვაზს.

გლეხები ცდილობენ მევენახეობის განვითარებას, მაგრამ ეს საქმე დიდ თანხებს მოითხოვს. აქაც ჩვენს წინაშე იბადება საკითხი იმის შესახებ, რომ გამოვნახოთ ეს თანხები და კრედიტი მივსცეთ ღარიბ და საშუალო გლეხობას. სახელმწიფოს დაუხმარებლად გლეხს არ შეუძლია ერთდროულად დაახარჯოს ათასიოდე მანეთი იმ ვარაუდით, რომ მხოლოდ მე-5 წელიწადს მიიღოს სათანადო შედეგები.

მევენახეობის საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული მეღვინეობის საკითხთან.

გლეხის ღვინოს რომ გზა გაიკვლიოს საქართველოს გარეთ, ჩვენ სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ მეღვინეობის საკითხს. თუ ასე არ მოვიქცევით, მევენახეობის განვითარება ერთ ადგილას გაიყინება, რამდენადაც მევენახეობის გადიდებული პროდუქცია გასაღებელ ბაზარს ვერ მონახავს. ამიტომ საკითხი უნდა დავსვათ იმის შესახებ, რომ გლეხის ღვინო შეეგუებოდეს სხვადასხვა ბაზარს. ამ მხრით ზოგიერთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. მე მგონია, რომ შემდეგ ჩვენ იძულებული ვიქნებით ამ საქმეს მეტი ყურადღება მივაქციოთ და საამისოდ მეტი თანხები გავიღოთ.

ჩაის მიმართ ჩვენ უკვე გვაქვს ხუთწლიანი გეგმა. ჩვენი მთავარი მორიგი ამოცანა ამ საქმეში ის არის, რომ 5 წლის განმავლობაში სენაკისა, ზუგდიდისა და სხვა მაზრებში დაახლოებით 20 ათასი ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციები გავაშენოთ.

შემდეგ—მეაბრეშუმეობის შესახებ. მეაბრეშუმეობა წლითი-წლობით უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერს ჩვენს სასოფლო მეურნეობაში. 1928 წელს მეაბრეშუმეობის პროდუქცია გამოიხატებოდა 1.600.000 მან.; 1924—25 წელს—2.200.000 მან., 1925—26 წელს—2.700.000 მან.; 1927 წელს—2.300.000 მან. შეიძლება თუ არა, რომ მეაბრეშუმეობა კიდევ უფრო მეტად განვითარდეს? ამ საკითხზე პასუხის გაცემის დროს, ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ გლეხები პარკის წარმოებას მისდევენ საქართველოს მხოლოდ ერთ ნაწილში—უმთავრესად დასავლეთ საქართველოში. საჭიროა იგი გადმოვიტანოთ აღმოსავლეთ საქართველოშიაც, მაგალითად, ისეთ მაზრებში, როგორიცაა გორისა, სიღნაღისა და თელავის მაზრები. ამ მხრით ჩვენ უკვე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით და გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ მეაბრეშუმეობა ჩვენში შეიძლება გაფართოვდეს. მისი გაფართოება დაკავშირებულია თუთის ხეების გამრავლებასთან. ამ მხრით ზომების მიღება უკვე ნავარაუდევი გვაქვს. ჩვენ ახლა გლეხობას უნერგავთ იმ აზრს, რომ ამ საქმეში მან მხარი დაგვიჭიროს. მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებულია გრენის წარმოებაც. 1925 წლამდე გრენის წარმოება კერძო პირების ხელში იყო და მხოლოდ 1927 წლიდან საქართველოსათვის საჭირო გრენის უმეტეს პროცენტს სახელმწიფო ორგანიზაციები აწარმოებენ.

აი ის ძირითადი დარგები, რომლებსაც საგანგებო ანგარიში უნდა გაუწიოთ ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს.

გავადიდოთ ხორბლეულ კულტურის მოსავლიანობა

ჩვენს ყრილობებსა და პლენუმებზე არაერთხელ აღნიშნულა, რომ სასოფლო მეურნეობის საქონლიანობა დამოკიდებულია მესაქონლეობისა და ტექნიკური მცენარეულობის განვითარებაზე, ხოლო ხორბლეულის კულტურა ამ მიზნისათვის არ გამოდგება. ეს ასეა. სრულიად სწორი იქნება, რომ ჩვენმა მუშაკებმა მთავარი ყურადღება მაღალ კულტურათა განვითარებას მიაქციონ, მაგრამ მეორე მხრით ჩვენ უყურადღებოთ არ უნდა დავტოვოთ ხორბლეულის კულტურაც. ეს კულტურა ჩვენი სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქციაში დიდ პროცენტს შეადგენს და მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი სოფლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყაროს უნდა წარმოადგენდეს. ჩვენ საკითხი უნდა დავსვათ იმის შესახებ, რომ მაღალი ტექნიკური კულტურისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის მეცადინეობის დროს, ჩვენ, ამასთანავე უნდა ვეცადოთ ხორბლეულ კულტურათა განვითარებასაც. ვინაიდან, თუ სადმე საჭიროა ხორბლეულის მოსავლიანობის გადიდება, ეს უმთავრესად ჩვენი ქვეყნის შესახებ ითქმის. ჩვენში მაგალითად, სიმინდის დამუშავება ხდება მამაპაპური წესით, სწორედ ისევე, როგორც ხორბლის და მარცვლეულობის სხვა კულტურათა დამუშავება. სიმინდისა და საერთოდ მარცვლეულობის კულტურათა მოსავლიანობა ჩვენში უფრო ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში. ჩვენ საკითხი უნდა დავსვათ მარცვლეულობის კულტურათა მოსავლიანობის გადიდების შესახებ. ეს ერთ-ერთი ჩვენი ძირითადი ამოცანაა. როდესაც ჩვენ ამ თვალსაზრისით ვაფასებთ ჩვენი სამეურნეო ორგანოების, მიწათ-მოქმედების კომისარიატის და სხვათა მუშაობას, ჩვენ ვხედავთ, რომ მიღებულია სხვადასხვა ღონისძიება ტექნიკურ კულტურათა და მესაქონლეობის განვითარებისათვის, მაგრამ, ამავე დროს, მთელი განვლილი ხუთი წლის მანძილზე არავითარი ყურადღება არ ექცეოდა მარცვლეულ კულტურათა განვითარებას. ამ პლენუმზე ჩვენ უნდა გამოვასწოროთ ეს ფრონტი და ვსთქვათ: სასოფლო მეურნეობის იმ სექტორის განვითარებასთან ერთად, რომელიც ხელს უწყობს სოფლის საქონლიანობის გადიდებას, ღონისძიება უნდა მივიღოთ აგრეთვე მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობის გასადიდებლად, რათა ჩვენი გლეხობა უზრუნველყოფილი იყოს თავისი პურით. მეორე მხრით, რამდენადაც ჩვენ გავადიდებთ მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობას, გლეხობას შესაძლებლობა ეძლევა, რომ მიწის განსაზღვრული რაოდენობა მოახმაროს სხვა უფრო მაღალ კულტურას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანაში, სადაც მიწის საგრძნობი სიმცირეა, გლეხს გაუძნელდება მიწის ნაჭრის გამოყოფა სხვა კულტურათათვის.

კოლექტივიზაციის გზით

აი ასე უნდა დავსვათ საკითხი, თორემ ჩვენს სასოფლო მეურნეობას ჩიხში მოვამწყვდევთ.

რა გზით შეიძლება სასოფლო მეურნეობის განვითარება? ჩვენ ვიცით, რომ აქ ძირითადი მნიშვნელობა აქვს უკეთესად დამუშავებას. ეს ეხება მარცვლეულ კულტურასაც და ტექნიკურ კულტურასაც. უკეთესი დამუშავება, უკეთესი თესლი, უკეთესი განოყიერება. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებულია მაშინიზაციის საკითხებიც.

აქ ჩვენ მივადექით მეტად სერიოზულ საკითხს. რომელ მეურნეობაში უფრო ადვილად შეიძლება დამუშავების გაუმჯობესებული წესების შემოღება და მანქანების გამოყენება? ცხადია, რომ ეს ყველაზე ადვილი მოსახერხებელია უფრო მსხვილ მეურნეობაში. ღარიბმა და საშუალო გლეხმა რაღა უნდა ქნას?

პარტიამ ამ მხრით განსაზღვრული და მკაფიო დირექტივა უნდა მოგვცეს. აქ ჩვენ პირისპირ მივადექით ძირითად საკითხს—სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხს.

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია—აი ის ძირითადი ხაზი, რომელიც ჩვენ უნდა გავატაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ წინ ვერ წავწევთ სასოფლო მეურნეობას სოციალიზმის გზით. მანქანებისა და სხვა ღონისძიებათა გამოყენება, რომელნიც ასწევენ სასოფლო მეურნეობას, შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი პატარა, წვრილ მეურნეობათა კოლექტივიზაციის დროს. ასე დაისვა საკითხი მე-15 ყრილობაზეც კოლექტივიზაციის საშუალებით ჩვენ შევძლებთ გადავიყვანოთ სასოფლო მეურნეობის განვითარება მაღალ საფეხურზე. ყველა ჩვენი ღონისძიება სასოფლო მეურნეობის დარგში ამას უნდა მოეხმაროს, რომ გლეხობას გაუადვილოთ კოლექტივიზაციის პროცესი:

გზა კოლექტივიზაციისაკენ ჩვენ მიერ არ არის მოგონილი. იგი მთლიანად არის დაკავშირებული გლეხთა ცხოვრების პრაქტიკასთან, გამოცდილებასთან. სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხს სვამს თვით გლეხობა, რომელიც სტიქიურად ერთიანდება კოლექტიურ მეურნეობაში. მხოლოდ ეხლა ვიღებთ ჩვენს ხელში ამ საქმეს, რათა მივმართოთ იგი სწორი გზით. ყველა კოლექტივები, რომლებიც ჩვენ გვაქვს (130—140), შექმნილია არა ჩვენს მიერ, არამედ თვით გლეხობის მიერ. ეხლა ჩვენ ამ გამოცდილებას უნდა გაუკეთოთ ჯამი, გავითვალისწინოთ იგი და ამის მიხედვით დავსახოთ განსაზღვრული დირექტივები.

როგორ ფორმებს იღებენ ჩვენი კოლექტიური მეურნეობანი? საერთოდ დასახულია სამი ძირითადი ფორმა: პირველი—კომუნები, არტელები, ამხანაგობანი მიწის ერთად დამუშავებისათვის; მეორე—კოოპერაციის სპეციალური დარგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებისათვის, სარძეო არტელები და სხ.; მესამე—პრიმიტიული ტიპის საწარმოო კოოპერატივები (სამანქანო, თესლის და სხ. ამხანაგობანი).

საქართველოში ჩვენ ეხლა გვაქვს 8 სასოფლო-სამეურნეო კომუნა, 35 სასოფლო-სამეურნეო არტელი, 60 მიწის დამუშავებელი ამხანაგობა, 80 სამანქანო ამხანაგობა. ისინი აერთიანებენ მეურნეობათა მცირე რაოდენობას, მაგრამ მნიშვნელოვანია არა ეს, მნიშვნელოვანია ის, რომ თუ სახელმწიფოს ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარებას ამ მიმართულებით, ჩვენ განსაზღვრული წარმატება შეიძლება გვექნეს ამ საქმეში.

მიწათმოწყობა

კოლექტივიზაციის საკითხთან არის დაკავშირებული მიწადმოწყობის საკითხი. მე-15 ყრილობის დადგენილებაში ნათქვამია: „უფრო ენერგიულ შეუწყოს ხელი მიწადსარგებლობის ისეთი ფორმების ზრდას, რომლებიც უფრო ხელსაყრელია სასოფლო მეურნეობის კოოპერაციაში შეკავშირების და მექანიზაციის განვითარებისათვის". მიწათმოწყობის საშუალებით ჩვენ შევძლებთ გლეხებს დავეხმაროთ კოლექტივიზაციის და მექანიზაციის საქმეში. მიწათმოწყობის საკითხს ჩვენში, საქართველოში, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენი კავშირის რომელიმე კუთხეში, ვინაიდან ჩვენი მეურნეობა არის დაქუცმაცებული და მცირემიწიანი. თუ ჩვენ ვფიქრობთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციაზე, უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მიწადმოწყობის საქმეს.

როგორი შედეგები გვაქვს ამ დარგში? სოფელთა შორის მიწადმოწყობა ჩვენ გავატარეთ 24 პროცენტით; მოწყობილია 300 სოფელი, ხოლო ჩვენში სულ არის 4.000 სოფელი. ჩვენ ვაწყობდით მხოლოდ იმ სოფლებს, რომელნიც საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წინაშე სვამდენ საკითხს მოწყობის შესახებ, დანარჩენებს თავი დავანებეთ, თითქოს მიწადმოწყობა მათ შორის სავსებით რადიკალურად იყოს გადაწყვეტილი.

შინასასოფლო მიწადმოწყობა გატარებულია 17 პროცენტით. მაგრამ როგორია ამ მიწადმოწყობის ხარისხი? ამ მხრივ ცალკე რაიონებს შორის არის დიდი განსხვავება.

თელავისა და სიღნაღის მაზრაში მიწადმოწყობის გატარების დროს ჩვენ ვატარებდით ერთგვარ ხაზს და ამიტომ ამის შედეგად ჩვენ გვაქვს დაქუცმაცებულ მეურნეობათა შემცირება 30—40 პროცენტით. საქართველოს სხვა ნაწილებში, მაგალითად ქუთაისის, შორაპნის და გორის მაზრაში, ჩვენ მხოლოდ ვაწესებდით მიწის ნაჭრების საზღვრებს ფაქტიური მიწადმფლობელობის მიხედვით და ამ საზღვრებს აღნიშნავდით პლანშეტებზე. ამასთანავე ჩვენს წინაშე არ იდგა საკითხი იმის შესახებ, რომ მიწადმოწყობის მუშაობა არის ძირითადი ინსტრუმენტი სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის.

ეხლა მთელ კავშირში დასმულია საკითხი მიწადმოწყობის ფორმების შესახებ: რომელი ფორმა რომელ რაიონს უდგება? ჩვენ ვიხილავდით მიწადმოწყობის საკითხებს, ყველა ყრილობებზე ვჩხუბობდით მიწათმოწყობის საჩქაროდ გატარებისათვის, მაგრამ როგორ ფორმებში უნდა გაგვეტარებია იგი, ეს ჩვენთვის გამოურკვეველი იყო. რომ ჩვენ მიწადმოწყობის სხვადასხვაგვარი ფორმები უნდა გვქონდეს, ამას ყველა ეთანხმება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი სამეცნიერო აზრი არ მუშაობდა ამ მიმართულებით.

ასეთი მდგომარეობა, როცა გლეხთა მეურნეობა ზოგიერთ ჩვენს რაიონში დაქუცმაცებულია 20—30 ნაჭრად, არ უწყობს ხელს სოფლის წინსვლას სოციალიზმისაკენ, არ უწყობს ხელს გლეხთა მეურნეობის კოლექტივიზაციას. ჩვენი საადგილ-მამულო ორგანოების, საბჭოთა და სამეცნიერო ორგანოების წინაშე უნდა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენ სასწრაფოდ გავატაროთ რაციონალური მიწადმოწყობა. ჩვენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონებში გამოგვეყო მიწის ნაჭრები რაციონალური მიწადმოწყობის სამუშაოთა წარმოებისათვის, ამას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მიწადმოწყობის საკითხის გადაწყვეტისათვის, რაც ხელს უწყობს კოლექტივიზაციას.

ამ საკითხში ჩვენ დიდი ნაკლი გვაქვს და ამიტომ მას სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ უახლოეს წლებში. აქ უნდა გამოვიყენოთ სამეცნიერო ძალები და აგრეთვე ადგილობრივ მუშაკთა გამოცდილება.

მიწადმოწყობის დარგში უნდა დავსახოთ ძირითადი რაიონები, სადაც უახლოეს წლებში აუცილებლად უნდა გავატაროთ მიწადმოწყობა. ავიღოთ, მაგალითად ჩაის რაიონები. ჩაის კულტურა ჩვენში წლითი-წლობით ვითარდება, მაგრამ მიწა იქ მოწყობილი არ არის. 30—40 წლის შემდეგ მიწადმოწყობა იქ შეუძლებელი იქნება. ასეთივე მდგომარეობაა მევენახეობის რაიონებში. თუ მევენახეობა განვითარდება ეხლანდელ მოუწყობელ მიწებზე, მომავალში მიწადმოწყობა შეუძლებელი გახდება.

ჩვენი სახელმწიფო გლეხებს ათეულ მილიონობით აძლევს კრედიტს ჩაის პლანტაციების გაფართოებისათვის. ჩვენ დამატებით უნდა გადავსდოთ ზოგიერთი თანხები მათი მიწათმოწყობისათვის, რათა ხელი შეუწყოთ ჩაის პლანტაციების მქონე გლეხების გადასვლას კოლექტიურ მეურნეობის ფორმებზე.

აგროდახმარება და კრედიტი

როგორი მდგომარეობა გვაქვს აგრო-დახმარების მხრივ? 1924 წელში ჩვენ გვქონდა 45 აგროპუნქტი, 1925 წელში—51, 1926 წელში—56. საქართველოსათვის მისი მთა გორიანი ერთმანეთისაგან დაშორებულ ადგილებით ეს რიცხვი, რასაკვირველია, არ არის საკმაო. აგროპუნქტების ეს რაოდენობა საკმაო არ არის მთელი ჩვენი სასოფლო-მეურნეობისათვის. ეს აუცილებელია აღინიშნოს იმისათვის, რომ აქედან სათანადო დასკვნები იქნეს გამოყვანილი.

რამდენი აგრონომია საქართველოში? 1924 წელში იყო 12 აგრონომი, 1925 წელში—46, 1926 წელში—48 და 1927 წელში—69. ცხადია, რომ ეს არმია (თუ არმიას უწოდებთ 69 აგრონომს) ძალიან მცირეა საქართველოს მეურნეობისათვის, რომლის ხასიათი სხვადასხვაგვარია.

კოლექტივიზაცია, მაშინიზაცია, ახალი კულტურების შემოღება,—ყოველივე ეს მოითხოვს ფულადი დახმარების აღმოჩენას გლეხობისათვის. ამ დახმარებას სახელმწიფო უწევს კრედიტების მიწოდებით სასოფლო-სამეურნეო ბანკების საშუალებით. მე დაწვრილებით არ შევჩერდები სასოფლო-სამეურნეო ბანკების მდგომარეობაზე. შევჩერდები მხოლოდ იმ ფაქტებზე, რომელნიც გვაქვს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დარგში. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან სუსტად მიმდინარეობს მოსახლეობის ფულადი საშუალებათა შეტანა ბანკებში თანხების ძირითადი მასა შედგება სახელმწიფოს მიერ გადადებული თანხებიდან, და არა ადგილობრივი გლეხთა თანხებიდან; ჩვენ არ შეგვიძლია ფართოდ განვავითაროთ კრედიტების მიწოდება, თუ გლეხების თანხები არ მოვაქციეთ სასოფლო-სამეურნეო ბანკებში.

ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებასაც. საკრედიტო ამხანაგობათა მიერ გაცემულ სესხს გლეხები ხშირად იყენებენ არა თავისი მეურნეობის გასაუმჯობესებლად, არამედ ყოფა-ცხოვრების და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. არ არსებობს საზოგადოებრივი კონტროლი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის წესით გაცემულ თანხების ხარჯვაზე.

არც საკრედიტო ორგანოები და არც ჩვენი გლეხები თავს არ იტკივებენ იმაზე, რომ ეს თანხები არ ხმარდება თავის პირდაპირ დანიშნულებას. ჩვენ გლეხობას უნდა შევაგნებინოთ, რომ კრედიტს იგი იღებს თავისი სასოფლო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად. დიდი მუშაობის ჩატარება მოგვიხდება იმისათვის, რომ ეს შევაგნებინოთ გლეხობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენი კრედიტიც არ უნდა მივცეთ გლეხობას შედეგი მაინც უმნიშვნელო იქნება.

შემდეგ, საკითხი სესხის დაბრუნების შესახებ. საქმე ამ მხრივ სუსტად არის. ჩვენს ორგანოებს გლეხობა ხშირად უყურებს როგორც სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებას. თუ ფული მიიღო, მერმე და გათავდა! ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ ეს ფსიქოლოგია, და მით უფრო, უნდა შევეცადოთ არ შევუწყოთ ხელი ამ ფსიქოლოგიის ზრდას, რასაც ადგილი აქვს ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში.

კრედიტის დარგში რომ არსებობდეს საზოგადოებრივი კონტროლი, რომ ჩვენს სოფლებს აინტერესებდეს ეს საკითხი, რომ დასვან იგი სასოფლო კრებებზე, მაშინ სოფლისათვის კრედიტის მიწოდების საკითხი უცილობლად უფრო უკეთესად გადაწყდებოდა, ვიდრე ეხლა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ჩვენში, არა მარტო ადგილებზე, არამედ ცენტრშიაც ცუდ დამოკიდებულებას იჩენენ სასოფლო-სამეურნეო ბანკისადმი. საქართველოში, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ბანკს ართმევენ თანხებს, რათა დაეხმარონ „ავტოპრომტორგ"-ს ერთ-ერთი სამაზრო აღმასკომი ბანკის განყოფილებიდან იღებს ფულს თავისი თანამშრომლებისათვის ხელფასის მისაცემად. ასეთი დამოკიდებულება ბანკისადმი, რასაკვირველია, დაუშვებელი არის.

და დიდ პლიუსად უნდა ჩაეთვალოს ამხ. ლაკობას, რომ მან აფხაზეთში 3—4 წლის განმავლობაში შესძლო სასოფლო-სამეურნეო ბანკის თანხების 2-3 ჯერ გადიდება და არა ფულის გამოტანა ბანკიდან სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საბჭოთა მეურნეობანი

ეხლა შევეხები ჩვენი საბჭოთა სასოფლო-მეურნეობათა განვითარების საკითხს, რომელთა უკანასკნელ ხანებში დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

როგორ არის დაყენებული საბჭოთა მეურნეობანი ჩვენში, საქართველოში? ჩვენ გვაქვს სახალხო მამულების ტრესტები. მისი უმთავრესი მუშაობის საგანია მევენახეობა, მეხილეობა, მემინდვრეობა და მესაქონლეობა. სახალხო მამულთა ტრესტმა უკანასკნელი 3 4 წლის განმავლობაში მევენახეობის სივრცე აღადგინა ძველ დონემდე და ეხლა აფართოებს თავის მუშაობას.

ტრესტის წინაშე სდგას გლეხთა მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა. ამ მიზნით ტრესტი აწყობს ვენახისა და ხილის სანერგეებს და გლეხებს ურიგებს ნერგს და ვაზს. აქ ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება გაიაფებულ იქნეს როგორც ვენახის ვაზის, ისე ნერგის ღირებულება.

გარდა ამისა, ტრესტს ამოცანად ისახავს გლეხების ღვინის გადამუშავებას, რომლის რაოდენობა ყოველ წლობით იზრდება.

ამჟამად ტრესტი საწარმო ფუნქციებთან ერთად ასრულებს სავაჭრო ფუნქციებსაც: იგი ასაღებს თავის პროდუქტ ნაწარმოებს.

ეს არ არის სწორი. მისი ძირითადი ამოცანა უნდა იყოს საწარმო ხასიათის ამოცანა, ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი სამაგალითო უნდა იყვნენ მახლობლად მდებარე სოფლებისათვის. ტრესტებმა თავის სავაჭრო ფუნქციები უნდა გადასცეს სხვა ორგანიზაციებს.

კლასიური ხაზი უნდა გავატაროთ

კოლექტივიზაციის გატარებასთან ერთად სოფელში ჩვენ თვალყური უნდა მივადევნოთ იმ პროცესებს, რომელნიც ხდება სოფლად ინდივიდუალურ მეურნეობებში, მათ ცხოვრებაში და განვითარებაში. ჩვენი კლასიური ხაზი უნდა გავატაროთ ჩვენი სოფლის ყოველ კუნჭულში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმ ურთიერთობას, რომელიც სოფლად წარმოიშვა მიწის იჯარის ნიადაგზე.

როგორია მიწის იჯარის ფორმები? უნდა ითქვას, რომ ამის ცნობები საკავშირო მასშტაბით არის, ხოლო საქართველოს მასშტაბით არ გვაქვს. საკავშირო ცნობების მიხედვით, მიწას იჯარით ხცემენ: 88 პროც. ღარიბი გლეხობა, 15 პროც.—საშუალო გლეხობა და 3 პროც. შეძლებული გლეხობა; ამასთანავე შეძლებული გლეხობა იჯარით ხცემს იმ მიწას, რომელიც მისთვის ყველაზე ნაკლებ შემოსავლიანია. მიწას იჯარით იღებენ: 67 პროც. საშუალო გლეხობა (მთელი საიჯარო მიწის 60 პროც.), 13 პროც. შეძლებული გლეხობა (მთელი საიჯარო მიწის 30 პროც.). ჩვენ წინდაწინ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენში, საქართველოში მიწას იჯარით ხცემენ უმთავრესად ღარიბები, მაგრამ ამის დასამტკიცებელი ცნობები ჩვენ არ გვაქვს. ჩვენი საადგილ-მა-

(გაგრძელება იხილ. მესამე გვერდზე)

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი" № 41.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

ბურჟუაზიულ კოალიციის კრიზისი გერმანიაში. — „დემოკრატიული" არჩევნები პოლონეთში. —პოლონეთ - ლიტვის ურთიერთობა კვლავ გამწვავდა. — ბრძოლა ტანჟერისათვის.— რეფორმისტების იმპერიალიზმი.

რაც უფრო ახლოვდება რეიხსტაგის არჩევნები, მით უფრო მწვავდება პოლიტიკური ბრძოლა გერმანიაში. ყველაზე უფრო საყურადღებო ამ ჟამად არის მთავრობის კოალიციის დაშლა, რაც უკვე ფაქტია.

საბაბად ამისათვის შეიქმნა სასკოლო კანონპროექტი, რომელიც ეხლანდელი კოალიციის მეთაურმა პარტიამ, ცენტრმა შეიმუშავა. ამ კანონპროექტის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ სკოლა გადაეცეს ეკლესიას და დაემორჩილოს მის გავლენას. კათოლიკური პარტია (ცენტრი) ამ ზომის გატარებას დიდი ხანია ცდილობს. უმთავრესად ამიტომ დაუკავშირდა ის ნაციონალისტებს და მათთან ერთად შევიდა მთავრობაში. საგულისხმოა, რომ ცენტრის ბურჟუაზიულ-კლერიკალურ პარტიას ჯერ კიდევ ემხრობა მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ვერ განთავისუფლებულა სარწმუნოებისა და ეკლესიის ტყვეობისაგან. მაგრამ ცენტრის შეულლება უკიდურეს რეაქციონერებთან (ნაციონალისტებთან) აფხიზლებს მუშების ხსენებულ ჩამორჩენილ ფენასაც და ხელს უწყობს ცენტრის შინაგან რღვევას.

თვით სასკოლო კანონპროექტის საკითხში ცენტრი დამარცხდა. მის წინააღმდეგ გაილაშქრა სახალხო პარტიამ. უკანასკნელის პოზიცია ამ შემთხვევაში აიხსნება შემდეგით: ჯერ ერთი, კანონპროექტის მიღება რამოდენიმედ კათოლიკებს გააძლიერებდა პროტესტანტების საზიანოდ, რაც პროტესტანტების უკმაყოფილებას გამოიწვევდა, ხოლო ასეთები სახალხო პარტიაში დიდ პროცენტს შეადგენენ. შემდეგ: კლერიკალური კანონპროექტის უარყოფით სახალხო პარტიას სურს პროგრესიულ, რადიკალურ იდეების მატარებელ პარტიის სახელი დაიმსახუროს, რაც საარჩევნო მანევრს წარმოადგენს. გარდა ამისა, ამ პარტიასა და სოციალ-დემოკრატებს შორის წარმოებს მოლაპარაკება კოალიციის შედგენის შესახებ, ხოლო მათი შეთანხმება შეუძლებელი გახდებოდა, თუ სახალხო პარტია ცენტრის სასკოლო კანონ-პროექტს მიიღებდა. ბოლოს, და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს,—სახალხო პარტია საგარეო პოლიტიკის მოსაზრებით მოწადინებულია არსებულ კოალიციის დაშლას: შტრეზემანი (სახალხო პარტიის ლიდერი) აწარმოებს საფრანგეთთან დაახლოების პოლიტიკას, ხოლო ამ მხრივ ერთ-ერთ დაბრკოლებას წარმოადგენს ნაციონალისტების მონაწილეობა მთავრობაში, ნაციონალისტების, რომელნიც რევანშის ლოზუნგს აშკარად აყენებენ. სახალხო პარტია სასკოლო კანონპროექტს გამოიყენებს კოალიციის დაშლის და იქიდან ნაციონალისტების განდევნის მიზნით.

კოალიციის დაშლასთან დაკავშირებით წამოჭრილია მთავრობის კრიზისის და რეიხსტაგის დათხოვნის საკითხი. მემარჯვენენი და ყველა ის ელემენტები, რომელთაც ნაკლები იმედი აქვთ, რომ არჩევნებში გაიმარჯვებენ, მოითხოვენ რეიხსტაგის დათხოვნის გადადებას მის მიერ ბიუჯეტის და ზოგიერთ მნიშვნელოვან კანონ-პროექტების დამტკიცებამდე. კომპარტია მოითხოვს პარლამენტის დაუყოვნებლივ დაშლას და ახალ არჩევნების დანიშვნას.

როგორადაც არ უნდა გათავდეს ეხლა საქმე, აშკარაა შემდეგი: მემარჯვენე ბლოკის აღდგენა შეუძლებელი გახდება; ახალ არჩევნების შედეგად მოსალოდნელია, რომ სახალხო პარტია და სოციალ-დემოკრატია შევლენ მთავრობაში; ამასთან შესაძლებელია, რომ ცენტრიც, ყოველ შემთხვევაში მისი „მემარცხენე" ნაწილი მიემხროს ახალ კოალიციას. მაგრამ ასეთ ცვლილებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ის ბრძოლა, რომელსაც ბურჟუაზიული პარტიები ურთიერთ შორის აწარმოებენ, ოდნავადაც არ უშლის მათ ხელს მთლიანი ფრონტით გამოვიდენ მშრომელ მასების წინააღმდეგ. „ახალი" მხოლოდ ის იქნება, რომ, თუ სოციალ-დემოკრატია დღემდე უჭერდა მხარს კაპიტალს, შემდეგში ის, როგორც მთავრობაში მონაწილე, უფრო შეეცდება მოადუნოს მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლა. კომპარტია ყველაფერ ამას ამხელს მასსების წინაშე და არჩევნებს გამოიყენებს მათი რიგების დასარაზმავად.

***

პოლონეთში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს. პოლონეთი დემოკრატიულ ქვეყნად ითვლება და იქაც შემოღებულია „საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და პროპორციული" საარჩევნო სისტემა. თუ გინდათ დარწმუნდეთ ასეთ საარჩევნო ფორმულის და საერთოთ ბურჟუაზიულ დემოკრატიის სიყალბეში, ამისათვის პოლონეთში ეხლა მიმდინარე არჩევნები საუკეთესო მასალას მოგცემთ.

ძნელი წარმოსადგენია მოქალაქეთა საარჩევნო და ყოველგვარ სხვა უფლების უფრო უხეში და აშკარა დარღვევა, ვინემ ამას ვხედავთ პოლონეთში „დემოკრატიული" არჩევნების დროს. რა თქმა უნდა, ეს ეხება მშრომელ ელემენტებს და ეროვნულ უმცირესობათ, რომელთა უკმაყოფილება პილსუდსკის სულთამხუთავი, რეჟიმის მიმართ სულ უფრო იზრდება. ბურჟუაზია და მემამულეები არჩევნების სრული თავისუფლებით სარგებლობენ, რაც არა მარტო იმაში გამოიხატება, რომ მათთვის უზრუნველყოფილია თავის ნებისყოფის გამოთქმის შესაძლებლობა, არამედ იმაშიაც, რომ მათ სრული თავისუფლება ენიჭებათ არბიონ მშრომელთა საარჩევნო კრებები და სიცოცხლესაც გამოასალმონ მათთვის არასასურველი პირები. და ამაში შავრაზმელებს არამც თუ ხელს უწყობს პილსუდსკის ხელისუფლება, არამედ ის თვითონ გამოდის ამ „საქმეში" ინიციატორად და „არა საიმედო" ელემენტების წინააღმდეგ უსასტიკეს რეპრესიების გამტარებლად.

დეპეშებს ყოველ დღე მოაქვთ ცნობები, რომ პოლიცია თავს დაესხა მუშათა მიტინგებს და მათრახით დაერია მათ, რომ ესა და ეს პირი დააპატიმრეს კრებაზე საარჩევნო სიტყვის წარმოთქმისათვის და დასწამეს მას სახელმწიფოებრივი ღალატი, რომ გააუქმეს მუშურ-გლეხურ ბლოკის სიები და სხვ. ადგილი ჰქონდა მასსების ლიდერების „საიდუმლო" მკვლელობასაც. მუშათა წარმომადგენლებს, წინასწარ აპატიმრებენ, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა კომუნისტებს, რომ მასები უთავოდ დასტოვონ და დეზორგანიზაცია შეიტანონ მათ რიგებში. ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ, რომ მუშებს და გლეხებს საარჩევნო უფლება წაართვან. მაგ., პოლიცია „შეცდომით", ვითომდა სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის აკავებს იმ პირებს, რომელთაც მინდობილი აქვთ მუშურ-გლეხურ ბლოკის საარჩევნო სიების სათანადოდ წარდგენასა და დამტკიცებაზე ზრუნვა. ამასობაში ასეთი სიების დამტკიცების ვადა გადის და მათ არ იღებულობენ. კიდევ მრავალი სხვა ამგვარი ფანდებია ხმარებაში.

ასე მიმდინარეობს „დემოკრატიული" არჩევნები პოლონეთში. ბურჟუაზია, მემამულენი და მათი მთავრობა დამფრთხალი არიან მუშების წინანდელ გამარჯვებით მთელ რიგ არჩევნებში (გაიხსენეთ, რომ შარშან ვარშავის არჩევნებში, მიუხედავად გაუგონარი დევნისა, კომუნისტების სიამ შეაგროვა 80 ათასამდე ხმა; ეს სია როგორც ვიცით, გაუქმებულ იქნა). ამიტომ მათ ეხლა უკიდურესობამდე გააძლიერეს რეპრესიები მშრომელთა ნებისყოფის ჩასაკლავად.

ყველაფერი ეს ერთი მხრივ გვიჩვენებს „დემოკრატიულ" არჩევნების, ბურჟუაზიული დემოკრატიის ნამდვილ შინაარსს და ღირებულებას, მეორე მხრივ კი რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდას, რომლის მოსპობა, ცხადია, პილსუდსკის თავის მათრახით არ შეუძლია.

***

პილსუდსკის რეჟიმი ხასიათდება არა მარტო რეაქციით ქვეყნის შიგნით, არამედ აგრეთვე იმპერიალისტური პოლიტიკით. ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობაზე. არაფერი ეშველა მის მოგვარებას. ამ სამი თვის წინეთ პოლონეთის მიერ ლიტვის დაპყრობის მუქარა აცილებულ იქნა. ეს მოხდა უმთავრესად საბჭოთა მთავრობის ენერგიული გამოსვლის წყალობით, რომელმაც პოლონელ მილიტარისტების საომარი მადა რამოდენიმედ შეანელა და ერთა ლიგის საბჭოს სესიაც აიძულა ზოგიერთი ნაბიჯები გადაედგა მხარეთა „შესარიგებლად".

ეს ნაბიჯები მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ პოლონეთმა ფორმალურად იკისრა ვალდებულება, რომ „სავსებით" სცნობს და პატივს სცემს ლიტვის რესპუბლიკის პოლიტ. დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას", ხოლო ლიტვამ განაცხადა, რომ ის თავს არ თვლის ომის მდგომარეობაში პოლონეთთან. მაგრამ ეს სრულებით არ იყო კონფლიქტის გადაწყვეტა. ერთა ლიგამ, როგორც ყოველთვის, აქაც გამოიჩინა უმწეობა, როცა აღნიშნა, რომ მისი რეზოლიუცია პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის შესახებ „ოდნავადაც არ ეხება იმ საკითხებს, რომელთა გამო ორივე მთავრობას სხვადასხვა თვალსაზრისი აქვთ". ამასთან ლიგის საბჭოს სესიამ მოდავე მხარეთ წინადადება მისცა უშუალოდ დაეწყოთ მოლაპარაკება ურთიერთ დამოკიდებულების მოსაგვარებლად.

ამ მოლაპარაკების დაწყება დღემდე ვერ ხერხდება იმ აგრესიულ პოზიციის გამო, რომელიც პოლონეთს ეხლაც უკავია ლიტვის მიმართ, პოლონეთის მმართველნი ერთა ლიგის საბჭოს რეზოლიუციის შემდგაც განაგრძობენ იმ ლიტველ ემიგრანტებისათვის დახმარების გაწევას, რომელთაც მიზნად აქვთ ლიტვის შეერთება პოლონეთისადმი. ამასთან ზოგჯერ ადგილი აქვს პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე სამხედრო შეტაკებებს, პოლონეთის ჯარისკაცთა შეჭრა ლიტვის ტერიტორიაზე და სხვ.

ზალესკის უკანასკნელი ულტიმატიური ხასიათის ნოტა ლიტვისადმი კვლავ ამწვავებს ორივე ქვეყნის ურთიერთობას. ზალესკი მოითხოვს პასუხს, თანახმაა თუ არა ლიტვის მთავრობა უმოკლეს დროში დაიწყოს მოლაპარაკება მხარეთა შორის „ნორმალური" დამოკიდებულების დასამყარებლად. მაგრამ ნორმალური დამოკიდებულება ჩვეულებრივი გაგებით ჰგულისხმობს საზღვრების ცნობას ორივე სახელმწიფოს მიერ. პოლონეთი ისევ ცდილობს აიძულოს ლიტვა, რათა უკანასკნელმა ხელი აიღოს ვილნოს ოლქზე, რომელიც პოლონეთმა მას ძალით ჩამოაგლიჯა, და ამ მიზნით იყენებს ლიგის საბჭოს რეზოლიუციას, თუმცა ამ რეზოლიუციაში ეს მოთხოვნა არ არის გატარებული და პოლონეთ-ლიტვას შორის არც ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებაზეა ლაპარაკი. ლიტვის მთავრობა ძველებურად მტკიცეთ სდგას იმ თვალსაზრისზე, რომ ვილნო ლიტვის კუთვნილებას შეადგენს. და ვინაიდან ვილნოს საკითხში შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია—ლიტვა მოითხოვს, რათა მოლაპარაკების დღის წესრიგიდან ამოიშალოს ყველაფერი ისეთი რამ, რაც თუნდაც არაპირდაპირ იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ვილნოზე პოლონეთის უფლებები ვრცელდება.

ამ ნიადაგზეც ერთგვარი ტეხნიკური და ეკონომიური შეთანხმება შესაძლებელია, პოლონეთის მმართველნი რომ აშკარა მცემლობის გზას არ ადგენ და რომ მათ ამ მხრივ არ აქეზებდენ უცხო ძალები, რომელთა მიზანს შეადგენს მდგომარეობის გართულება აღმოსავლეთ ევროპაში. დღეს დღეობით კი ასეთი შეთანხმების იმედი ნაკლებია და პოლონეთის მხრით ლიტვაზე თავდასხმის საშიშროება არ არის აშორებული. ამ საფრთხეს უყურადღებოთ ვერ დასტოვებენ საბჭოთა კავშირის და დასავლეთის მშრომელი მასსები.

***

ამ დღეებში დეპეშამ გვაუწყა ცნობა, რომ საფრანგეთსა და ისპანიას შორის მიღწეულია შეთანხმება ყველა სადაო საკითხის გამო ტანჟერის შესახებ. ეს შეთანხმება ერთერთი ეტაპია იმ განუწყვეტელი ბრძოლისა, რომელიც ინგლ.ის საფრანგეთ შორის წარმოებს ხმელთა შუა ზღვაზე გაბატონებისათვის.

ტანჟერს, რომელიც მდებარეობს ჰიბრალტარის სრუტეში, უდიდესი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ვინც ფლობს ამ პუნქტს, მისი ბატონობა ხმელთა შუა ზღვაზე თითქმის უზრუნველყოფილია. თუ ტანჟერი საფრანგეთმა ჩაიგდო ხელთ, ამით იგი სერიოზულად დაემუქრება ინგლისის მთავარ სიმაგრეს და სამხედრო ბაზას ამ ზღვაზე, ჰიბრალტარს და ამით მის ჰეგემონიას ხმელთა შუა ზღვაზე და აღმოსავლეთში საფრთხეს განუმზადებს. ამასთან, ის ამ გზით დაიცავს თავის აფრიკულ კოლონიებს, რომლების მოწყვეტა საფრანგეთისგან ინგლისს დღეს ყოველთვის შეუძლია.

ამიტომაა, რომ საფრანგეთი სცდილობს ტანჟერის ხელში ჩაგდებას. თავის მხრივ ინგლისი მოილტვის აქ საფრანგეთის პოზიციების შესუსტებისაკენ. ინგლისის მეცადინეობით 1923 წელს ტანჟერი ნეიტრალურ საერთაშორისო ზონათ იქნა გამოცხადებული, თუმცა საფრანგეთმა შესძლო მის მმართველობაში უპირატესობის მიღება. ინგლისმა საფრანგეთის საწინააღმდეგოდ სცენაზე გამოიყვანა ისპანია, რომელიც მოითხოვდა ტანჟერზე თავის პროტექტორატის დაწესებას. ამავე დროს ლონდონმა აამოძრავა იტალიაც, რომელიც პრეტენზიებს აცხადებს ტანჟერის საქმეებში მონაწილეობაზე, რომ ამნაირად დაემუქროს საფრანგეთის აფრიკას. ორივე ეს ქვეყანა (იტალია და ისპანია), თავის იმპერიალისტურ მისწრაფებათა განხორციელების (ცდასთან ერთად, ამ შემთხვევაში ინგლისის იარაღს წარმოადგენენ. ინგლისის ამოცანაა ტანჟერის საკითხს მისცეს საერთაშორისო ხასიათი, რომ იქ ფაქტიურად თვითონ გაბატონდეს.

როგორც ზევით ხსენებულ ცნობიდან სჩანს, საფრანგეთს ზოგიერთი დათმობის გზით, რომელთა შესახებ ჯერ არაფერი ვიცით, შეთანხმება დაუდვია ისპანიასთან. ეს საფრანგეთის მხრით უეჭველად საგრძნობი გამარჯვებაა ინგლისის დიპლომატიაზე. მაგრამ ტანჟერის პრობლემა ამით გადაწყვეტილად, რა თქმა უნდა, არ ჩაითვლება. პირიქით, აუცილებელია ამის შემდეგ იმპერიალისტების ბრძოლის უფრო გამწვავება. ინგლისი არასოდეს არ შეურიგდება თავის პოზიციების შერყევას ხმელთა შუა ზღვაზე და საფრანგეთს რაიმე კონტრშეტევით უპასუხებს.

***

იმპერიალისტურ პოლიტიკის გატარებაში კაპიტალისტებს არ ჩამორჩებიან რეფორმისტები. ამ მხრივ რეკორდი უეჭველად ინგლისელმა გამცემლებმა აიღეს. ინტერვენცია ჩინეთში, საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გაწყვეტა. ბრძოლა ინდოეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ,—ყველა ამ „საგმირო" საქმეებში ჩიმბერლენებს მაკდონალდები უმშვენებენ მხარს.

იმპერიალიზმის მიმართ ასეთი დამსახურებისათვის რეფორმისტებს ამას წინად ქება-დიდება შეასხა ჯონსონ ხიქსმა. თავის სიტყვაში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ მან დაიმოწმა გენსაბჭოს მდივანი სიტრინი და სთქვა: „ჩემს გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ ჰქონდა ისეთი მკაცრი ხასიათი, როგორიც აქვს იმას, რასაც ეხლა სიტრინი წერს (მხედველობაში აქვს სიტრინის მიერ მუშათა პარტიის გაზეთ „ლეიბორ მაგაზინ"-ში მოთავსებული წერილი). ამასთან ხიქსმა სიტრინს ქათინაურები უძღვნა „ნიჭიერად" შედგენილ წერილის გამო.

ამგვარად, ინგლისელი იმპერიალისტები თავის ანტისაბჭოთა კამპანიაში ზურგს იმაგრებენ სოციალ-გამცემლების დახმარებით, რომელნიც, ხიქსის ამ შემთხვევაში ავტორიტეტული თქმით, უფრო „ნიჭიერად" და „მკაცრად" აწარმოებენ ბრძოლას შრომის რესპუბლიკის წინააღმდეგ, ვინემ თვითონ ჩემბერლენები და ხიქსები.

არა ნაკლებ საყურადღებოა მაკდონალდის გამოსვლა საიმონის კომისიის „მუშაობასთან" დაკავშირებით, როგორც ვიცით, ეს კომ. დანიშნულია ინდოეთში საკონსტიტუციო რეფორმების გასატარებლად, ე. ი. ინდოეთის განმანთავისუფლებელ ბრძოლის ჩასაქრობად და ინდოეთის ხალხის მოსატყუებლად. საიმონის კომისიის წინააღმდეგ ამხედრებულია მთელი ინდოეთის მოსახლეობა, რომელიც მას ბოიკოტს უცხადებს. ასეთ დროს გამოდის მაკდონალდი და ამბობს: „მუშათა პარტიის მომავალი მთავრობა დანიშნავს ახალ კომისიას, თუ ეხლანდელმა კომისიამ ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება ობსტრუქციის გამო. მუშათა პარტია სავსებით უჭერს მხარს საიმონის კომისიის დანიშვნის და მუშაობის წესს და მუშათა პარტიის მომავალი მთავრობა არავითარ ცვლილებას არ შეიტანს ამ დარგში"—ესე იგი „მუშათა" მთავრობა ისე მოეპყრობა ინდოეთს, როგორც კონსერვატორები ექცევიანო. ეს ნიშნავს, რომ მაკდონალდი გააგრძელებს ბრძოლას ინდოეთის ხალხის დასამონავებლად. კარგი დაპირებაა!

ასეთი არიან რეფორმისტები. ისინი კაპიტალისტების მარჯვენა ხელს წარმოადგენენ მუშათა კლასის ექსპლოატაციის და ხალხების დაჩაგვრის საქმეში. ამიტომ ღირსეულად აფასებენ მათ ხიქსები. მაგრამ აგრეთვე ღირსეულად აფასებენ სოციალ-მოღალატეთ მუშათა მასსები და დაჩაგრული აღმოსავლეთის ხალხები, რომელნიც თანდათან იგებენ, რომ მათი განთავისუფლება შეიძლება არა მარტო ჩემბერლენ-ხიქსებთან ბრძოლის გზით, არამედ, აგრეთვე მათი ლაქიების, მაკდონალდების და სიტრინების ალაგმვით.

ბ. ქ—ლი.

მული და სხვა ორგანოები ამ საქმეს არ აქცევდენ ყურადღებას, მომავალში მაინც უნდა მიაქციონ ყურადღება.

შემდეგი საკითხი, რომელზედაც უნდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, არის ინვენტარის, საქონლის და სხ. გაქირავება.

ამის ირგვლივ სოფლად წარმოიშობა განსაზღვრული სოციალური ურთიერთობა. თუ ჩვენ არ შევისწავლით ამ საკითხებს, ჩვენ ვერ შევსძლებთ ხელმძღვანელობის გაწევას გლეხობისათვის. სოციალიზმის შენება სოფლად თვალ-დახუჭულად შეუძლებელია. ჩვენ უახლოეს წელში უნდა დავამუშაოთ სათანადო მასალა.

ამით მე ვათავებ სასოფლო მეურნეობის დახასიათებას.

ვაჭრობა და ექსპორტი

ჩვენი მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სახალხო მეურნეობის ეს ორი დარგი თანდათან უკავშირდებიან ერთიმეორეს. ჩვენი მრეწველობა ვითარდება ნედლეულის ბაზისზე. ჩვენ ვანვითარებთ ჩვენს სასოფლო მეურნეობას, რათა განვავითაროთ ჩვენი მრეწველობა. ასეთი მჭიდრო დაკავშირება უნდა არსებობდეს ჩვენს მთლიან ხუთწლიან გეგმაში.

მაგრამ ჩემი მოხსენება სრული არ იქნება, თუ მე არ შევჩერდი მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

ჩვენს მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვაჭრობას, რომელიც ქალაქს აკავშირებს სოფელთან. 1924 წელში საბითუმო ბრუნვის 92 მილიონიდან სახელმწიფო ვაჭრობაზე მოდიოდა 75 მილიონი მან., კოოპერაციაზე—16 მილიონი და კერძო ვაჭრებზე—1 მილ. 140 ათას მან., 1926 წელში 140 მილიონი მანეთიდან სახელმწიფო ვაჭრობაზე მოდიოდა 104 მილიონი მ., კოოპერაციაზე—30 მილიონი და კერძო ვაჭრობაზე—6 მილ. 800 ათას მანეთი, რას გვიმტკიცებს ეს ცნობები? ეს ამტკიცებს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ზრდას, მაგრამ ამასთანავე ამტკიცებს კერძო ვაჭრობის ზრდას 1.100.000 მან.-დან 6 მილიონ 800 ათას მან.-მდე.

ჩვენ ყურადღება მივაქციოთ კერძო ვაჭრობის სწრაფ ზრდას და გამოვასწოროთ ხაზი.

შემდეგ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ვაჭრ. შეფარდებას ქალაქსა და სოფელს შორის. 1924 წელში ქალაქზე მოდიოდა სავაჭრო ბრუნვის 197 მილიონი მან., 1926 წელში 290 მილიონი მან., სოფლის ადგილებზე 1924 წელში მოდიოდა სავაჭრო ბრუნვის 24 მილიონი მან., 1926 წელში—37 მილიონი მანეთი. ეს არ არის ნორმალური. ჩვენ უნდა მოვახდინოთ სავაჭრო ბრუნვის გადაჯგუფება ქალაქსა და სოფელს შორის.

შარშან გაზაფხულზე ჩვენ მოვახდინეთ ვაჭრობის გამოკვლევა ქალაქებსა და სოფლებში, სულ გამოკვლეულ იქნა 9 მაზრა. ეს მასალები ჯერ კიდევ სავსებით არ არის შესწავლილი. მაგრამ მაინც გამოირკვა ასეთი სურათი: 5 მაზრაში გვაქვს 235 კოოპერატიული წერტილი და 937 კერძო ვაჭართა წერტილი. ამ ცნობებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ სოფლის ვაჭრობის 62% არის კოოპერატივების ხელში, სამაზრო ქალაქების ვაჭრობის 64 პროც. არის კერძო პირთა ხელში და 36 პრ. კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ხელში. ამ ცნობებიდან გამოყვანილ უნდა იქნეს სათანადო დასკვნები.

ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის ნაწარმოების დამზადებასაც. საჭიროა სოფლის საქონლიანობის განვითარება, მაგრამ საჭიროა აგრეთვე გლეხის საქონლის მოგროვება და გასაღება.

გლეხის პროდუქციის დამზადების რაოდენობა თანდათან იზრდება, რომელი ორგანიზაციები მუშაობენ უმთავრესად დამზადების დარგში და დამზადების რამდენი პროცენტია კერძო პირთა ხელში.

1925—26 წელში კერძო პირთა ხელში იყო ბამბის დამზადების 6,5 პროც., 1927 წელში 2,6 პროც., 1926 წელში კერძო პირთა ხელში იყო თამბაქოს დამზადების 5,8 პროც., 1927 წელში 2,5 პროც. (1926 წ. კერძო პირის ხელში იყო მატყლის დამზადების 24 პროც., 1927 წ. 15,5 პროც., აბრეშუმის პარკი 1926 წელში 8 პროც., 1927 წ.—1,7 პროც., ტყავი 1926 წ.—82 პროც., 1927 წ.—86 პროც., მებაღეობის პროდუქტი 1926 წ.—85,8 პროც., 1927 წ.—62,5 პროც., მევენახეობის პროდუქტი 1926 წ. 85,3 პროც. და 1927 წ.—56,9 პროც.

ამგვარად ბამბა, თამბაქო, მატყლი, აბრეშუმის პარკი, — ჩვენი სასოფლო მეურნეობის ძირითადი პროდუქტები თითქმის სავსებით ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშია.

სამწუხაროდ, გაცილებით ცუდი მდგომარეობაა ხილის დამზადების საქმეში, რომელსაც ჩვენს სასოფლო-სამეურნეო ბალანსში დიდი ადგილი უჭირავს. ხილის დამზადება უმთავრესად არის კერძო ვაჭართა ხელში. ჩვენი ამოცანა უახლოეს წლებში მდგომარეობს იმაში, რომ კერძო პირი განვდევნოთ ამ ფრონტიდან.

იგივე უნდა ითქვას ბოსტნეულზე, რომელიც თითქმის მთლიანი 100 პროც-ით არის კერძო ვაჭართა ხელში. სანამ ბოსტნეული მიაღწევდეს ქალაქამდე, მისი ფასი 2-3-ჯერ მატულობს.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი ვაჭრობის დარგში არის ექსპორტის საკითხი. ჩვენ ეხლა უნდა შევეცადოთ საექსპორტო პროდუქტების დამზადების განვითარება, ჩვენ უნდა ვავითაროთ თამბაქო, ხე-ტყის მასალა, და აგრეთვე სხვადასხვაგვარი მცირე ხარისხოვანი საქონელი — მატყლი, ჯაგარი, ბეწვეული, ხალიჩები და სხვ. 1924 წელში დამზადებულ იქნა— 5.800.000 მან. საექსპორტო პროდუქტები, 1925 წელში — 3.700.000 მან., 1926 წელში— 3.800.000 მან. მიმდინარე წელში უნდა დავამზადოთ 7.100.000 მან. საექსპორტო პროდუქტები.

ექსპორტი ჩვენში ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული. ამ რიგად მომუშავე ორგანიზაციებიც სუსტია. ჩვენ უნდა შევსძლოთ მეორე ხარისხოვანი საქონლის შეგროვება ექსპორტისათვის. ამ საქმეს უნდა მოჰკიდონ ხელი ადგილობრივმა ორგანიზაციებმაც. ექსპორტის გეგმა მიმდინარე წელში აუცილებლად უნდა შევასრულოთ. შემდეგ, ჩვენ უნდა დავსახოთ ღონისძიებანი მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებისათვის საქართველოში, რომელნიც იძლევა საექსპორტო საქონელს.

კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა

როცა ვეხებით ექსპორტს, უნდა შევჩერდეთ იმ კონკურენციაზე, რომელსაც ადგილი აქვს სახელმწიფო სავაჭრო აპარატისა და კოოპერაციის შორის. ეს საკითხი ნათლად უნდა იქნას გარკვეული. სახელმწიფო სავაჭრო აპარატი არის მხოლოდ აპარატი, ხოლო კოოპერაცია მასების შეკავშირებაა. კოოპერაცია არის მასიური ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის საშუალებით გვინდა სოციალიზმის დამყარება სოფლად. სახელმწიფო აპარატი თანდათან შორდება საცალო ვაჭრობას, გადადის საბითუმო ვაჭრობაზე და კოოპერაციის განვითარების მიხედვით ისპობა.

უკანასკნელ ხანებში წამოყენებულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ მთელ რიგ მაზრებში დაარსდეს საქართველოს სახვაჭრობის განყოფილებანი. ეს საკითხი უნდა იქნას გადასინჯული და ჩვენს ორგანიზაციებს უნდა მიუთითოთ, რომ ჩვენი სავაჭრო აპარატის მუშაობა ამ მიმართულებით არ შეიძლება განვავითაროთ.

ჩვენს სამეურნეო და სავაჭრო სახელმწიფო ორგანოებს უნდა მიუთითოთ, რომ თავისი მუშაობა დამზადების დარგში ჩაატარონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით. რასაკვირველია, ჩვენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ჯერ კიდევ დიდი ნაკლულევანებანი აქვს, მაგრამ კოოპერატიული ორგანიზაციების მოსპობა ამ ნაკლულოვანებათა გამო შეუძლებელია. საჭიროა ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორება და არა ლაპარაკი იმაზე, რომ თავიდან მოვიშოროთ ზედმეტი რგოლი — კოოპერაცია და მაშინ მუშაობა უკეთესად წავა. ეს არ არის საკითხისადმი სწორი მიდგომა. მე ვიმეორებ, ნაკლულოვანებანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობაში გვაქვს. იგი ყოველთვის ვერ უძლებს მუშაობას, მაგრამ ჩვენ უნდა გამოვასწოროთ მისი ნაკლულოვანებანი. დიდ ნაკლულოვანებად მე, მაგალითად, ვსთვლი იმას, რაც მოხდა ახალციხის მაზრაში, როცა ვაშლის დამზადება სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სახელით. ამგვარი ნაკლულოვანებანი ძირიან-ფესვიანად უნდა იქნას აღმოფხვრილი.

დამზადების დარგში გლეხობას უნდა შევაგნებინოთ, რომ მათი პროდუქცია საჭიროა დამზადებულ იქნას კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით. ეს ხაზი მტკიცედ უნდა გავატაროთ.

ფასების დაკლება

ფასების დაკლების პრობლემა წარმოადგენს ჩვენი სამეურნეო მუშაობის ცენტრალურ პუნქტს. ეს პრობლემა დაკავშირებულია ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის ძირითად საკითხებთან. ეს არის მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის საკითხიც, მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხიც და, დასასრულ, კერძო კაპიტალთან ბრძოლის საკითხიც.

როგორ გადავჭრით ჩვენ ფასების დაკლების ამოცანას? მე დაწვრილებით არ შევჩერდები ამაზე. საერთოდ ჩვენ ეს ამოცანა გადავჭერით.

ფასების დაკლება ქალაქებში გატარებულია საშუალოდ 9,5 პროცენტით, დანარჩენ ადგილებში კი 7,1 პროცენტით. ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას ფასების შემდგომი დაკლების ამოცანა, რის შესახებ გვაქვს სათანადო დირექტივა. ფასების დაკლების გატარების დროს ჩვენ წავაწყდით წინააღმდეგობას სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების აპარატის მხრივ. ამ წელში ჩვენს წინაშე სდგას კიდევ უფრო დიდი სიძნელენი. წარსულ წელში ფასების დაკლებას ჩვენ ვატარებდით უმთავრესად მოგების ხარჯზე. ამ წელში ფასების დაკლების გატარება ჩვენ მოგვიხდება უკვე აპარატის რაციონალიზაციის და რეორგანიზაციის ხარჯზე. ამ გზაზე ჩვენ დიდ წინააღმდეგობას შევხვდებით, მაგრამ ამ წინააღმდეგობის სერიოზულად უნდა ვებრძოლოთ.

საგზაო მშენებლობა

შემდეგი საკითხია — საგზაო საკითხი. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენი სახალხო მეურნეობის აღორძინების შესახებ, ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ, ამასთან ერთად უყურადღებოდ არ უნდა ვტოვებდეთ ჩვენი გზების მდგომარეობის საკითხსაც. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს რესპუბლიკაში გზები ცუდ მდგომარეობაშია. სანამ ამ საქმეს არ გამოვასწორებთ, უგზოობა ძლიერ მძიმე ზედნადებ ხარჯად დააწვება ჩვენს წარმოებას და ვაჭრობას.

საქართველოში ჩვენ ვატარებთ სავალდებულო-საგზაო ბეგარას, მაგრამ სამწუხაროდ, ყველგან ერთნაირად არ აფასებენ ამ ღონისძიების მნიშვნელობას. ამ საკითხს სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მხოლოდ ზოგიერთ მაზრებში, მაგალითად, სიღნაღის, რაჭის, ლეჩხუმის. სხვა მაზრებს თითქმის არ ესმით გზების მნიშვნელობა და ამ საკითხს არ აკავშირებენ მეურნეობის განვითარების საერთო საკითხებთან. თუ გზები არ გვექნა, ჩვენი მეურნეობის განვითარება შეუძლებელი იქნება. ამას ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ, გავაკეთოთ აქედან სათანადო დასკვნები და დავამუშაოთ ჩვენი საგზაო ქსელის აღდგენის გეგმა.

ჩვენი დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ვერ შევსძელით ისეთი ცენტრალური აპარატის შექმნა, რომელიც იქნებოდა მაზრების ორგანიზატორი გზების აღდგენის დარგში. მე ვფიქრობ, ჩვენ დაგვჭირდება ასეთი აპარატის შექმნა ცენტრში. მე მეფიქრობ, რომ ჩვენ ცენტრში უნდა შევქმნათ ასეთი ორგანიზატორი.

ქვეყნის ელექტროფიკაცია

ელექტროფიკაციის მნიშვნელობაზე სახალხო მეურნეობაში მე სიტყვას არ გავაგრძელებ. მოკლედ შევჩერდები ჩვენს მშენებლობაზე ამ დარგში. ჩვენ ავაგეთ ზაჰესი, ამ წელში ვაშენებთ რიონის სადგურს, მთავრდება და ამ დღეებში ამუშავდება აბაშის სადგური, სწარმოებს მუშაობა აჭარის წყალის სადგურის ასაგებად. აი — ის აღმშენებლობა ელექტროფიკაციის დარგში, რომელიც შედის ჩვენს ხუთწლიან გეგმაში.

აქ ჩვენი ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველვყოთ სადგურების დატვირთვა. საკავშირო საგეგმო კომისიასთან გამართულ თათბირზე აღნიშნავდენ, რომ ჩვენი სადგურების დატვირთვის ამოცანა უნდა დაუკავშირდეს რკინისგზას.

უკანასკნელ დროს ბევრს ლაპარაკობენ, რომ ზაჰესი მხოლოდ 25 პროცენტით არის დატვირთული, ეს მართალია. მაგალითად, სინათლე, რომელიც ჩვენ გვაქვს ამ დარბაზში, ზაჰესის სინათლე კი არ არის, არამედ სახახლის სადგურის, ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს სათანადო მოწყობილობა ზაჰესის დენზე გადასასვლელად. საქმე იმაშია, რომ ზაჰესის დატვირთვაზე ჩვენ მხოლოდ მაშინ დავიწყეთ ფიქრი, როდესაც დავინახეთ ზაჰესის სინათლე. მხოლოდ ამ წელში შეუდექით ყველა წარმოებათა გადაყვანას ზაჰესის დენზე. ამ საკითხს სერიოზულად უნდა ჩავუფიქრდეთ. ჩვენი მთავარი ამოცანაა —დავტვირთოთ ჩვენი ორი გიგანტი ზაჰესი და რიონის სადგური.

მე უნდა შევჩერდე აგრეთვე სოფლის ელექტროფიკაციაზე. ჩვენ გვაქვს, და შენდება მთელი რიგი სასოფლო ელექტროსადგურები. ონში, მაგალითად, არის 200 ძალიანი სადგური. მაგრამ რომ ვკითხოთ ონის მუშაკებს, თუ როგორ ფიქრობენ ამ სადგურის დატვირთვას, ალბათ პასუხს ვერ მოგვცემენ. რა ანგარიშით არის აგებული სადგური შოვში, ისიც არ ვიცით. შემდეგში ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის ელექტროფიკაციის გეგმიან მოწესრიგებას. რა თქმა უნდა, ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ სოფლის ელექტროფიკაციის განვითარებას, მაგრამ ეს საქმე უნდა ჩავატაროთ სასტიკად მოფიქრებულად.

კულტურული რევოლიუცია

მე ვამთავრებ ჩემს მოხსენებას. ამჟამად, როდესაც ჩვენს წინაშე სდგას ჩვენი სოფლის მეურნეობის და მრეწველობის რეკონსტრუქციის საკითხი, განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ამ უდიდესი ამოცანის გადაჭრას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ კულტურულ რევოლიუციის პირობებში. ამიტომ ხუთწლიან გეგმაში ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ კულტურის საკითხებიც. თუმცა ჩვენ საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებთან შედარებით წარმოვადგენთ უფრო კულტურულ ქვეყანას, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი მაინც შეადგენს მთელი მოსახლეობის 36,7 პროცენტს. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ მთელმა მოსახლეობამ იცოდეს წერა-კითხვა. წერა კითხვის ცოდნა იმის ძირითადი საწინდარია, რომ მოსახლეობა შესძლებს შეითვისოს ის ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ჩვენ გვესაჭიროება კვალიფიციური ძალები, ინჟენერები, ტეხნიკოსები, აგრონომები, მიწისმზომელები, ექიმი-ვეტერინარები და სხვ., ჩვენ გვესაჭიროება გლეხთა აქტივი, გვესაჭიროება გლეხურ ახალგაზრდობის სკოლები, გაზეთები, წიგნები, თუ ეს ასე არ იქნა, თუ ჩვენი კულტურული მუშაობა დაკავშირებული არ იქნა ჩვენი სახალხო მეურნეობის ამოცანებთან, გამოგვივა შეუთანხმებლობა. ჩვენ უნდა დავუკავშიროთ ჩვენს კულტურულ მუშაობას არა მარტო ჩვენი სახალხო მეურნეობის ცალკე ნაწილები, არამედ მთელი სახალხო მეურნეობაც, რათა ჩვენი სკოლის, ჩვენი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებების განვითარება არ ჩამორჩებოდეს მთელი მეურნეობის განვითარებას. ამ ამოცანამ ნათელი გამოხატულება უნდა ჰპოვოს ჩვენს ხუთწლიან გეგმაში.

მასების დახმარებით გავიმარჯვებთ

ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ დიდ ნაკლს. ჩვენ თითქმის სრულებით არა გვყავს სამეურნეო მუშაკი-კომუნისტები. ჩვენ არ შეგვიძლია აღმშენებლობა ვაწარმოოთ იმ ძალებით, რომლებიც ჩვენ გვყავს და აქედან გამომდინარეობს სათანადო სამეურნეო მუშაკ-კომუნისტების მომზადების ამოცანა.

ლენინი ამბობდა, რომ პარტიის წინაშე სამოქალაქო ომის პერიოდში იდგა მტრის დამარცხების ამოცანა და ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭირო იყო, რომ ის ნათელი გამხდარიყო მუშების და გლეხების მთელი მასისთვის. სამოქალაქო ომის პერიოდში მუშებმა და გლეხებმა გაიგეს პარტიის თვალსაზრისი და ამიტომ გაჰყვენ მას, დაეხმარენ მტრის დამარცხებაში.

მაშასადამე, იმისათვის, რომ ჩვენ გავიმარჯვოთ რომელიმე ფრონტზე, პირველ ყოვლისა, საჭიროა, რომ ჩვენი ამოცანები გაიგოს მუშათა და გლეხთა მთელმა მასამ.

იგივე უნდა ითქვას საქართველოს სახალხო მეურნეობაზე. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გლეხებმა და მუშებმა შეითვისონ ის ამოცანები, რომლებსაც პარტია ისახავს ამ სფეროში. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ჩავაბათ საერთო მუშაობაში მუშები და გლეხები და გავიმარჯვოთ სამეურნეო ფრონტზე. უნდა ვაწარმოოთ მასიური მუშაობა იმ ძირითად ამოცანების განსამარტავათ, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგას სახალხო მეურნეობის სფეროში და მასების დახმარებით ჩვენ გამარჯვებული გამოვალთ ამ ფრონტზე (ტაში).

დღეს დაკრძალავენ პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე კახიანს

ადამიანი, რომელიც ყველაზე ზრუნავდა და ყველას უფრთხილდებოდა, გარდა საკუთარი თავისა

საქართველოს მეცნიერთა ისედაც მცირერიცხოვანმა ოჯახმა კიდევ ერთი თვალსაჩინო წევრი დაჰკარგა. უდროოდ გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი პროფ. ნიკოლოზ სავლეს ძე კახიანი.

დღეს, როდესაც ყოველი ჩვენგანი მწვავედ გრძნობს ამ დანაკარგის აუნაზღაურებლობას, საჭიროა მოვიგონოთ განსვენებულის მიერ განვლილი ცხოვრების გზის მთავარი ეტაპები.

ის იყო ხელმოკლე ოჯახის შვილი, დაიბადა ს. როკითში ბაღდადის მახლობლად (ქუთაისის მაზრა); ჯერ კიდევ 13—14 წელი არ შესრულებოდა, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მამა, რომელსაც შვიდი ობოლი დარჩა, მათ შორის განსვენებული ყველაზე უფროსი იყო. ცხადია ასეთ მრავალრიცხოვან ღარიბ ოჯახს არამც თუ განათლების მიღება, ლუკმა პურის შოვნაც კი უჭირდა. მხოლოდ ექიმ ბიძის (გიორგი ნიკოლოზის ძე კახიანის) დახმარებით დაიწყო განსვენებულმა სწავლა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, მაგრამ იძულებული შეიქნა ქ. კავკავში დაემთავრებია საშუალო სასწავლებელი.

უმაღლესი განათლების მისაღებად ის შევიდა ოდესის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე. მალე ის მალე შეიქნა ამ ფაკულტეტის მთელი პროფესურისა და სტუდენტობის საერთო ყურადღების საგნად. ის ყველასათვის საჭირო, აუცილებელი თანამშრომელი და საყვარელი ამხანაგი იყო. მისმა დაუღალავმა ხელებმა შექმნეს ოდესის უნივერსიტეტის ანატომიური მუზეუმის საუკეთესო პრეპარატები, მის სახელმძღვანელო წიგნებით სარგებლობდენ ანატომიის დარგში როგორც სტუდენტები, ისე ექიმები.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1910 წელში ის დატოვებულ იქნა იმავე უნივერსიტეტში მოსამზადებლად ნორმალურ ანატომიის დარგში. 1912—13 წლებში მან მიიღო სამეცნიერო მივლინება ქაირის (ეგვიპტე) უნივერსიტეტში. აქ განსვენებულმა ძველ ნაშთებზე შეისწავლა და გამოიკვლია სემიტების, ქამიტების და არიელების თავის-ქალის ანატომიური თავისებურებანი, რის შესახებაც დასწერა სპეციალური სადისერტაციო შრომა.

საერთაშორისო ომის დროს პროფ. კახიანი მომქმედ ჯარში მუშაობდა, რუმინეთის საზღვრებიდან დაწყებული პოლონეთამდის თითქმის ყოველი მეომარი იცნობდა „ევგენი“-ს სახელობის № 1 ქირურგიულ ლაზარეთს, რომელსაც განაგებდა განსვენებული და სადაც ურთულესი ოპერაციები თავის ქალის ჭრილობებზეც კი საველე პირობებში წარმატებით ტარდებოდა.

დოსტაქრობის დარგში პროფ. კახიანი შაბლონებს არ მისდევდა, ის მუდამ აღგზნებული იყო ახალი უფრო ნაყოფიერი ქირურგიული მეთოდების ძიებით და თავისი ფართო ერუდიციაზე დამყარებული შემოქმედებით ნიჭით ქმნიდა კიდევაც ასეთ ახალ ხერხებს ოპერატიულ ტეხნიკაში. ამით აიხსნება ის ხშირი და პირველი შეხედვით გაუგებარი მოვლენა, როდესაც ჩვეულებრივი საექიმო თვალსაზრისით სასიკვდილოდ აშკარად განწირული ავადმყოფი ან დაჭრილი კახიანის გამოცდილ ხელს „მკვდრეთით აღუდგენია“. წამალსა და ექიმობაზე არა ნაკლებ გამკურნებელი იყო ავადმყოფისათვის კახიანის არაჩვეულებრივად ტკბილი, მეგობრული ზრუნვით სავსე მოპყრობა.

1917 წელს ის ეკატერინოსლავის უნივერსიტეტმა მიიწვია პროფესორად ტოპოგრაფიულ ანატომიის კათედრაზე, სადაც 1919 წლამდე ჩვეულებრივი თავდადებით და წარმატებით მუშაობდა. 1919 წელში კი, როდესაც ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტი გაიხსნა, მან, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და ოჯახური მსხვერპლისა, მიაშურა სამშობლოს სამეცნიერო კერას, სადაც მან, პირველ ხანებში, ოპერატიული ქირურგიისა და ტოპოგრაფიულ ანატომიის კათედრაზე მოუხდა მუშაობა. 1921 წლიდან კი მის ხელმძღვანელობაში გადავიდა აგრეთვე ზოგადი ქირურგიის პროპედევტიული კლინიკის კათედრაც, რომელთაც განაგებდა სიკვდილის დღემდე.

თუ რა ფართო ერუდიციისა და იშვიათი პედაგოგიური ნიჭის პატრონი იყო განსვენებული პროფესორი—ეს კარგად იციან ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ექიმებმა და სამკურნალო ფაკულტეტის მრავალრიცხოვანმა სტუდენტობამ.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პროფ. კახიანი გამოჩენილი და დაუფასებელი მუშაკი იყო არა მარტო აკადემიური მოღვაწეობის ფარგლებში: ის იყო აგრეთვე მეცნიერული მკურნალობის მოუსვენარი და დაუღალავი ტრიბუნი ჩვენი ქვეყნის ფართო მშრომელ მასებში. იქ, სადაც წინად ხუცესის ლოცვანი და მარჩიელის კარაბადინი თვალთმაქცობით ხალხს ატყუებდა, ეხლა სამკურნალო მეცნიერების უკანასკნელ სიტყვით და მშრომელთა უზომო სიყვარულით აღჭურვილი პროფ. კახიანი თავისი ერთგული თანამშრომლებით მოღვაწეობდა.

ზაფხულობით, უნივერსიტეტის არდადეგების დროს, როდესაც მეცნიერების ყოველი მუშაკი ერთი-ორი თვე მაინც ისვენებს და მთელი წლის განმავლობაში დახარჯულ ენერგიას იბრუნებს, კახიანმა მოსვენება არ იცოდა. ის ყოველწლიურად თავის სოფელ როკითში ბუნების წიაღში და მისთვის ჩვეულ საველე პირობებში ხსნიდა სადოსტაქრო სამკურნალოს. დაწყებული სვანეთიდან გათავებული გურია-აჭარამდე, მთელი დასავლეთ საქართველოს ღარიბი გლეხობა მოუთმენლად მოელოდა ზაფხულობით კახიანის სოფელში დაბრუნებას. ამ დროს რომ მის ფართო ეზოში შესულიყავით ძველი დროის დღესასწაული გაგახსენდებოდათ: აუარებელი ხალხი ნოხ-ფარდაგით გადახურულ ურმებში შეხიზნული ცის ქვეშ ათევდა ღამეებს და უცდიდა თავის რიგს, რომ პროფესორის გამობრძმედილი ხელით განკურნებულიყო.

ბევრი მათგანი სიღარიბისა გამო უფასოდ ღებულობდა მთელი თვეების განმავლობაში არა თუ ექიმობას, არამედ წამალსა და საჭმელ სასმელსაც კი. ასე ხდებოდა სისტემატიურად, ასე იყო უკანასკნელად წელს ზაფხულშიაც, მაგრამ გასულ ოთხშაბათს, 15 თებერვალს, საღამოთი ყოველივე ეს გაქრა პროფ. კახიანის უკანასკნელ წუთებთან ერთად: დაუნდობელმა სიკვდილმა მოულოდნელად წაართვა მთელ საქართველოს და ამიერ-კავკასიის მშრომელთ თავდაუზოგველი მეგობარი-მკურნალი, ჩვენი ქვეყნის მომავალს დიდი იმედების მომცემი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი, საზოგადოებას კი მაღალი ზრახვებით სავსე სპეტაკი პიროვნება და გამოუთქმელად კეთილი ადამიანი!..

პროფ. კახიანს საერთოდ ლაპარაკი არ უყვარდა, მისი „სიძუნწე“ ამ მხრივ ყველასათვის ცნობილი იყო. მაგრამ მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლე მდიდარი იყო საქმით, შეუჩერებელი შემოქმედებით. ის ყოველ გაჭირვებულზე თავდავიწყებით ზრუნავდა და ყველას უფრთხილდებოდა გარდა თავის თავისა. ის მხოლოდ ღამის 1—2 საათზე ახერხებდა სამუშაოს მოსრულებას და დროის უქონლობისა გამო ლოგინში ათვალიერებდა მიმდინარე სპეციალურ ლიტერატურას. დილის 7—8 საათზე კი ის ისევ ფეხზე იყო, რომ სახელოვნად განეგრძო მისთვის ჩვეულებრივი ჭაპანის წევა.

მას დარჩა მეუღლე და ორი პაწია ვაჟი, რომელთა მომავალი, უნდა ვიფიქროთ, უზრუნველყოფილი იქნება.

განისვენე უდროოდ დაკარგულო ძვირფასო მეგობარო! ჩვენ, შენი ამხანაგები ვეცდებით ჩვენი სუსტი ძალ-ღონის მიხედვით ნაწილობრივ მაინც შევასრულოთ შენი უსიტყვო ანდერძი ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობის შესახებ!

შალვა მონიძე.



პროფ. ნ. კახიანი

დიდი უბედურება დაგვემართა. ერთი წლის განმავლობაში ჩვენ დავკარგეთ სამი მეცნიერი: პროფესორი გოგიტიძე, პროფესორი მელიქიშვილი და პროფესორი კახიანი.

საქართველო იცნობს დიდ მწერლებს: ილიას, აკაკის, შოთას. მეცნიერებს არ აქვთ ეს ბედნიერება. ასეთია ჯერ ტრადიცია. პროფ. ნიკოლოზ კახიანი გამონაკლისს შეადგენდა. იგი სულ 1919 წლიდან მოღვაწეობს საქართველოში და ამ 8 წლის განმავლობაში უკვე გაიცნო ჩვენმა ფართო მასამ. არა, კი არ გაიცნო, შეიყვარა პირდაპირ. იმერეთში ოჯახი აღარ არის, რომ მოკრძალებით არ ახსენებდეს მის სახელს, ვინ იცის დღესაც, სანამ ჯერ კიდევ გაზეთის მწარე ცნობას არ ჩაუწვდენია მივარდნილი სოფლის ქოხებში, რამდენი იმედით შეჰყურებს მომავალ ზაფხულს, რომ პროფ. კახიანს აჩვენოს მისი ერთად-ერთი შვილი, და, ძმა, ქმარი, მამა... ეხლა ა.-კ. რკ. გზის მუშებს ჰკითხეთ, ჰკითხეთ თბილისს...

პირველად პროფ. კახიანი მის სოფელში გავიცანი როკითში, 1923 წ., როდესაც, რუსეთიდან დაბრუნებული მივმართავდი თხოვნით მივეღე მის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ მისდამი რწმუნებულ პროპედევტიულ ქირურგიულ კლინიკაში. გამაცვიფრა ამ, პირდაპირ, უცნობი ადამიანის მოპყრობამ. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო ისეთი სითბო და სისადავე.

შემდეგ, იმავე წლის ოქტომბერში პირველად მოვისმინე მისი ლექცია ტოპოგრაფიულ ანატომიაში, არ დამავიწყდება ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც ამ ლექციამ მოახდინა ჩემზე. ვადარებდი მას მოსკოვისა და კიევის გამოჩენილ პროფესორთა ლექციებს ამ დარგში და პირდაპირ ვამაყობდი. რა დიდი ერუდიცია, რა ღრმა ბიოლოგიური ანალიზი, რა ბრწყინვალე პედაგოგიური ტეხნიკა მოსავდა ამ ლექციებს. მასთან (გასაოცარი იყო) კერძო ცხოვრებაში ისე ცოტა და არა გამართულად მოლაპარაკე, რა მჭერმეტყველობითა და დახვეწილობით საუბრობდა აქ ქართულ ენას. ასეთივე მომხიბლავი იყო მისი ლექციები ოპერატიულ ქირურგიაშიც. გარდა ოფიციალური ლექციებისა, პროფ. კახიანი 1923-24 წლ., კვირაობით, იმავე ანატომიურ ინსტიტუტში კითხულობდა თავისუფალ ლექციებს ექიმთათვის. და თქვენ უნდა გენახათ ის უსაზღვრო სულიერი კმაყოფილება, რომლითაც ივსებოდა სხვადასხვა ქირურგიული კლინიკისა და საავადმყოფოს ასისტენტებითა და ორდინატორებით გაჭედილი აუდიტორია ამ ლექციების შემდეგ.

რა ძალას წარმოადგენდა პროფ. კახიანი ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტისათვის და როგორი იყო მისი სამეცნიერო ღირებულება? ამაზე პასუხს გვცემთ მხოლოდ ერთი დასახელება მისი 18 შრომისა, რომელთა სათითაოდ ჩამოთვლა უადგილობის გამო აქ არ შეგვიძლია. მისივე რედაქტორობით თარგმნილია ცნობილი ბობროვის ტოპოგრაფიული ანატომიის სახელმძღვანელო. გარდა ამისა პროფ. კახიანს მოწოდებული აქვს რამდენიმე საკუთარი განკვეთი მუნჯ-ბარძაყის სახსრის გახსნისა, ტვინის დანამატის ამოკვეთისა და სხვა ოპერაციის დროს. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია და გამოქვეყნებული მის მოწაფეთაგან რამდენიმე ათეული სამეცნიერო შრომა. სულ ერთი კვირის წინათ მან შეიმუშავა და გაანაწილა თანამშრომელთა შორის მთელი რიგი ახალი თემებისა, მიუჩინა რა თითოეულს თავისი ლიტერატურა და მოითხოვა მათი დამზადება მომავალი საექიმო ყრილობებისათვის.

როგორი იყო პროფ. კახიანი როგორც დოსტაქარი? მე ვერ მოვინახავს ამ აზრის შემცველელი ერთი სიტყვა. პროფ. კახიანში ოპერაციის დროს გასაოცარი წონასწორობით მისდევდა ერთი მეორეს დიდი ტეხნიკა, მდიდარი ტოპოგრაფიული ცოდნა, იშვიათი სიმშვიდე და გამაცვიფრებელი სიმტკიცე. და ყველა ეს, ერთად შეკავშირებული, ქმნიდა ერთს ძლიერსა და ნებოვან დოსტაქარს, რომლის ქმედობა აჯადოებდა ოპერაციის თანადამსწრეთ. ხშირად მას ისეთი სისწრაფით დაუხსნია სკალპელი ცოცხალი ადამიანის უსათუთეს ქსოვილებზე, რომ ერთბაშად შიშისაგან შეძრწუნებულხარ, მაგრამ წუთი და შენს წინ გაკვეთილი იყო მხოლოდ ის ფენა, რომელიც უნდა გაკვეთილიყო, მის ქვეშ მეორე ფენა, მაგ. ნაზი და სიფრიფანა მუცლის აპკი, ან ღლარჯის ქაღალდივით თხელი სეროზული გარსი ნაწლავისა, სრულიად უვნებელი იყო. და თუ მოხდებოდა, რომ რაიმე მიზეზის გამო, იშვიათად, იგი სხვა ნაწილსაც შეეხებოდა, უკანასკნელი უმალვე, თვალის დახამხამებაში იქნებოდა გამთელებული, ხშირად ასისტენტის შეუმჩნევლადაც.

აღსანიშნავია კიდევ ერთი თვისება: კაცი, რომელიც კერძო ცხოვრებაში გულკეთილობის განხორციელებას წარმოადგენდა—აქ, ოპერაციებზე, რაღაც საოცარი სიცივეს იჩენდა და ავადმყოფის კვნესით არასოდეს უღალატებდა წინდაწინ ასახულ საოპერაციო გეგმას. არც ერთი ხმა, არც ერთი ჟესტი მისგან ჩვენ არ გვინახავს ოპერაციის დროს. ამიტომ იყო, რომ ჩვენ, მისი მოწაფეები, მოხიბლული ვიყავით პროფ. კახიანის ტეხნიკით და თითოეულ მის მძიმე ოპერაციისათვის დღესასწაულებრივ ვემზადებოდით...

როგორი იყო პროფ. კახიანი როგორც მკურნალი? ამაზე კალამი იმდენს ვერ იტყვის, რამდენსაც თვით ფაქტები, რომლებიც მოფენილია მთელ თბილისსა და მის გარეთ. იგი კურნავდა წამლით, მოპყრობით და ხშირად უბრალო სიტყვითაც. მისთვის არ არსებობდა ავადმყოფთა გარჩევა, არ არსებობდა ეროვნება, არ არსებობდა ფულის ვარაუდი. ხშირად გავმხდარვარ მოწმე, როცა იგი საკუთარ ფულს აძლევდა წამლისათვის პაციენტს, რომელიც მხოლოდ დღეს გაიცნო, ან თავის ხარჯზე აწვენდა კერძო საავადმყოფოში მისი სოფლიდან ჩამოსულ გლეხს... პირდაპირ გასაოცარი იყო ის ნდობა, რომლითაც მას ეპყრობოდა ავადმყოფი. სოფლის მიწის მუშა, ან მისი ცოლი, რომელიც წინათ დანისა და სისხლის გაგონებაზე უკან გარბოდა, ხშირად პროფ. კახიანისაგან მოითხოვდა: „გამჭერი, ბატონო, და მინახე რაც უბედურება მჭირს“-ო. და... რამდენს მომაკვდავისათვის გაუნათებია მის ფართო სახეს, რამდენი ავადმყოფისათვის მიუნიჭებია მას სიცოცხლე, რამდენი ოჯახისათვის დაუბრუნებია სიკვდილის ფეხებთან წამოჩოქებული შვილი?..

იმავე დროს თქვენ უნდა გენახათ მისი უსიტყვო მღელვარება და ჯავრი, როცა კლინიკაში ოპერაციის შემდეგ ვინმე მოკვდებოდა. მთელი ღამის განმავლობაში ელხმენით გვეკითხებოდა ბინიდან მორიგე ორდინატორს ასეთი მძიმე ავადმყოფის შესახებ და როცა გაიგებდა, რომ იგი უკვე გარდაიცვალა, გაჯავრებით ჩამოჰკიდებდა მილს და შესწყვეტდა ლაპარაკს. მეორე დღეს, ზოგჯერ, სულაც აღარ მოვიდოდა კლინიკაში და თუ მოვიდოდა, არავისგან უნდოდა მოესმინა იმ ავადმყოფზე ერთი სიტყვაც.

როგორც ადამიანი და მოქალაქე. ვისაც თუნდა ერთხელ ჰქონია პროფ. კახიანთან საქმე, მან უკვე იცის რა დიდი ბუნება, რა კეთილშობილება, რა თავგანწირულებამდე აყვანილი მზრუნველობა ბუდობდა ამ კაცში. ხშირად ჩვენ გვღუპავს საკუთარი ინტრიგანობა. რამდენი ბრწყინვალე წამოწყება და ცოცხალი საქმე ჩაკლულა ამ სენით, როგორც ნორჩი ფოთოლი ჭიისაგან. და აი ერთი ადამიანი, რომელსაც ვერ მიჰკარებოდა ეს საშინელი მატლი. შეუძლებელი იყო მისგან სხვისი შეშურება, ცუდი განზრახვა და ამისათვის უღირსი ხერხები. კლინიკაში, პროფ. კახიანის კაბინეტში თანასწორად შედიოდა, გაუფრთხილებლად, ექიმი და სტუდენტი, ავადმყოფი და ჭირისუფალი, ინტელიგენტი და მუშა. მისგან არავის სმენია უბრალო საყვედურიც.

ქუჩაში მას ეტლში აჩერებდენ ავადმყოფის რჩევა-დარიგებისათვის; საავადმყოფოს წინ მას მთელი კრება უცდიდა ყოველ დილას; ბინაზე ხშირად შუაღამეზე მოსულა მასთან ჭირისუფალი და შეუწყვეტინებია კაბინეტში მუშაობა.

— „რას იზამ, ალბად ძალიან უჭირს“-ო, უთქვამს და გაჰყოლია ავადმყოფს სანახავად.

ერთხელ მე თვით ღამის პირველ საათზე წავიყვანე იგი ფაკულტეტის სხდომიდან ყოფილ არამიანცის საავადმყოფოში, ავადმყოფ ამხანაგთან. დიახ, ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ მასთან, რომ ასე უსაზღვროთ, ასე უანგარიშოთ ვაცლიდით ამ კაცს ენერგიასა და სიცოცხლის ძალას.

პროფ. კახიანი, იმავე დროს, არ იყო მარტო ვიწრო მკურნალი და დოსტაქარი, იგი მოქალაქეც იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და საზოგადოების წევრი. მას აინტერესებდა ჩვენი ქვეყნის თვითეული ახალი საქმე და გულმოდგინეთ ისმენდა ასეთის შესახებ გაზეთებიდან თუ კერძო პირისაგან. განსაკუთრებით უყვარდა მას მუსიკა და ხელოვნება. მე არ ვიცი თბილისში ერთი ექიმი, რომელიც ისე ხშირად იჯდა აკადემიურ ოპერის თეატრში ან სახელმწიფო კონსერვატორიაში, მას არ გამოეპარებოდა არც ერთი ახალი შემოქმედება ამ დარგში და ხშირად ჩვეულებრივ მოქალაქეთა ადრეც ნახულობდა მას.

როგორც მასწავლებელი—მეგობარი, პროფ. კახიანი რუსის ძველი სტუდენტის ტიპი იყო, ფართო, კეთილშობილი ბუნებისა და გაშლილი ხასიათის მქონე.

აი, დღეს ამ კაცს ვმარხავთ და მე იშვიათად მინახავს თბილისი ასე შეშფოთებული. ოთხი დღეა ქუჩაში გამოსვლა მიმძიმს.

განა პროფ. კახიანზე დიდი ჩვენ არავინ დაგვიკარგავს?! ბევრი! მაგრამ რაღაც უეცარ ზარათ მოსკდა ჩვენ ეს საშინელი ამბავი. არავინ ელოდა მას! იგი სულ 44 წლისა იყო, ვაჟკაცი, სიცოცხლითა და ენტუზიაზმით სავსე. ჯერ კიდევ გუშინ იგი არტისტულის ხელოვნებით ქმედობდა ოპერატორის დანით ხელში სხვისი სიცოცხლის აღსადგენათ და... აბა ვინ იფიქრებდა, რომ დღეს თვით მისი სიცოცხლე გაწყდებოდა, შეჩერდებოდა სამუდამოდ!?

ძვირფასო მასწავლებელო, ჩვენო სიამაყე და სიმწარე!

რამდენიმე საათი და მისი მშვიანი სახე, გაშლილი შუბლი, დიდრონი თვალები და ავარდნილი ტანი დიდუბის პანთეონში ჩაეშვება, რომ სამარადისოდ მიეფაროს შავი თალხით მოსილ უნივერსიტეტს... დაობლებულ მოწაფეებს... მწუხარე თბილისს.

მშვიდობით!..

მ. ტყავაძე.

პროფ. ნ. კახიანის ხსოვნას

უფრო მძლავრად, მგონი, მტერიც
ვერ ჩაგვცემდა გულში მახვილს!
მეხი, ზარი, ვერაფერიც
ვერ უდრის ამ გლოვის ძახილს,

რადგან ხალხი შრომის ქვეყნის
მოსთქვამს მწარედ თავის შვილზე,
ამ მიზეზზე მშობლის კვნესის,
საამაყოთ გამოზრდილზე!

ეხლა ძუძუს მშობლის მკერდზე
რომ დააჩნდეს წყლული მძიმედ,
რომ ვაჭდევდით შენზე, ერთზე,
ვინ აღგვიდგენს კვლავ იმ იმედს?!.

ეხლა მშრომელს, ბერძოლს ომში,
მტერმა ტყვია რომ აძგეროს,
ამ წყლულს ზრუნვით ვინ გადმოშლის,
სასიმრთლოდ რომ ამოჰკეროს?!.

ვისი ხელი შეენაცვლოს
შენს მადლიან დაცდილ მარჯვენს?
შრომის მდელო ვინ ინაღვლოს?
მას მებრძოლს კვლავ ვინ შეარჩენს?!.

იქნებ მითხრან, რომ ის ხალხი
ვინც შენ გშვა და გამოგზარდა,—
რათ ჩავიცვათ უნდა თალხი?—
კვლავ აღმოზრდის სხვას, შენს გარდის!

გულს სჯერა და გონება სწუხს...
გული სწუხს და ჭკუას სჯერა,
რომ მოჭრილ ბედის მარწუხს
გაბედულად უნდა ცქერა!..

მაგრამ, განძო... ვაი, განძო,
საგანძურთა ყველა დარო!
მიმძიმს, ისე როგორ გავძლო,
წუთით ხელს არ დავედარო,

არ შევსძახო: „ზიზღი სიკვდილს,
მოგვიტანა რამც ეს სევდა,
რომ მას ვხედავთ დღეს პირ-მიხდილს,
ვინც სიკვდილს თვით დანით ხდევდა!..

არ ინდობდა არსად იმათ,
ძირშივ ჰკვეთდა მათ და ჰზრავდა,
და სიცოცხლეს, მზის ციმციმით,
სასიმრთელო ძაფით ჰკრავდა!..“

ნ. ზომლეთელი.

ღრმაა ჩვენი მწუხარება

ჩვენთვის, ბაღდადის გლეხებისათვის მძიმე და აუტანელია პროფ. კახიანის გარდაცვალება.

15 თებერვალს, 9 ს. და 25 წ. საუკეთესო ადამიანმა, ხალხის იმედმა, შესწყვიტა სიცოცხლე.

შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა დაჰკარგა ბაღდათის მოსახლეობამ პროფ. კახიანის გარდაცვალებით, რომელსაც ყოველ ზაფხულს სიხარულით, აღფრთოვანებით მოლოდინში მყოფნი, ველოდით. და მართლაც უძვირფასეს საჩუქარს—განკურნებას, რჩევას, დარიგებას ვღებულობდით პროფ. კახიანისაგან.

განა ჩვენთვის ძვირფასი და დაუფასებელი არ იყო პროფ. კახიანი, რომელიც ხშირად ღარიბ გლეხობას უსასყიდლოდ გვეხმარებოდა?

ჩვენ ვერ შეურიგდებით იმას, რომ ჩვენი იმედი, ჩვენი კეთილდღეობის უზრუნველმყოფი, ჩვენი სიამაყე, აღარ დაბრუნდება ჩვეულებრივად ზაფხულზე.

მალე ვიგრძნობთ ამ დანაკლისს. ვეღარ მივიღებთ ალერსიან, დამატკბობელ, გამფაქიზებელ სიტყვებს პროფ. კახიანისაგან.

ღრმაა ჩვენი მწუხარება მისი დაკარგვის გამო.

გურია კვირიკაძე.

პროფ. ნ. ს. კახიანის ხსოვნისათვის

— „გარდაიცვალა პროფ. ნიკ. კახიანი“—ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს მშრომელ ხალხს. შემთხვევა მაქვს ამჟამად მოწამე ვიყო ხაშურის რკინის გზელების ღრმა მწუხარებისა პროფ. კახიანის გარდაცვალების გამო.

მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის საგუშაგოზე დაიფერფლა პროფ. ნიკ. კახიანის სიცოცხლე. გარდაიცვალა მეცნიერების ერთგული მუშაკი, რომელმაც უხვად მოახმარა თავის შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში, მთელი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია მუშათა კლასის ფიზიკურ გაჯანსაღებას. ამას გრძნობს ყველა, ვისაც შემთხვევა აქვს მუშებთან ახლო ყოფნის. ამ დანაკლისს გრძნობს მწვავედ ჩვენი მუშათა კლასის ჯანმრთელობისათვის მზრუნავი ორგანოები. ამ დანაკლისს მწვავედ გრძნობს საბჭოთა ხელისუფლება, რომლის ერთ-ერთ უმთავრესს საზრუნავს ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმე.

ჩვენ მოწმენი ვიყავით ისეთი იშვიათი და თავგანწირული მუშაკის მუშაობისა მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის დარგში, რომელმაც არ იცოდა დაღლა, რომელიც მთელი დღეებით სდარაჯობდა მშრომელის სიცოცხლეს, რომ ეხსნა იგი სიკვდილის ბრჭყალებიდან, რომელიც არავითარ დაბრკოლების წინაშე არ ჩერდებოდა მუშის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ ის ვინც სხვის სიცოცხლეს სდარაჯობდა, ვისაც ასეული და ათასეული მშრომელი მასებისათვის შეუნარჩუნებია ჯანმრთელობა და სული, დღეს ცხედარს წარმოადგენს.

ხანმოკლე იყო პროფ. ნიკ. კახიანის სიცოცხლე, მაგრამ მდიდარი თავგანწირულებით და საქმისადმი ერთგულებით. თბილისის რკინის გზის პროლეტარიატი იყო ყოველთვის ამის მოწმე. ხშირად გვსმენია ამის შესახებ რკინისგზელი მუშებისაგან. ხშირად გვქონია შემთხვევა სიკვდილისაგან პროფ. ნიკ. კახიანის მიერ გადარჩენილი მრავალი ასეული რკინის გზელის ნახვისა. ეს ადამიანი იმდენათ საყვარელი იყო ყველა რკინისგზელებისა და მათი ოჯახის წევრთათვის, რომ ხშირად ყოველგვარ ავადმყოფობაზე და სენზე რჩევისთვის პროფ. ნიკ. კახიანს მიმართავდენ. თავის უჩვეულო მშობლიური მზრუნველობით, თავის ამხანაგური მოპყრობით, თავის არაჩვეულებრივი უბრალოებით, პროფ. ნიკ. კახიანმა დაიმსახურა ჭეშმარიტი სიყვარული არა მარტო თბილისის რკინის გზელთა შორის, არამედ ა.-კავკასიის სხვა ცენტრების რკინის გზელთა შორისაც.

პროფ. ნიკ. კახიანთან ისწრაფებოდენ ავათმყოფი რკინისგზელები ბაქოდან, განჯიდან, ლენინაკანიდან, ხაშურიდან, შორაპნიდან, სამტრედიიდან, ქუთაისიდან, ბათომიდან და მრავალი მათგანის სიცოცხლე უზრუნველჰყო დოსტაქარის გამოცდილმა ხელმა და შეუდარებელმა ნიჭმა და ცოდნამ.

ასეთივე თავგანწირულებითაა აღსავსე პროფ. კახიანის მუშაობა სოფლად ჩვენი მშრომელი გლეხების გასაჯანსაღებლად.

ჭეშმარიტად დიდია მისი დანაკლისი...

მე წარმოდგენილი მაქვს პროფ. კახიანის გარდაცვალების თავზარდამცემი ამბავი, რომელიც მოედებოდა თბილისის რკინის გზის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ლოგინებზე მოთავსებულ ავადმყოფებს.

მისი ხსოვნა უკვდავი იქნება ჩვენს მშრომელთა შორის. გვრწამს, რომ მშრომელთა ეს დიდი დანაკლისი შევსებული იქნება იმ ახალგაზრდობიდან, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა. ამ ახალგაზრდობის გზის მანათობელი მუდამ იქნება პროფესორ ნიკ. კახიანის ხანმოკლე, მაგრამ მდიდარი შინაარსის მოღვაწეობა.

პარმენ საბაშვილი.

ქ. ხაშური.

პროფ. კახიანი და რკინისგზელები

ერთგული და თავდადებული მცველი რკინისგზელთა ჯანმრთელობისა—აი ვინ იყო პროფესორი კახიანი ამ წლების განმავლობაში. ყოველი რკინისგზელი უსაზღვრო ნდობით ნებდებოდა იმ ბუმბერაზ ხელოსანს, რომელიც უტეხი ნებისყოფით იცავდა მას სიკვდილისაგან. თავდაბალი, უებარი მკურნალი—პროფ. კახიანი, სარგებლობდა დიდი პატივისცემით და ავტორიტეტით რკ. გზელთა შორის. არა ერთი დაუბრუნებია მას წარმოებისათვის, მისი შრომა და ცოდნა აუცილებელი იყო ჩვენი ტრანსპორტის აღორძინებლად.

მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ასე მოულოდნელად, შემთხვევით შესწყვიტა მისი სიცოცხლე.

მწარეა ეს დანაკლისი.... მისი მეოხებით გაჯანსაღებულ რკ. გზელთა უროების დარტყმის დროს, ყოველთვის ვიგრძნობთ, თუ რა იყო პროფესორი კახიანი ჩვენთვის.

თბ. უბ. რკ. გზ. პროფკავშირის პრეზიდიუმი.

შეუდარებელი მასწავლებელი

დღეს, როდესაც საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა აწყობს ზეიმს თავის უნივერსიტეტის 10 წლის თავის აღსანიშნავად, სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტობა გლოვობს თავის უებრო მასწავლებლის პროფ. ნ. ს. კახიანის უდროვოდ გარდაცვალებას.

დღეს სტუდენტობა ცრემლში ნალესი ნაღველით მიწას აბარებს უკვე მესამე ნიჭიერ პროფესორს; ამ იშვიათ მასწავლებელს, ყველას მოყვარულ, გულკეთილ ადამიანს.

დღეის იქით საქართველოს ხალხი ვერ გაიგონებს იმ დიად პროფ. მკურნალის, ძლიერ დოსტაქარის სახელს, რომლის ქება-დიდება კუთხიდან-კუთხემდე გაისმოდა.

ქართველ სტუდენტთა შორის, ვისაც კი ახსოვს მისი ოპერატიულ ქირურგიისა და ტოპოგრაფიულ ანატომიის შეზავებული, მომხიბლავი შინაარსით და მწყობრი ენით გადმოლაგებული ლექციები, ვისაც მოუსმენია ქირურგიული პათოლოგიის გადმოცემა, მიუღია, მხოლოდ მისგან, ფრიად საინტერესო ცნობები ემბრიოლოგიიდან და უნახავს ურთულეს ოპერაციების დროს მისი მედგარი ნებისყოფა და მიღწევები, ყველა ესენი იტყვიან, რომ ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტს მოსწყდა მესამე დიდმნიშვნელოვანი ძარღვი, რომლითაც ის აწვდიდა მეცნიერულ საზრდოს საქართველოს მოსწავლე ახალთაობას.

დიდი არის თქვენი სახელი და ღვაწლი, ძვირფასო პროფესორო.

მე-6 კურსის სტუდენტობამ დავკარგეთ თქვენის სახით უშუალო ხელმძღვანელი იმ დიდი საქმისა, რომელსაც თქვენ ემსახურებოდით ყოველთვის მხნედ და მტკიცედ.

მე-6 კურსის სტუდენტები ი. დავითაია, მ. ჩაჩავა.

პროფ. ნ. კახიანის გარდაცვალების გამო

დაუნდობელმა სიკვდილმა ჩვენი რიგებიდან კვლავ გამოგვტაცა მაღალნიჭიერი, დაუღალავი და სპეტაკი მუშაკი, საექიმო მეცნიერების დარგის ერთი საუკეთესო და წარჩინებული წარმომადგენელთაგანი პროფ. ნ. კახიანი, ჯერ კიდევ ენერგიითა და შინაარსიანი სიცოცხლით აღსავსე პიროვნება.

მომზადებული და ზედმიწევნით მცოდნე—ოსტატი თავისი დარგისა, როგორც დოსტაქარი, მრავალ მეცნიერულ-პრაქტიკულ ხასიათის შრომების ავტორი, ალერსიანი და გულშემატკივარი მეგობარი ავადმყოფებისათვის, საყვარელი ამხანაგებისათვის და დაუდრეგმელი ენერგიის პატრონი—აი ის თვისებები, რომელიც ახასიათებდა განსვენებულს.

მისი დანაკლისი ჩვენთვის დღეს აუნაზღაურებელია, რადგანაც აღმშენებლობის ახალ გზაზე შემდგარი საქართველო განსაკუთრებით ახლა საჭიროებს განსვენებულის მსგავს თავდადებულ მუშაკებს. კერძოდ კი ხალხის გაჯანსაღების საქმეს როგორც თბილისში, ისე მთელ საქართველოში, მოსწყდა საიმედო მოღვაწე და მომზადებული მეცნიერი.

პროფ. კახიანის დანაკლისი გვიორკეცდება კიდევ იმით, რომ განსვენებული ეკუთვნოდა იმ პირთა წრეს, რომელთაც გულწრფელად და შეგნებულად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ალღო აუღეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებასთან თავგანწირული თანამშრომლობის საჭიროებას და თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ და წარმატებისათვის მუშაობის აუცილებლობას.

ნახსენები თვისებების შეთავსება ერთ პიროვნებაში იშვიათი, ბედნიერი მოვლენაა და არა ყველა ადამიანის ხვედრია.

პროფ. კახიანის ნათელი წარსული მოღვაწეობა და უდროოთ შეწყვეტილი ცხოვრება არის საუკეთესო ფურცელი იმ შინაარსიან წიგნისა, რომელსაც ეწოდება ხალხისათვის თავდადებულის, უანგარო მოღვაწისა და უმწიკვლო ადამიანის არსებობის ისტორია.

არა ერთი და ათასი სიცოცხლე, რომელიც მცოდნე და დახელოვნებულ ხელით სიკვდილისაგან გამოუგლეჯია განსვენებულს სიყვარულით და სახოებით მოიგონებს მას.

თბილისის მუშები კი, რომელნიც დიდი გლოვით მიაცილებენ დღეს მის პატიოსან ნეშთს სამარადისოდ განსვენების ადგილას, მას მიუძღვნიან მწუხარებით შეზავებულ გრძნობებს და ამით გამოხატავენ მის მიერ შესრულებული საქმიანობის დაფასებას.

ვიქონიოთ იმედი, რომ მისი მაღალი ადგილი ხალხის საკეთილდღეოდ დაკავებულ იქნება მის თანაბარი მუშაკით.

მის დაობლებულ მოწაფეთა მეხსიერებაში კი მუდამ აღბეჭდილ იქნას მისი პიროვნება და სამაგალითოდ დარჩეს მის მიერ განვლილი გზა და მოღვაწეობა.

ი. მამულია.

პროფ. ნ. კახიანის ხსოვნას

16 თებერვალს გავრცელდა ხმა მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეებში, რომ ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა დიდი მეცნიერი და ადამიანის სიკვდილისაგან მხსნელი, ენერგიით სავსე პატიოსანი პიროვნება პროფ. ნ. ს. კახიანი.

დიდი დანაკლისია ასეთი პიროვნების დაკარგვა ჩვენი ხალხისთვის, განსაკუთრებით კი რკინის გზის პროლეტარიატისათვის.

ამხ. ნ. ს. კახიანი მთელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშებისათვის სიამაყე იყო; ჩვენ ასეთი დიდებული ოპერატორი გვყავდა.

მრავალი მუშა-მოსამსახურე და ოჯახის წევრი სიცოცხლობდა მისი იმედით; დარწმუნებული იყო, რომ უკანასკნელ წუთებში მას კახიანი გადაარჩენდა სიკვდილისაგან. საკმარისი იყო მხოლოდ მისი გავლა საავადმყოფოში, რომ მომაკვდავ ავადმყოფს უკვე იმედი მისცემოდა.

მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა რამდენიმე დღეში წაგვართვა ის. გარდა ამისა მომავალი ჩვენი იმედები დამყარებულია ახალთაობაზედ და აი სწორედ ჩვენთან ერთად ახალთაობამ დაჰკარგა ძვირფასი მასწავლებელი და მეცნიერი.

მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეებმა დავკარგეთ ისეთი პიროვნება, რომლის ბადლის მონახვა ძნელია, ამისათვის ჩვენც სხვებთან ერთად უერთდებით საერთო მწუხარებას. არასოდეს რკინის გზის მუშებში არ იქნება დავიწყებული პატიოსანი მუშაკი ნ. კახიანის სახელი.

მთავარ სახელოსნოების ადგილკომის დავალებით ქ. მაჭარაძე.

რკინისგზელები გლოვობენ პროფ. კახიანს

პროფესორ ნ. ს. კახიანის სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია თბილისის რკინისგზის საავადმყოფოსათვის. ნიკოლოზ სავლეს ძემ 7 წელი იმსახურა საავადმყოფოში კლინიკის დირექტორის და ქირურგიულ განყოფილების გამგის თანამდებობაზე და თავისი ოპერატორ ქირურგის ბრწყინვალე ნიჭით, ავადმყოფებისადმი ყურადღებით მოპყრობით, თავისი თავდაბლობით, თვითეულ ავადმყოფთან სათუთი მიდგომით ფართო პოპულარობა მოიპოვა რკინის გზის პროლეტარიატში.

ის იყო ახალგაზრდა ექიმებისა და სტუდენტების წამახალისებელი და ხელმძღვანელი, მათგან ის ქმნიდა ქირურგის სერიოზულ მუშაკთა კადრს მთელს საქართველოში, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში.

სამეცნიერო მუშაკებიდან ნიკოლოზ სავლეს ძემ პირველმა შეიტანა სერიოზული სამკურნალო დახმარება გლეხის ქოხში. მრავალი ათასი გლეხი გადაგვირჩინა მან სიკვდილისაგან.

ჩვენთვის, ყველასთვის, ვინც მასთან ვმუშაობდით საავადმყოფოში და ვსარგებლობდით მისი ძვირფასი რჩევა-დარიგებით, პროფესორი ნიკოლოზ სავლეს ძე იყო გზის მანათობელი ჩვენი სამეცნიერო აზროვნების განვითარებაში, აგრეთვე ავადმყოფთან სიყვარულით მიდგომის საქმეში.

ძვირფასო მეგობარო, ერთგულო ამხანაგო და სწორუპოვარო ხელმძღვანელო! დეე ჩვენმა ქვეყანამ წარმოშვას შენი დიადი საქმის გაგრძელების ღირსი შვილები. შენი ხსოვნა აღმოუფხვრელი დარჩება და იცოცხლებს მომავალ თაობებში.

რკინისგზის საავადმყოფოს დირექტორი ნემსაძე.

უმძიმესი დანაკლისი

დავკარგეთ მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენელი პროფ. კახიანი. დავკარგეთ საყვარელი ადამიანი.

საშინელია ეს წუთები ყველასათვის, ვინც კი იცნობდა თუ ვინ იყო პროფ. კახიანი.

უაღრესად სამძიმოა მისი დაკარგვა ჩვენთვის, სამკურნ. ფაკულტ. 1-ლი კურსის სტუდენტებისათვის, რომელნიც ვერ ვეღირსეთ ჩვენი მეცნიერის მგრძნობიერი სიტყვების მოსმენას მის კათედრიდან. ის თავდადებულად და დაუღალავად მთელი გულის სიღრმიდან გადმოსძახოდა მომავალ კადრს ექიმებისას— „მხნედ, მედგრად, დაუღალავად, წინ ეძიეთ მეცნიერებაში ის, რაც იხსნის კაცობრიობას სიკვდილის ბასრ ბრჭყალებიდან“-ო.

დღეს ეს შეუდარებელი ადამიანი აღარ გვყავს, დღეს შავ სუდარაში გახვეულია მეცნიერების ტაძარი. ამ უბედურ წუთში მუხლ მოდრეკით სდგას სამკურ. ფაკულტ. 1-ლი კურსის სტუდენტობა და ფიცს სდებს ძვირფას მეცნიერის ცხედრის წინაშე, რომ მუდამ ჩვენს გულში უკვდავი იქნება, რომ ჩვენთვის ნათელი იქნება შენს მიერ განვლილი გზა და სახე შენი, როგორც სიამაყე ჩვენი მეცნიერების წინ გაგვიძღვება მეცნიერების უმაღლეს საფეხურამდე.

სამკურ. ფაკულტ. 1-ლი კურსის სტუდენტობა.

სამძიმრის დეპეშები

სოფლებიდან

პროფ. ნ. კახიანის გარდაცვალების გამო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მიღებულია შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები:

ბაღდათის საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტი, კომპარტიის ადგილობრივი უჯრედი და მთელი გლეხობა, ადგილობრივი მასწავლებლობა და მთელი მშრომელი ინტელიგენცია ღრმა მწუხარებით დავსტირით ჩვენი რაიონის სასიქადულო შვილის გამოჩენილ დოსტაქარის და სამაგალითო ადამიანის—პროფ. ნიკოლოზ კახიანის ცხედარს.

ბაღდათის თემაღმასკომი.

სოფ. როკითი, სულით და გულით გლოვობთ ჩვენი სასიქადულო შვილის პროფ. ნიკოლოზ კახიანის გარდაცვალებას.

სოფ. ზეკარი. ზეკარის თემის მშრომელნი ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ პროფ. ნ. ს. კახიანის უდროოთ დაკარგვის გამო.

აჭარისტანის საექიმო საზოგადოებისაგან

აჭარისტანის საექიმო საზოგადოება ღრმა თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ექიმთა საზოგადოებას და ქართულ უნივერსიტეტს, სამაყო პროფესორის და უდიდესი ქირურგის ნიკოლოზ კახიანის გარდაცვალების გამო.

საზოგადოების გამგეობა.

სამხრეთ-ოსეთიდან

სამხრეთ-ოსეთის ექიმები ღრმა მწუხარებით დავსტირით დიდი მეცნიერის და ძვირფას მასწავლებლის პროფ. კახიანის ნეშტს. მუდამ წარუშლელი დარჩება ჩვენში მისი ხსოვნა.

საექიმო სექცია.

ვანის თემის მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ იმ დიდი მეცნიერის და მასწავლებლის დაკარგვის გამო, როგორიც იყო პროფესორი ნიკოლოზ სავლეს ძე კახიანი.

ვანის აღმასკომის თავმჯდომარე.

ლორთქიფანიძე.

გარდა ზემოთ მოყვანილი დეპეშებისა, მიღებულია კიდევ შემდეგი სამძიმრის დეპეშები:

სოფ. ვანიდან—თემის საზოგადო კრებისაგან, თბილისის ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეთაგან, შორაპნის რკ. გზის მე-5 უბნის საექიმო დარგის მუშაკთაგან, დაბა აბაშიდან—ექ. ჩიხაიასაგან, ქუთაისის განათლების მუშაკთა კავშირისაგან, დასავლეთ საქართველოს ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებისაგან, ქუთაისის ტუბდისპანსერისაგან, ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმის პედაგოგიურ საბჭოსაგან, ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ჯანმრთ. განყოფილებისაგან, ხრესილიდან—ექ. კ. ბაქრაძისაგან, ფოთის ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებისაგან, ფოთის აღმასკომის განათლების განყოფილებისაგან, გორიდან—სამ. აღმასკომის საექიმო სექციისაგან, ზესტაფონის სამრეწველო ტეხნიკუმიდან, ქუთაისის სამკურნალო ტეხნიკუმიდან და ტეხნიკუმის მსმენელთაგან, ბათომის 9 წლედის პედაგოგიური საბჭოსაგან, ოზურგეთის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებისაგან, აჭარისტანის საექიმო სექციის ბიუროსაგან, ფოთის მედსანშრომის საექიმო სექციისაგან, ახალსენაკიდან—ექ. ჩხეტიასაგან, ოზურგეთის საექიმო სექციისაგან, სოფ. ბაღდათიდან—ალ. მეტრეველისაგან, ქუთაისის 1-ლი საბჭოთა ამბულატორიისაგან და მრავალი სხვა.

ცხედრის გადასვენება უნივერსიტეტის შენობაში

გუშინ, ნაშუადღევის 5 საათზე, პროფ. ნ. კახიანის ნეშტი გადასვენებულ იქნა საკუთარი ბინიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში. ჯერ კიდევ გამოსვენებამდე ყაზბეგის ქუჩა, სადაც განსვენებული სცხოვრობდა, გაივსო ხალხით. მოვიდენ სახელმწ. უნივერსიტეტის სტუდენტებიც და უზარმაზარი პროცესია დაიძრა უნივერსიტეტისაკენ.

ბინიდან კუბო გამოასვენეს უნივერსიტეტის პროფესორებმა, რომელთაც შემდეგ შეეცვალენ განსვენებულის მოწაფე—სტუდენტები.

კუბო დაასვენეს უნივერსიტეტის ვესტიბიულში, რომელიც მორთული იყო შავი არშიებით. საღამოს 6 საათზე დაიწყო სამოქალაქო პანაშვიდი. უკრავდა ახალგაზრდა ქართულ მუსიკოსთა ორკესტრი.

გასვენების ცერემონიალი

დამკრძალავი კომიტეტი აქვეყნებს გასვენების შემდეგ ცერემონიალს: ცხედარი გამოსვენებული იქნება უნივერსიტეტის შენობიდან დღის სრულ 1-ლ ს. ხალხი ნახევარი საათით ადრე თავს იყრის უნივერსიტეტის ეზოში და ქუჩაში შემდეგი წესით: პროცესიის თავში გვირგვინები, შემდეგ ორკესტრები (სასულე და სიმებიანი), ორკესტრებს მიჰყვება გუნდი.

კუბოს მახლობლად იქნებიან განსვენებულის ჭირისუფლები და ნათესავები, შემდეგ პროფესურა, მთავრობის წარმომადგენლები, სტუდენტთა ორგანიზაციები, სამკურნალო და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი, პროფკავშირების წევრები, მიცვალებულის პირადი პატივისმცემლები და ჯარის ნაწილები.

წესრიგის დასაცავად დამკრძალავმა კომიტეტმა გადასწყვიტა გამოიწვიოს ქართული ჯარის ნაწილი. გარდა ამისა, წესრიგს დაიცავენ აგრეთვე სტუდენტები, რომელთაც ექნებათ საამისო ნიშნები.

პროცესიის მსვლელობა გადაღებული იქნება კინოსათვის.

გვირგვინების მაგიერ

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა განსვენებულ პროფ. ნ. კახიანის ცხედრის გვირგვინით შემკობის ნაცვლად 200 მანეთი შეიტანოს პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროში ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

ასეთივე დადგენილება გამოიტანა კამოს სახელობის საავადმყოფოს თანამშრომელთა საერთო კრებამაც.

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს, ყველა საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს

ცეკას № 10 ცირკულიარის შესაბამისად, ცხადდება, რომ ჯარების აღლუმი და მშრომელთა დემონსტრაცია გადატანილია ა. წ. 25 თებერვლისათვის.

ს. კ. პ. ცეკას აგიტპროპგანყოფილების გამგე **ხ. მამულია.**

ქალთა შორის მომუშავე განყოფილებათა თათბირი

კამათი ამხ. მარკმანის მოხსენების გარშემო

თათბირის 16 თებერვალს დილის სხდომაზე ამხ. მარკმანის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ჩარკვიანმა (ქუთაისი), ჯაბურიამ (ოზურგეთი), ბელიაევსკაიამ (თბილ. კომ. მ. გ. ქალთა გან-ბა), თალაკვაძემ (საქპროფსაბჭო), ჩირქეზიშვილმა (საქ. ქ. (ბ) ც. კ. მ. გ. ქალთა გან-ება), მაისურაძემ (თბილისი), კოსტავამ (ქუთაისი) და სხ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ პროფსაბჭო ნაკლებ ყურადღებას აქცევს წარმოების სხვადასხვა დარგებში ქალთა შრომის შესწავლის საქმეს.

ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებში ჩატარებულ შტატების შემცირებაში პირველ რიგში ხვდებიან ქალები. ქალთა შრომის ასეთ არასაკმაო ყურადღების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოოს პროფსაბჭომ.

შრომის ბირჟის მიერ მოწყობილი ქალთა სხვადასხვა კოლექტივები სავსებით ვერ უწყობენ ხელს ქალთა შორის უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლას. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა—შემცირება შრომის კოლექტივებისა და მათ ნაცვლად გახსნა ქალთა კვალიფიკაციის გამაუმჯობესებელი კურსებისა. არა საკმაოა აგრეთვე პროფსაბჭოს მუშაობა მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

მუშათა კლუბებთან არსებული ქალთა კუთხეების მუშაობა არაა დამაკმაყოფილებელი. კლუბის გამგეობაც ნაკლებათ არის დაინტერესებული მათი საქმიანობით, ამხრივ საჭიროა მუშაობის გაძლიერება. მუშათა კლუბებში უნდა გაიხსნას საბავშო ოთახები. რაც დიდ ხელს შეუწყობს კლუბებში ქალთა დასწრებას. ზრდას ქალთა პროფაქტივის აღრიცხვა სწარმოებს მხოლოდ ქაღალდზე, პრაქტიკულად კი არავითარი შესწავლა და მუშაობა ამ აქტივთან არ სწარმოებს, რასაც პროფსაბჭომ მომავალში აუცილებლად უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

მეხუთე სხდომა.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება

17 თებერვლის დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება ქალთა შორის საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ. მომხსენებელი ხაზს უსვამს რა იმ გარემოებას, რომ ქალთა განათლების უპირველესი ამოცანაა მათი მომზადება სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობის მისაღებად, აღნიშნავს, რომ ქალთა განათლების გაუმჯობესებისათვის მომავალში დიდი მუშაობის ჩატარებაა საჭირო. ქალთა შორის საგანმანათლებლო მუშაობა ამჟამად არაა სათანადო დონეზე დაყენებული. მაგალითად პარტსკოლებში ამჟამად მეცადინეობს ქალთა—12 პროც., კვალიფიკაციის გასაუმჯობესებელ კურსებზე—49 პროც., მუშფაკში—13 პროცენტი.

ქალთა შორის საგანმანათლებლო მუშაობის საქმე უკეთ არის დაყენებული ჭრა-კერვისა და ხელსაქმის სკოლებში. რაც შეეხება უმაღლესი განათლებისათვის მათ მომზადებას, აქ სურათი შემდეგია: მედიკურ ფაკულტეტზე ირიცხება ქალთა 40 პროც., პედაგოგიურზე—37 პროც., სასოფლო-სამეურნეოზე—14 პროც., პოლიტეხნიკურზე—4 პროც.

საშუალო სასწავლებლებში—შრომის სკოლებში ქალთა რაოდენობა აღწევს—29 პროც., შვიდწლედებში—40 პროც., ცხრაწლედებში—44 პროც., გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებში 30 პროც.

როგორც ზემო მოყვანილიდან ვხედავთ, მედიცინისა და პედაგოგიის დარგში ქალთა განათლების საქმე ნორმალურია. ტეხნიკურ დარგში კი შედარებით სუსტია და ამ მხარეს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

რაც შეეხება ტეხნიკუმებს, ინდუსტრიალურ განყოფილებებში მეცადინეობს სულ ქალთა 1,8 პროც. სასოფლო-სამეურნეოში—5 პროც., ქალთა უფრო დიდი რაოდენობა მოდის მედიკურ და მუსიკალურ ტეხნიკუმებზე, საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში კი მათი რიცხვი აღწევს—13 პროც.-ს მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან.

ბავშთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა (საბავშო ბაღებში, სახლებში და დაწესებულებებში). უფრო უკეთ მიმდინარეობს. საბავშო ბაღებში ჩაბმულია ქალთა—3,4 პროც., მოსამსახურე პერსონალის უმრავლესობა საბავშო ბაღებში—ქალებია.

ეხება რა ქალთა ფიზიკურ აღზრდის საკითხს, მომხსენებელი ამბობს, რომ ფიზიკურ აღმზრდელობით მუშაობამ მომავალში უნდა მიიღოს უფრო სხვაგვარი სახე, ვიდრე ეხლაა. ქალთა შორის ფიზიკური აღმზრდელობითი მუშაობა უნდა სწარმოებდეს საერთო მუშაობაში მამაკაცებთან ქალთა გათანასწორების საფუძვლებზე. მთავარი ჩვენი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვერ შევსძელით ქალთა კადრის ისე მომზადება, რომ მათ შესძლებოდათ მამაკაცებთან თანასწორად მონაწილეობის მიღება წარმოებაში. მომავალში ეს ნაკლი უთუოდ უნდა გამოსწორდეს.

სამოსწავლო დაწესებულებებში ქალთა ჩაბმისათვის მუშაობის გაძლიერებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციებმა.

კამათი ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენების გარშემო

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ბაჩუიანმა (ახალქალაქი), თალაკვაძემ (აჭარისტანი), მამულიამ (თბილისი), ედიგარიანმა (ბორჩალო), ლომთაძემ (თელავი). მატიანმა (ახალციხე), შალომიანმა (თბილისი). თომაევმა (სამხრეთ-ოსეთი), ხ. თალაკვაძემ (თბილისი), ბრეგაძემ (სვანეთი) და სხვებმა.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ქალთა განათლების საკითხი არაა სათანადოთ მოგვარებული. მაგ. სდელეგატო კრებებზე სამეცადინო კურსის გავლის შემდეგ დელეგატ ქალთა სურვილი სწავლის შემდგომ გაგრძელებისათვის დაუკმაყოფილებელი რჩება ადგილების საკმაო რაოდენობის უქონლობის გამო. უმაღლეს სასწავლებლებში და მუშფაკებში მაზრებს ეძლევათ ადგილების განსაზღვრული რაოდენობა, რაც ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებას. საგანმანათლებლო მუშაობაში ქალთა ჩამორჩენას ხელს უწყობს, აგრეთვე ის გარემოება, რომ ქალი ჯერ კიდევ არაა განთავისუფლებული ოჯახური მოვალეობისაგან რომ მეცადინეობისათვის მოიცალოს.

ზოგიერთ დელეგატ ქალთა აზრით, ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში ქალების ჩაბმის საქმე არაა ჯეროვნად მოგვარებული, რასაც მომავალში უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, განსაკუთრებით კი—ეროვნულ უმცირესობათა სკოლებისათვის მასწავლებელ ქალთა მომზადების საქმეს.

სამშაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მესამე გაფართოებული პლენუმი

რაიკომის პრეზიდიუმის წევრებისა და საქპროფსაბჭოს ფრაქ. მონაწილეობით.

დღის წესრიგშია:

პურის დამზადების კამპანიის შესახებ, თბილისის კომიტეტის თებერვალ-ივნისის თვეების სამუშაო გეგმის დამტკიცება. სამეურნეო-ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროც.-ით შემცირების შესახებ. საკლუბო მუშაობის შესახებ.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი
ამხ. ლ. სუპიშვილი.

ლოზუნგები

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავისათვის

1. მუშებმა და გლეხებმა მენშევიკებისაგან მემკვიდრეობად მიიღეს გაძვალტყავებული, გაძარცული და გაპარტახებული საქართველო.

გმირული ღონისძიებებით მუშებმა და გლეხებმა აღადგინეს დაქცეული ქვეყანა და წარმატებით განაგრძობენ ახალ სოციალისტურ საქართველოს აღმშენებლობას.

2. საერთაშორისო ბურჟუაზიის გულისმოსაკლავად, მისი აგენტების—მენშევიკების გულისმოსაკლავად წლიდან წლამდე მტკიცდება საბჭოთა საქართველო.

3. მენშევიკური საქართველო იყო საპყრობილე და ჯოჯოხეთი ნაციონალურ უმცირესობებათათვის. საბჭოთა საქართველო—შემჭიდროებული, რკინისებური, ძმური კავშირია ყველა იმ ხალხებისა, რომლებიც მასში მოსახლეობენ.

4. ამიერ-კავკასიის ფედერაციის გარეშე, რომელიც ვითარდება საბჭოების დროშის ქვეშ და რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინური კომპარტია შეუძლებელია ამიერ-კავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობა და ხალხთა ძმური თანამშრომლობა.

5. საბჭოთა საქართველო ამიერ-კავკასიის ძმურ რესპუბლიკებთან ერთად მძლავრი პროჟექტორია, რომელიც აღმოსავლეთის ხალხებს უნათებს გამარჯვებისაკენ მიმავალ გზას.

6. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკას — ამიერ-კავკასიის ხალხების ძმურ თანამშრომლობის გარანტიას!

7. მენშევიკები, რომლებმაც თავისი სული და ხორცი მიჰყიდეს საერთაშორისო იმპერიალიზმს, არ სტოვებენ იმ აზრს, რომ მოღალატური ლახვარი ჩასცენ მუშურ-გლეხურ საქართველოს, საგარეო გართულებათა იმედით.

8. საქართველოს მუშებო და გლეხებო! მტკიცედ, მხნედ, ბოლშევიკურად მედგრად განვაგრძოთ პროლეტარიატის დიქტატურის პირველი ქვეყნის—საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცება!

9. მასების აქტივობა—სოციალიზმის წარმატებითი აღმშენებლობის საწინდარია.

10. წითელი არმია ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმპერიალისტების და მათი დამქაშების—მენშევიკების მახინაციებს. განამტკიცეთ წითელი არმიის ძლიერება—მშვიდობიან შრომის დასაყრდენი.

11. მხურვალე სალამი წითელ არმიას—საბჭოთა ქვეყნის ძლიერ დარაჯს!

12 ჩვენ გვაკლია კულტუროსნობა, რომ სავსებით სოციალისტურ ქვეყნად გავხდეთ.

13. მსხვილი კოლექტიური მეურნეობა—ერთად ერთი საიმედო გამოსავალია სოფლისათვის სოფლის მეურნეობის, საწარმოო ძალთა ჭეშმარიტ აღორძინების გზაზე გამოსაყვანად.

14. მუშებმა თავის პროლეტარულ სახელმწიფოს მისცეს ორას ორმოცდაათი მილიონი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, გლეხები მისცემენ მას ას მილიონს სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და კოლექტივიზაციისათვის.

15. ინდუსტრიალიზაცია არის სახალხო მეურნეობის განსაზოგადოების ბაზისი, გლეხის მეურნეობის სოციალისტურად გადაკეთების ბერკეტი ტეხნიკის გაუმჯობესებით და წარმოების რაციონალიზაციით გავაძლიეროთ ინდუსტრიალიზაცია!

16. კოოპერაცია არის გზა სოციალიზმისაკენ. კოოპერაციაში ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული მასები და მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მასში.

მუშებო და გლეხებო, განამტკიცეთ კოოპერაცია!

17. რამდენადაც უფრო ვშორდებით მენშევიკურ ბატონობის ხანებს, მით უფრო ბრწყინვალედ ანათებს სოციალიზმის მზე!

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

საბჭოების საუკეთესო სექციათა კონკურსისათვის

საქ. პროფსაბჭოს ცირკულიარი № 7

1928 წლ. თებერვალს 18.

ქ. თბილისის ყველა პროფორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

დაახლოვებით 2 კვირის განმავლობაში, დაწყებული ამა თვის 22-დან ჩატარდება თბილისის საბჭოს სექციების დათვალიერება. დათვალიერების მიზანია გამოარკვიოს, სექციების მუშაობის მდგომარეობა, გამოარკვიოს, თუ რამდენად იზიდავენ სექციები თავის პრაქტიკულ მუშაობაში საბჭოს წევრებს და მასთან მიმაგრებულებს, რამდენად შეუწყვეს ხელი სექციებმა თბილისის საბჭოს მუშაობის გაუმჯობესებას და რამდენად აკმაყოფილებს უკანასკნელი ქ. თბილისის მშრომელთა ძირითად მოთხოვნილებებს და სხვ.

დათვალიერება ჩატარდება მუშათა და მოსამსახურეთა სპეციალურ კრებებზე, რომლებიც მოწვეული იქნება მსხვილ წარმოებებში და მუშათა კლუბებში. ამ კრებებზე ცალკე სექციების ბიუროები ჩააბარებენ ანგარიშს თავის მუშაობის შესახებ. აგრეთვე ადგილობრივ ბეჭვდითი ორგანოების ფურცლებზე და კედლის გაზეთებში გაშუქებული იქნება სექციების მუშაობის მიღწევები და დეფექტები.

საუკეთესოდ მომუშავე სექციები დაჯილდოვებული იქნებიან თბილისის საბჭოს მიერ.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი დიდ მნიშვნელობას აძლევს საბჭოს სექციების დათვალიერებას, როგორც სექციების მუშაობის გაცხოველებისა და გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებას და ამიტომ წინადადებას აძლევს ქ. თბილისის ყველა პროფორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ დათვალიერებებში და ამ საქმეში ჩააბან მათ მიერ გაერთიანებულ წევრთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა.

საჭიროა, რომ პროფკავშირთა ორგანიზაციებმა და კავშირის ცალკე წევრებმა გამოსთქვან პრესაში და კრებებზე თავისი აზრი სექციების მიერ ჩატარებულ მუშაობის და ამ მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს ეჭვი არ შესდის, რომ ქ. თბილისის მუშები და მოსამსახურეები, ისე როგორც მათი პროფორგანიზაციები, სერიოზულად მოეკიდებიან ამ საქმეს და უზრუნველყოფენ მის მაქსიმალურ წარმატებას.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **მაჩაიძე.**

საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე: **მარკმანი.**

ა.-კ. პროფსაბჭოს მეოთხე პლენუმი

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს გაიხსნა ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს მეოთხე პლენუმი, რომელმაც დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება, 2) ა.-კ. პროფსაბჭოს ფინანსიური ანგარიში, 3) ა.-კ. პროფკავშირთა მეოთხე ყრილობის მოწვევის შესახებ, 4) ხელფასის სახ. ნორმების სახელ. მოწესრიგება და 5) კოლექტ. ხელშეკრულების კამპანიის შედეგები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პლენუმი შეუდგა მუშაობას.

ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს საანგარიშო მოხსენება

მომხსენებელი ამხ. იაკუბოვი

ამხ. იაკუბოვი საკმაოდ ვრცელ მიმოხილვას უკეთებს ა.-კ. პროფსაბჭოს მიერ ჩატარებულ მუშაობას საორგანიზაციო, სატარიფო-ეკონომიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო დარგებში. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არ დარჩენილა არც ერთი ისეთი საკითხი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების უკანასკნელი წლის პროფმოძრაობაში, რომლის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს და ხელმძღვანელობა არ გაეწიოს ა.-კ. პროფსაბჭოს. საანგარიშო პერიოდში საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მოწვეული იქნა მთელი რიგი თათბირები ახალ გაზრდათა, სოფლის მოჯამაგირეთა, ქალთა შორის მუშაობის, პროფსტატისტიკის შესახებ. მოეწყო აგრეთვე საორგანიზაციო თათბირი, რომელმაც განიხილა და შეისწავლა ქალთა შრომის საკითხები, პროფკავშირების საწარმოო მუშაობის ამოცანები, საკავშირო მასიური მუშაობის, მუშათა დაწინაურების საკითხები, და გამოიტანა სათანადო დადგენილებები, რომელიც სახელმძღვანელოდ დაეგზავნათ რესპუბლიკანურ პროფკავშირებს.

ნაყოფიერი იყო აგრეთვე საბჭოს კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობა, რომლის გასაცხოველებლად მოწვეული იყო ა.-კ. კულტთათბირი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კულტმშენებლობის პრაქტიკულ საკითხებს განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა შორის. ა.-კ. პროფსაბჭო აქტიურ ხელმძღვანელობას უწევდა აგრეთვე ფიზკულტურის განვითარებას, რისთვისაც მოწვეული იყო თათბირი, რომელმაც გამოიმუშავა მთელი რიგი დირექტივებისა რესპუბლიკანურ ფიზკულტ. წრეებისათვის. არა ნაკლები ყურადღება ექცეოდა საექსკურსიო საქმეს, რომლის ფართო მასშტაბით დასაყენებლად გამოძებნილი იქნა საკმაო თანხები. პროფსაბჭოს ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც მშრომელთა ფართო მასების გასამხედროების საკითხი, რომლის გადასაჭრელად გადადგმული იქნა პრაქტიკული ნაბიჯები. შემდეგ მომხსენებელი ეხება რა ა.-კ. პროფსაბჭოს სატარიფო მუშაობას, ამბობს, რომ როგორც შარშან, ისე მიმდინარე წელს დადებულ კოლ. ხელშეკრულებებით გატარდა ერთი და იმავე თანამდებობის და კვალიფიკაციის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის თანდათანობით გათანასწორება. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში შესამჩნევად შემცირდა ხელფასის სიჭრელე—განსხვავება, მთელ რიგ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები გადაყვანილი არიან თანამდებობით ჯამაგირის სისტემაზე. შედარებით სომხეთსა და აზერბეიჯანთან კოლექტ. ხელშეკრულებათა კამპანია საქართველოში გართულდა ხელფასის რეფორმამ, რომლის გატარებასაც რამდენიმედ დააგვიანდა საქართველოში. ამავე დროს ა.-კ. პროფსაბჭო სათანადო სამზადისს აწარმოებდა ხელფასის ნორმების სახელმწიფო მოწესრიგების ჩასატარებლად. ამ მიზნით ტარდებოდა სახელმწ. დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეების ხელფასის გამოკვლევა და შესწავლა. ამასთან ერთად პროფსაბჭო ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფოს ბიუჯეტის დამუშავებაში,—ამ მიზნით პრეზიდიუმის ერთი წევრი ჩაბმული იქნა ა.-კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიაში.

აღსანიშნავია აგრეთვე ა.-კ. პროფსაბჭოს მუშაობა მეცნიერების მუშაკთა ხელფასის ნორმების მოსაწესრიგებლად და მასწავლებელთა ხელფასის გასაუმჯობესებლად, ნაკლებ მნიშვნელოვანი არ არის ა.-კ. პროფსაბჭოს მონაწილეობა სახალხო მეურნეობის 5 წლიანი გეგმის და საკონტროლო ციფრების დამუშავებაში. პროფსაბჭო შეუდგა აგრეთვე მზადებას წარმოებების 7 საათიან სამუშაო დღეზე გადასაყვანად და ამ მიზნით რესპუბლიკანურ პროფორგანიზაციებს დაავალა დაწვრილებით შეისწავლონ წარმოების ის ელემენტები, რომლებიც 7 საათის სამუშაო დღის შემოღების საკითხთან არიან დაკავშირებულნი. შემდეგ მომხსენებელი ეხება შრომის დაცვის, სანატორულ-საკურორტო დახმარების, სოციალური დაზღვევის, საბინაო-კოოპერატიულ მშენებლობის საკითხებს და ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რომელიც ა.-კ. პროფსაბჭოს მიუღია ამ საკითხების პრაქტიკულად გადაჭრისათვის.

მოხსენების გარშემო კამათი არ გამართულა. პლენუმმა ერთხმად მოიწონა ა.-კ. პროფსაბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობა.

ა.-კ. პროფსაბჭოს საფინანსო ანგარიში

მომხსენებელი ამხ. პოდოლსკი

ამხ. პოდოლსკი პლენუმს აცნობს ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს ფინანსიურ მდგომარეობას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, როგორც წარმოდგენილი ციფრებიდან გამოირკვა, ა.-კ. პროფსაბჭოს ფინანსიური მდგომარეობა მტკიცეა. გასავალი მცირე დანაკლისით იფარება შემოსავლით. მაგ. უკანასკნელ საანგარიშო წლისათვის (1927 წ.) დეფიციტი არ აღემატება 5.800 მანეთს. გასულ წელს შემოსავალი შეადგენდა დაახლოებით 63 ათასს მანეთს, ხოლო გასავალი 68 ათასზე ცოტა მეტს. ა.-კ. პროფსაბჭოს შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს სუბსიდიები, რომელიც 1927 წლისათვის 58 ათას მანეთს აღემატება. საგასავლო ნაწილში მთავარი ადგილი უჭირავს ა.-კ. პროფსაბჭოს აპარატზე — უმთავრესად პირად შემადგენლობაზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც მთელი გასავლის 50 პროც. შეადგენს.

პლენუმმა პროფსაბჭოს საფინანსო ანგარიში უცვლელად დაამტკიცა.

სამზადისი ა.-კ. პროფკავშირთა მეოთხე ყრილობისათვის

მომხსენებელი ამხ. ხარაბაძე

მომხსენებელი აცნობს პლენუმს, რომ ა.-კ. პროფკავშირთა ყრილობა განზრახულია მოწვეული იქნეს ა. წ. შუა-აპრილისათვის. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) საკავშირო ცენტრ. პროფსაბჭოს მოხსენება; 2) ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მოხსენება; 3) ა.-კ. შრ. სახ. კომისარიატის მუშაობა; 4) ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და პერსპექტივები; 5) მუშათა კოოპერაცია და ვაჭრ. სახ. კომისარიატის მოხსენება ფასების შესახებ და 6) არჩევნები.

კონფლიქტი უცხოეთის სანაოსნო საზოგადოებებთან

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში გამართულ სატრანსპორტო თათბირზე „სოვტორგფლოტ"-ის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება კონფლიქტის შესახებ უცხოეთის სანაოსნო საზოგადოებებთან (საფრანგეთის—„პაკე", იტალიის „სიტმარ" და „ლოიდ ტრიესტინო").

ამ ფირმებმა, რომლებიც ემსახურებიან ჩვენი ექსპორტის საჭიროებას ბათომსა და ხმელთა შუაზღვის ნავთსადგურებს შორის, უკანასკნელ დროს სრულიად უსაფუძვლოდ გაადიდეს ფრახტის განაკვეთები 200—300 პროცენტით. საბჭოთა ორგანიზაციები არ დათანხმდნენ ფრახტის ასეთ გადიდებაზე. შექმნილ მდგომარეობის მოსაგვარებლად „სოვტორგფლოტ"-მა მოაწყო რეგულიარული მიმოსვლა ბათომ-სტამბოლს შორის. საექსპორტო ტვირთებს „სოვტორგფლოტი" გზავნის სტამბოლში და იქ ხელახლა ტვირთავს ისეთ ფირმების გემებზე, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ფრახტის გადიდებაში. ამის გამო ყველა იმ ტვირთებისათვის, რომლებიც იგზავნება მარსელსა და გენუაში, შესაძლებელი გახდა ფრახტზე ზედმეტ ხარჯების აცილება, ვინაიდან სტამბოლიდან ამ ნავთსადგურებში მიდის უცხოეთის ბევრი სხვადასხვა ხაზები. ტრიესტში მიმავალ ტვირთებისათვის კი ეს დაბრკოლება ძალაში რჩება, ვინაიდან სტამბოლ-ტრიესტს შორის მოქმედებს მხოლოდ „ლოიდ ტრიესტინო"-ს ხაზი.

თათბირი ტრანსპორტის საკითხებზე

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა სავაჭრო ფლოტის, ვაჭრობის კომისარიატის, ა.-კ. საგეგმო კომისიის, ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოს, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, გზათა სახ. კომისარიატის, ა.-კ. რკინისგზების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები; თათბირი მოწვეულია დატვირთვა გადმოტვირთვის სამუშაოების მოსაწესრიგებლად შავი ზღვის ნავთსადგურებში და რეიდებზე.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები შავი ზღვის ნავთსადგურებში და რეიდებზე (ამიერ-კავკასიის ფარგლებში), განსაკუთრებით ბათომში მეტად ცუდადაა დაყენებული. საიმპორტო მძიმე ტვირთები მექანიკური წესით გადმოაქვთ გემიდან ნავთსადგურის ტერიტორიაზე; შემდეგ იწყება დაუშვებელი მოპყრობა ტვირთებისადმი, რაც გამოწვეულია სათანადო მექანიკური მოწყობილობის უქონლობით. ყუთებს ძვირფასი მანქანებით მავთულით აბამენ ავტომობილზე და ისე მიათრევენ ნავთსადგურის ტერიტორიაზე. სადაც ისინი ღია ცის ქვეშ ინახება.

ბათომ-ბაქოს რკინისგზის ხაზის ზედმეტად დატვირთვის გამო ძვირფასი ტვირთები ღია ცის ქვეშ რჩება უკეთეს შემთხვევაში რამოდენიმე კვირა, ხანდახან კი რამოდენიმე თვეც, ეს იმ დროს, როდესაც ბათომის კლიმატიური პირობების გამო ლითონის ტვირთები დახურულ შენობაშიაც კი ფუჭდება.

მტვირთველთა მუშაობის პირობები არანორმალურია. არ არის განათება ღამით მუშაობის დროს, არ არის მოწყობილობა ტვირთების გადასატანად. შავი ზღვის რეიდებზე გემების გადმოტვირთვა სწარმოებს ხელით.

თათბირი გაგრძელდება ორი-სამი დღე.

წყალთა მეურნეობა ამიერ-კავკასიაში

დადგენილება № 10.

ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. წყალთა მეურნეობის ორგანოების გამოკვლევის შესახებ

I. მოისმინა რა ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება წყალთა მეურნეობის ორგანოების 1925—26 წლისა და 1926—27 წლის განმავლობაში მუშაობის შესახებ, ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აუცილებლად სთვლის აღნიშნოს, რომ ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. წყალთა მეურნეობის ორგანოების მუშაობაში მიმდინარე საოპერაციო წლამდე ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ობიექტიურ მიზეზებს, რომელნიც უარყოფით გავლენას ახდენდნენ მათ მუშაობაზე საერთოდ, სახელდობრ:

1) არ იყო განსაზღვრული კომპეტენციები და არ იყო მოწესრიგებული ურთიერთდამოკიდებულება რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებსა და ამ.-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს შორის.

2) სტიქიურად შეუდგნენ წყალთა მეურნეობის მთელ რიგ სამუშაოებს იმ მომენტში, როცა არ არსებობდა გეგმიანი საფუძველი.

3) არ არსებობდა საკმაო სამეცნიერო-ტეხნიკური ბაზა და დაგროვილი გამოცდილება წყალთა მეურნეობის დიდი სამუშაოების გაფართოებისათვის ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში.

4) არ არსებობდა კვალიფიციური სპეციალისტების საკმაო კადრი, განსაკუთრებით ადგილობრივ ეროვნებათაგან.

5) გაურკვეველი იყო ფინანსების მიწოდების წყაროები და მოწესრიგებული არ იყო წყალთა მეურნეობის მშენებლობისათვის ფინანსების მიწოდების სისტემა და წესი.

II. ზემოდასახელებული ობიექტიური მიზეზებისა და მთელი რიგი ნაკლულოვანებებისა და დეფექტების გამო (რომელნიც ქვემოდ იქნება აღნიშნული) ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. წყალთა მეურნეობის ორგანოების ხელმძღვანელობაში და მუშაობაში, სახელმწიფო თანხების დახარჯვამ 14.065.000 მან. რაოდენობით ზემოხსენებული პერიოდის განმავლობაში არ გამოიღო ჯეროვანი ეფექტი, სახელდობრ:

ა) შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმებით (1925—26 წ. და 1926—27 წ.) 1927—28 წელში უნდა დამთავრებულიყო 9 სამუშაო; ამ სამუშაოებზე უნდა დახარჯულიყო 8.850.000 მან. და მათი საშუალებით უნდა მორწყულიყო 77.000 დეს. მიწა.

9 სამუშაოდან ფაქტიურად: 2 სამუშაო (ელდარი და შლიუზების გაკეთება მდ. ზანგაზე) სავსებით შეჩერდა 126.000 მან. დახარჯვის შემდეგ.

ერთ სამუშაოს (6.000 დეს. მიწის ამოშრობა ჭალადიდში) უშუალოდ შეუდგნენ მხოლოდ ეხლა, ვინაიდან ამ სამუშაოსათვის გადადებული თანხის 500.000 მანეთის 80 პროც. დაიხარჯა სხვა სამუშაოებზე.

დანარჩენი 6 სამუშაო: (ტირიფონი, გიაურ-არხი, დიღომი, სამურზაყანი, ეჩმიაძინი, შირაქის არხის მესამე უბანი) სამუშაოების მოცულობის გადიდების, (ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯების ზევით), საბოლოო პროექტების უქონლობისა და გეგმების არარეალობის გამო, — ვადაზე არ დამთავრდა, ხოლო 2 ამ სამუშაოთაგანი (გიაურ-არხი, ტირიფონი) შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ უახლოეს ხუთ წელში.

ბ) შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმავე გეგმებით უნდა ყოფილიყო შესრულებული 8 სამუშაო, რომლებიც უნდა დამთავრებულიყო 1927—28 წ. და 1928—29 წელში, ამ სამუშაოებისათვის გადადებული იყო 4.960.000 მან. და მათი საშუალებით უნდა მორწყულიყო 106.000 დეს. სივრცე.

ამ 8 სამუშაოდან ფაქტიურად: ოთხი სამუშაო (სამხ.-აღმოს. შირვანი, ტერტერის რეკონსტრუქცია, ბეიუკ-დუზი და არაზდაიანი) არ დაწყებულა, ხოლო ამ სამუშაოებისათვის გადადებული თანხები მოხმარდა სხვა სამუშაოებს;

ორი სამუშაოდან (კარასახკალი და ალაზანი), რომლებზედაც დაიხარჯა ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულ თანხაზე მეტი, ვადაზე შესრულებულ იქნება სამუშაოს მხოლოდ პირველი უბნები, რომლებიც გეგმით გათვალისწინებული სივრცის ერთ მესამედსაც კი არ შეადგენს;

მეშვიდე სამუშაოს (8.000 დეს. კალმატაკია ფოთში) სამშენებლო სამუშაოები, რომლებზედაც დაიხარჯა 128.000 მანეთი, დამთავრებულია, ხოლო ეფექტის მიღების ვადები სავსებით გამოურკვეველია.

და მხოლოდ მერვე სამუშაო (სარდა რაბადი) შეიძლება დამთავრდეს ვადაზე.

გ) შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმავე გეგმების მიხედვით 1925—26 წ. და 1926—27 წ. მუღანის აღსადგენად გადადებული იყო 1.000.000 მან., ხოლო დაიხარჯა 2.500.000 მანეთი; ამასთანავე მიღებული ეფექტი—მხოლოდ ბამბის ნათესის 16—17.000 დეს. (სულ კი არის 44.000 დეს.) მორწყვა საინჟინერო სისტემით არ არის უზრუნველყოფილი და განმტკიცებული, რამდენადაც მუშაობა მხოლოდ მაგისტრალების გასაწმენდად, — სათანადოდ განვითარებული ქსელის, კოლექტორების უქონლობისა და წყალით სარგებლობის სისტემის უაღრესად არარაციონალური და უორგანიზაციო სისტემის გამო, —ვერ მოგვცემს მთელ იმ ეფექტს, რომლის მოცემა მას შეეძლო, და ვერ მოგვცემს გარანტიას იმისა, რომ მომავალში ეს ადგილები არ გამოიფიტება და არ აჭაობდება.

ამგვარად. შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ გადადებული თანხებიდან — 14.065.984 მან.; ვადაზე არ არის შესრულებული სამუშაოები . . . . 3.960.000 მან.—28,2%
უზრუნველყოფილი არ არის სამუშაოების ვადაზე დამთავრება . 4.960.000 მან.—35,4%
ჯერ კიდევ სრული და მტკიცე ეფექტი არ მოგვცა მუღანში . 2.500.000 მან.—17,9%
ცენტრალური აპარატის შენახვაზე დაიხარჯა . . . . 1.880.000 მან.—13,4%
გამოკვლევისა, პროექტების და სხ. სამუშაოებზე დაიხარჯა . . 1.275.000 მან.—9,4%
14.065.000 მან.—100%

აქედან უეჭველია, რომ ტიტულების მრავალრიცხოვანებისა, მთელი რიგი სამუშაოების ნაადრევად დაწყებისა, დიდი სამუშაოების დაუმთავრებლობისა და იმის გამო, რომ მნიშვნელოვანი თანხების იმმობილიზაცია მოხდა საწარმოო სამუშაოებსა და მასალებში, რომ ცალკე მუშაობის ვადები გაგრძელდა ამ სამუშაოების მოცულობის და ხარჯთ-აღრიცხვის გადიდების აუცილებლობის მიხედვით, — გაღებული ხარჯების მოსალოდნელი ეფექტი არ გამართლდა.

ამასთან ერთად, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მთავრობისა, კოოპერაციის და გლეხობის დახმარებით, ცალკე შემთხვევებში წყალთა მეურნეობის ორგანიზაციების ხელმძღვანელობით აღდგენილ იქნა ადგილობრივ ქსელი (წყალთა მეურნეობის ორგანიზაციების და ამ.-კავკ. მეხამეობის კომიტეტის ცნობებით) და თითქმის მიღწეულია ომამდე არსებული სარწყავი სივრცე (იმავე ცნობებით).

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო აუცილებლად სთვლის აღნიშნოს, რომ წყალთა მეურნეობის სამმართველომ უკანასკნელ ხანებში (5—6 თვე) გააუმჯობესა აპარატის თვისობრივი შემადგენლობა, მთელი რიგი კანონმდებლობითი, დამუშავა რომლებიც აწესრიგებენ ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. წყალთა მეურნეობის ორგანოების ურთიერთ დამოკიდებულებას და გეგმიანობის მომენტის გაძლიერებას.

აღნიშნული დეფექტები ამ.-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობაში უმთავრესად ეკუთვნის ამ.-კავკ. წყალთა მეურნეობის წარსულ მუშაობას.

ამასთან ერთად ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს მთელ რიგ ნაკლულოვანებებს ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. წყალთა მეურნეობის ორგანოების მუშაობაში, სახელდობრ:

1) ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. წყალთა მეურნეობის ორგანოების აპარატებმა, მოუმზადავად უფლებრივ და ფინანსიურ შეხედულებათა, ვერ შესძლეს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულება და ვერ დაძლიეს მათზე დაკისრებული მუშაობის მოცულობა.

2) სათანადო ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის უქონლობამ და აგრეთვე ფუნქციების განუსაზღვრელობამ აპარატში და ადგილობრივ მუშაობაში, გამოიწვია ხელმძღვანელი პირების უპასუხისმგებლობა თავისი მუშაობის შედეგისათვის.

3) წყალთა მეურნეობის ორგანოების მუშაობა მშენებლობისა, მომარაგების, ფინანსების მიწოდებისა და ექსპლოატაციის დარგში ჯერ კიდევ ატარებს უგეგმო და უსისტემო ხასიათს.

4) შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებულ ოპერატიულ გეგმებს სისტემატიურად არღვევდენ და არ ასრულებდენ წყალთა მეურნეობის ორგანოები.

5) საწარმოო-კალენდარული გეგმების უქონლობა ფართო შესაძლებლობას ქმნიდა თანხების უაზროდ ხარჯვისათვის.

6) ბიუჯეტების შესრულების დროს წყალთა მეურნეობის სამმართველოები სისტემატიურად არღვევდენ საბიუჯეტო დისციპლინას და კასის მთლიანობის პრინციპს, ამასთანავე, აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოში ადგილი ჰქონდა კრედიტების გახსნის უკანონო წესებსა და მოქმედებას „პირადი მიმდინარე ანგარიშის" გახსნით თავის და გარეშე თანამშრომლებისათვის: სახელდობრ, ფულების ფიქტიური გადაგზავნა მუშაობის ადგილზე და შემდეგ მათი გაბათილება, ბეების გაცემა სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის და შემდეგ ფულის უკან დაბრუნება.

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოშიც ადგილი ჰქონდა ბეების გაცემას, და თანხის უკან დაბრუნებას, ამასთანავე, კრედიტების დაყვანას ასეთ წესს ცირკულიარულად [illegible] სამუშაოთა ყველა უფროსს.

7) რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოების მშენებლობაში ადგილი ჰქონდა:

უპაირაოტობას (მუშაობის წარმოება სრულიად ბოლომდე პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების გარეშე, მასალების ზედმეტი და ნაადრევი დამზადება დიდი თანხების დახარჯვით, სამუშაოების გაძვირება მათი უხეირო ორგანიზაციის, მექანიზაციის შემცდარი გამოყენებისა და სხვა მსგავსი მიზეზების გამო).

საქმისადმი დაუდევრობას (ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უქონლობა სამუშაოების შესრულების დროს, მასალების [illegible] მუშების დაუდევრად და [illegible] მიღება).

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში სახაზინო ხელშეკრულებათა დადება მოიჯარადრეებთან და მათი სისტემატიური დავალიანება (დიდი ფასები ალაზანსა და ტირიფონზე, და ალაზნის სამუშაოების საჯარო ვაჭრობისა და ხელშეკრულების შეუთანხმებლობა, მოიჯარადრეებისა და ორგანიზატორის შეთავსება ერთ პიროვნებაში და მისი სისტემატიური დავალიანება საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს წინაშე).

8) საექსპლოატაციო საქმიანობა დღევანდლამდე მოგვარებული არაა, წყლით სარგებლობის საკითხები დღევანდლამდე მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული არ არის ორგანიზაციულად და უფლებრივად. რასაც შედეგად ის მოსდევს, რომ არსებული სისტემები სათანადო ეფექტს არ გვაძლევს, ხოლო ზოგიერთ ადგილებში მორწყვა იწვევს ნიადაგის გამოფიტვას, ადგილის დაჭაობებას და კულტურათა დაღუპვასაც კი (ევლახი, სამტრედია, ნახიჩევანი და სხ.).

ბ. 1) დამტკიცებულ იქნას ის პრაქტიკული ღონისძიებანი რესპუბლიკების და ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოების მიმართ, რომლებიც დაიმუშავა ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციებთან შეთანხმებით; წინადადება მიეცეს უკანასკნელთ, რომ დაუყოვნებლივ განახორციელონ ეს დადგენილებანი.

2) მიეთითოს რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოებს, რომ დაუშვებელია ცენტრის მიერ დამტკიცებული ოპერატიული გეგმების შეცვლა, აგრეთვე ასიგნობათა შეცვლა ცალკე მუხლების მიხედვით.

დ. რადგან მუღანის სარწყავი ადგილების აღსადგენად გაწეული მუშაობის შედეგის განმტკიცებას, აგრეთვე ამ ადგილების დასახლებას და მათთან შეგუებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ:

1) დაევალოს ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს:

ა) გადაამუშაოს მუღანის ხუთწლიანი გეგმა, რათა გაძლიერდეს ისეთი მუშაობა, რომელიც უზრუნველჰყოფს სისტემათა უფრო რაციონალურ ექსპლოატაციას;

ბ) აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან ერთად შეუდგეს მუღანის ველზე წყლის მოსარგებლეთა სისტემატიურ ორგანიზაციას და შეიმუშაოს წყლით სარგებლობის სისტემის მოსაწესრიგებლად საჭირო ღონისძიებანი;

გ) აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან და აზ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად შეიმუშაოს ღონისძიებანი მუღანზე გადასახლების მოსაწესრიგებლად.

2) დაევალოს ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომ თვალყური ადევნოს ამ ღონისძიებათა რეალიზაციას.

3) რადგან მუღანის სისტემის მტაცებლური ექსპლოატაცია რამდენადმე მოსახლეობის უკულტურობისა და მისი სუსტი თვითმოქმედების შედეგია, დაევალოს რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს: ზომები მიიღონ, რომ სისტემატიური მუშაობა სწარმოებდეს წყლის სარგებლობის მოსაწესრიგებლად, აგრეთვე მოსახლეობის შესაჩვევად წყალთა სისტემებთან იმ მხრით, რომ განუვითარდეს მას თვითმოქმედება, ორგანიზაციულობა და დისციპლინა.

4) დაევალოს ა.-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს: შეიმუშაონ ღონისძიებანი რესპუბლიკათა მიწათმოქმედების კომისარიატებისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების მუშაობის ჩამოსაყალიბებლად და ერთმანეთთან დასაკავშირებლად სარწყავი ადგილების ექსპლოატაციისა, მათი დასახლებისა და მათთან შეგუების საქმეში.

5) დაევალოს ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს: ა.-კ. ფინანსთა კომისარიატთან და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად შეიმუშაოს: ფინანსებით მომარაგების წყაროების საკანონმდებლო ჩამოყალიბებისა და წყალთა მშენებლობის ფინანსებით მომარაგების წესში მტკიცე სისტემის დამყარების პროექტი.

6) წინადადება მიეცეს ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს: შეიმუშაოს დადგენილებათა პროექტი წყალთა მეურნეობის ორგანოებში მომუშავე სპეციალისტების პასუხისმგებლობის შესახებ, ჩამოყალიბდეს მათი უფლება-მოვალეობანი და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან, აგრეთვე დაინტერესებულ ორგანოებთან (ა.-კ. შრომის კომისარიატი, ა.-კ. პროფკავშირების საბჭო და სხვ.) შეთანხმების შემდეგ. დასამტკიცებლად წარუდგინოს ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოს.

7) უმაღლესი ტეხნიკური საბჭოს მიმართ საჭიროდ იქნას ცნობილი: მისი რეორგანიზაცია იმ მხრით, რომ გაძლიერდეს საბჭოს შემადგენლობა, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე საბჭოთა კავშირის საუკეთესო და ავტორიტეტიანი მუშაკებით, შეიცვალოს მუშაობის მეთოდები, რათა უზრუნველყოფილ იქნას უმაღლეს ტეხნიკურ საბჭოში შეტანილი პროექტებისა და საკითხების ობიექტიურად, გულდასმით და დეტალურად განხილვა.

დ. ა.-კ. სახ. კომისართა საბჭო, აღნიშნავს რა, რომ ზემოთ დასახელებული დეფექტები უპაირაოტობისა, თავის მოვალეობისადმი გულგრილობისა, ცუდი ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის შედეგია, ადასტურებს ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის და აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მუშათა და გლეხთა ინსპექციების რესპუბლიკების დადგენილებას:

ა) აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხაზით:

მოხსნილი იქნან თანამდებობიდან:

აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის უფროსი ამხ. სეიდ-ბეილი.

ტეხნიკური განყოფილების უფროსი ინჟ. კონდრატიევი.

აზერბ. წყალთა მეურნეობის უფროსის მოადგილე ამხ. ბადამიანი.

კარასახკალის არხის სამუშაოთა უფროსი ინჟ. სოლდატოვი.

კარასახკალის არხის სამუშაოთა უფროსის მოადგილე ინჟ. შელეხოვი.

ტეხნიკოსი ფეოდოროვი.

აზერბ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარი ბუღალტერი ფურმანი.

საკონტროლო განყოფილების უფროსი არუტჩევი.

[illegible] მთელი მასალა გადაეცეს პროკურატურას იმის გამოსარკვევად, თუ ჩამოთვლილ დამნაშავე პირთა შორის ვინ უნდა იქნას სამართალში მიცემული.

ბ) საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხაზით:

გამოეცხადოს შენიშვნა:

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს ამხ. ბახტაძეს.

ალაზნის სამუშაოთა უფროსს ინჟ. მამრაძეს.

ალაზნის სამუშაოთა უფროსის ყოფილ მოადგილეს ინჟ. ნაზოკინს.

ფოთის სამუშაოთა ყოფ. უფროსს ვოლჩანეცკის.

სამუშაოთა ინსპექტორს პროფ. მიკულინს.

კონტროლიორს — ინჟენ. მგალობლიშვილს.

მთავარ ბუღალტერს—ჩირიკაძეს.

გ) სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხაზით:

სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელთა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას. რომ საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება გამოკვლევაში აღნიშნული დეფექტების თავიდან ასაცილებლად.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: შ. ელიავა.
საქმეთა მმართველი:
ნ. სოკოლოვსკი.

ქრონიკა

სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლ. თავისათვის

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმთან დაარსდა სახელმწიფო. უნივერსიტეტის 10 წლისთავის ჩამტარებელი საიუბილეო კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ. ვ. ავაქოვი (თავმჯდომარე), ინჟ. ი. ვაწაძე, ხ. ელიავა და გ. ლეჟავა.

საქ. პროფსაბჭოს მე-4-ე პლენუმი

სამშაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 6 საათზე შრომის სასახლის დიდ დარბაზში მოწვეულია საქართველოს პროფსაბჭოს მე-6-ე მოწვევის მე-4-ე პლენუმი. დღის წესრიგშია: მოხსენება აჭარისტანის პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ 1927—28 წელში. (მომხ. ამხ. კუნჭულია). საქპროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების თანამოხსენება. (ამხ. მინასი). საქართველოს პროფსაბჭოს 1927 წ. საფინანსო ანგარიშების და 1928 წ. ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება, ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებისათვის საუკეთესო ადგილკომების დაჯილდოება (მომხს. ამხ. ანთიძე).

განათლების განყოფილებების გამგეთა მე-6 კონფერენცია

22 თებერვალს, განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნება განათლების სამაზრო განყოფილებების გამგეთა მე-6 კონფერენცია. კონფერენცია განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1) განათლების კომისარიატის მუშაობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა—მომხ. ამხ. დ. კანდელაკი. 2) განათლების კომისარიატის მუშაობის 1 წლის გეგმა—მომხ. ამხ. მარიამ ორახელაშვილი. 3) საყოველთაო-სავალდებულო სწავლება—მომხ. ამხ. მარიამ ორახელაშვილი.

საკურორტო ყრილობა

ორშაბათს, დილის 11 საათზე სანიტარულ-ჰიგიენურ ინსტიტუტის აუდიტორიაში გაიხსნება სრ. საქართველოს საკურორტო ყრილობა. ყრილობას დაესწრებიან საკურორტო დაწესებულებების, ჯანმრთელობის და სოციალურ დაზღვევის ორგანოების, სამეცნიერო და სამეურნეო დაწესებულებების, სახალხო კომისარიატების და სხვ. დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამას გარდა ყრილობაზე დასასწრებლად მოწვეულნი არიან საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ჯანმრთელობის კომისარიატების წარმომადგენლებიც.

უკრაინიდან ყრილობას დაესწრება უკრაინის საკურორტო სამმართველოს უფროსი ამხ. კუკულტაუბი, როსტოვიდან—ამხ. ხრისოფოროვი.

ინდუსტრიალიზაციის სესხის მეორე ტირაჟი

დღეს ქალაქ ბრიანსკში იწყება ინდუსტრიალიზაციის სესხის მეორე ტირაჟი. ტირაჟი გასტანს 22 თებერვლამდე. ამ ტირაჟში—23.200 ობლიგაცია მოიგებს, 3.001.500 მანეთს.

ახალი მარკები

ფოსტა-ტელეგრაფის ამიერ-კავკასიის სამმართველომ მიიღო ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ წითელი არმიის 10 წლის თავის აღსანიშნავად გამოშვებული 8 კაპ., 14 კაპ., 18 კაპ. და 28 კაპ. ახალი მარკები.

8 კაპიკიანი მარკაზე დახატულია წითელ-არმიელი ლენინის მავზოლეუმის ფონზე, 14 კაპიკიანზე მეზღვაური კრეისერ „ავრორა"-ს კრეისერის ფონზე, 18 კაპიკიანზე წითელი კავალერისტი დროშით და 28 კაპ. მარკაზე წითელი სამხედრო მფრინავი ჰაეროპლანზე.

თბილისის აღმასკომში

◆ ჟურნალ-გამოცემა. აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა [illegible] (პირველ ხანებში ორთვეში ერთხელ) ჟურნალი თბ. აღმასკომის მუშაობის გასაშუქებლად.

◆ დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის გასაცხოველებლად პრეზიდიუმმა გადასწყვიტა სისტემატიურად მოიწვიოს დეპუტატთა ჯგუფებზე მიმაგრებულ უჯრედების თათბირები.

◆ წყალსადენი. მაზრის სოფლებში წყალსადენების გასაყვანად აღმასკომმა გადასდო 72 ათასი მანეთი.

◆ ხევის ამოვსება. თბ. აღმასკომში დადგინდა ამოავსოს ლენინის რაიონში ეგრედ წოდებული ხევი, რომელიც ანტისანიტარულ პირობებს ჰქმნის ახლო-მახლო მცხოვრებთათვის.

◆ ამბროსულ ბაზრის ადგილზე კეთილმოწყობის განყოფილება ამჟამად აწყობს ახალ დარაბებს და ფეხზე სავაჭროებს, სადაც გადატანილი იქნება მწვანე ბაზარი.

◆ ტრამვაის ახალი ხაზი. ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა ბოტანიკურ ბაღის გვირაბამდე გაიყვანოს ტრამვაის ხაზი.

◆ გადასახადი. 15 თებერვლისათვის თბ. მაზრაში სასოფლო-სამ. გადასახადის სახით აკრეფილი იქნა 233.737 მ. ე. ი. 97 პროცენტი მთელი გადასახადის. ასაკრეფი დარჩა 17.493 მანეთი.

მიწსახკომში

◆ სანიმუშო ამხანაგობა. სულდინის (ახალ. ქალ.) სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ შეიძინა 48 ჯიშიანი ძროხა. 1 ბუღა და 44 სანაშენო ხბო.

ჯანსახკომში

◆ საექიმო ბიბლიოთეკა. ჯანსახკომთან გაიხსნა საექიმო ბიბლიოთეკა, რომელშიაც დაცულია 50.000 ცალი სხვადასხვა სახელწოდების წიგნი.

◆ საექიმო რაზმები. გაზაფხულზე მაზრებში ახალი საექიმო რაზმების დასაგზავნად ჯანსახკომი უკვე შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას.

კრებები და მოხსენებები

◆ საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში 20 თებერვალს, საღამოს 7 საათზე შესდგება საქართველოს საფსიქოლოგიო საზოგადოების მორიგი კრება, რომელზედაც რევაზ ნათაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ცნების წარმოშობა".

◆ წითელ-არმიელთა კლუბში 20 თებერვალს შესდგება თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის ორგანიზაციის აქტივთა საზეიმო სხდომა.

„საქართველოს ეკონომისტი"

გამოვიდა ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი"-ს მორიგი 1 (17) ნომერი. შინაარსი: ს. დევდარიანი — საქართველოს ეკონომიკის საკითხები, ვ. ფხალაძე — საფეიქრო მრეწველობის განვითარების შესაძლებლობა ჩვენში, ქ. მეტაქსა — საქართველოს თამბაქოს მრეწველობა, გ. ავალიშვილი — საქართველოს ჩაის საქმის განვითარებისათვის, ა. ჭუმბურიძე — ნედლეულის პრობლემა, ი. ნარსია — თამბაქოს ექსპორტი და მისი პერსპექტივები, გ. ხოფერია — ყურადღება ექსპორტს, დ. ზავრიევი — სავაჭრო ბრუნვა საქართველოს და მახლობელ აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის, ნ. ამირაგოვი — საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობა, ვლ. ცაგარელი — საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსი, ს. გოდაბრელიძე — შრომის ნაყოფიერების და ხელფასის დინამიკა, პართენ გოთუა — ქუთაისის თამბაქოს ქარხანა, ალ. დევდარიანი — ს. მ. უ. ს. ცენტრალური ქიმიო-ტექნიკური ლაბორატორია, შ. გომართელი — თბილისის აღმასკომის მუშაობა.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე ქრონიკა, ინფორმაცია და ბიბლიოგრაფია.

სასამართლო

ცოცხლად დამარხეს ახლად შობილი

ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო კატო, როცა ქმრის დაქვრივების შემდეგ ცოლად გაჰყვა სოფელ მარაბდაში (გორის მაზრა), ვინმე სომხიშვილს. კატოს პირველი ქმრისაგან ჰყავდა 4 წლის ვაჟი—შალიკო.

სომხიშვილსაც ჰყავდა პირველი ცოლიდან 1 წლის გოგონა მარო.

მარო და შალიკო იზრდებოდენ ერთად. განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდენ ერთმანეთს პატარაობიდანვე. უერთმანეთოდ ვერ სძლებდნენ.

გავიდა დრო. შალიკოს უკვე 18 წელი შეუსრულდა, მაროს კი—15.

მათ ისევ არაჩვეულებრივი სიყვარულით უყვართ ერთმანეთი. და-ძმური გრძნობა წარეცხა მათ გულში სქესობრივმა ინსტიქტმა.

შალიკოსა და მაროს შორის დაიწყო რომანი.

— ეჰ! სოფელი რას იტყვის, თორემ ჩვენ ერთმანეთთან ოფიციალურად ვიცხოვრებდით, ხომ ბედნიერი ვიქნებოდით, მარო! მაგრამ არა უშავს, ცოტა კიდევ დავიცადოთ და მე მოვაწყობ ისე, რომ არავინ ხელი არ შეგვიშალოს, — აიმედებდა შალიკო მაროს.

ასეთ იმედებით მარო მიენდო თავის „ნაზეარ ძმას". მათ შორის დაიწყო ცოლ-ქმრული დამოკიდებულება.

— როდის დავიწერთ ჯვარს. შალიკო?—ყოველდღე ეკითხებოდა მარო თავის „ძმობილს".

— ცოტა კიდევ დაიცადოთ,—უპასუხებდა შალიკო.

ამ „ცოტა-ცოტაობაში" მარო უკვე ფეხმძიმე შეიქნა.

ეს ამბავი თავიდანვე იცოდა შალიკოს დედამ და მაროს დედინაცვალმა კატომ.

კატო, რასაკვირველია, თავის [illegible] შვილს ყველაფერში ეხმარებოდა და ამ შემთხვევაშიაც დატრიალდა, რომ გართულებულ მდგომარეობიდან გამოეყვანა თავისი ვაჟი.

კატომ ცოლი შერთო შალიკოს. ელდა ეცა მაროს, მივიდა შალიკოსთან და ემუდარება. როგორმე იხსნას სირცხვილისაგან.

— რაც არ უნდა დაგიჯდეს, მარო! მუცელი უნდა მოიშორო, თორემ თავს მოვიკლავ,—უებნება დედას შალიკო.

კატომ აფრინა ხალხი ექიმბაშებთან.

— მე ქალო, რა დიდი საქმე უნდა მაგას. წისქვილის ქვა დამიდა ჯანი. იმდენი შენ იცოცხლე, რამდენი ქალი გამინთავისუფლებია წისქვილის ქვის დატრიალებით,—აიმედებს კატოს მეზობელი ქალი. ლიზა სომხიაშვილისა.

აიტრიალეს წისქვილის ქვა ორსულის ქალის მუცელზე. აწვალეს ქალი, [illegible].

— შენ შვილო, არხეინად იყავი. მაროს შვილი აღარ ეყოლება,—დააიმედა კატომ თავისი შვილი.

გავიდა რამოდენიმე თვე. მაროს წამოეზარდა მუცელი.

— მიშველე, შალიკო, თორემ თავს მოვიკლავ, ტირილით უებნება მარო თავის ყოფილ „ძმობილს".

— არა უშავს, თუ საქმე წახდა, ამ ცოლს გავუშვებ და შენ შეგირთავ.—უპასუხებს შალიკო.

კატო კი იმედს არ ჰკარგავს. არბენინებს მაროს ექიმბაშებთან.

მაგრამ უკვე გვიანაა. ქალი უკვე 8 ნახევრის ორსულია. არავინ არ კისრულობს პასუხისმგებლობას.

„კვირია-ცხოვლობას" დიდი ქეიფია კატოსას. სტუმრები ალავერდს გადადიან. შუა ქეიფში, რომ არიან სტუმრები, მეორე ოთახში მარო სწუხს, მუცელს იტკენს.

— მაროს მუცელი სტკივა,—მოუტანეს ამბავი დედინაცვალს კატოს.

— მაგას გაუწყრალდეს სიცოცხლე, როგორ წამამწარა დღესასწაული. რა წყალში ჩავარდე, რა ვქნა.

— თუ ბავში დაიბადოს მოჰკალით, თორემ თავს მოვიკლავ, — განუცხადა დედას შალიკომ.

დაიბადა პატარა გოგო. კატომ ჩვილ ბავშს დაუწყო ცემა. კატოს ეხმარებიან სტუმარი ქალებიც.

ღამეა. ჩვილი ბავში გულამოსკვნით სტირის. დედა მარო მისუსტებული კვნესის.

კატოს გაჰყავს ბავში და იქვე სახლის მახლობლად ცოცხლად მარხავს მიწაში.

ხელისუფლებამ რომ გაიგო ეს ამბავი, კატომ თავი იმართლა, რომ ბავში მკვდარი დაიბადაო.

მაგრამ, როცა მარო ფეხზე წამოდგა, ხელისუფლებას აცნობა ყველაფერი დაწვრილებით.

პასუხისგებაში იქნენ მიცემული კატო სომხიშვილი, მისი ვაჟი შალიკო, შალიკოს კანონიერი ცოლის დედა დარო რაზმაძე და კატოს და ტასო ჩოჩელი. ყველანი დამნაშავედ იქნენ ცნობილი და მიესაჯათ რვა-რვა წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, რაც ამნისტიის ძალით გაუნახევრდათ. [illegible] კატოს გამოკლებით, [illegible] პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაენიშნათ ათ-ათი წელი.

კატო სომხიშვილს, როგორც მთავარ ბრალდებულს, დარჩა მოსახდელი 4 წელი.

გერ.

ორშაბათს 20 თებერვალს საღამოს 6 საათზე მოწვეულია

საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა

სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად

1. **კომუნალური** — პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში (ლენინის რაიონი)

დღის წესრიგი:

1. მოხსენება კომუნალური სექციის მუშაობის შესახებ;
2. მიმდინარე საკითხები.

ლენინის რაიონის მუშების დასწრება სავალდებულოა.

2. **სახალხო განათლების** — განათლების მუშაკთა სახლში, ფურცელაძის ქ. № 3 (ყოფ. კალოუბნის ქ.)

დღის წესრიგი:

1. მოხსენებები მიმაგრებულ აქტივისას;
2. მიმდინარე საკითხები.

3. **სახალხო ჯანმრთელობის**—საბჭოს წითელ დარბაზში

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სექციის ბიუროს მუშაობის შესახებ;
2. სწრაფ დახმარების საექიმო სადგურის ეტლის გამოწვევის სავალდებულო დადგენილების პროექტის განხილვა;
3. დასაწინაურებელ მუშების შესახებ;
4. მიმდინარე საკითხები.

4. **საფინანსო-სამრეწველო**—საბჭოს წითელ კუთხეში შესავალი ყოფ. ველიამინოვის ქ.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სახელხო სესხის შესახებ;
2. მიმაგრებულ აქტივის მოხსენება ლომბარდის მუშაობის შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

5. **სავაჭრო-კოოპერატიული**—საბჭოს შენობა ოთახი № 228.

დღის წესრიგი:

1. „ზაკტპოს" მოხსენება თავის მუშაობის შესახებ;
2. ლენრაიონის კოოპერატიულ ქსელის გამომკვლევი კომისიის გამოყოფა;
3. სექციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შემსწავლელი კომისიის გამოყოფა;
4. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს პრეზიდიუმი

ნ. 645

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„ტაის“

ოპერა „ტაის“ ვერ ჩაითვლება საფრანგეთის გამოჩენილ კომპოზიტორის მასსენეს საუკეთესო ნაწარმოებად და შეუდარებელია მის მიერ შექმნილ შედევრებთან, როგორიც „ვერტერი“ და „მანონი“. თუ „ვერტერში“ ფსიქოლოგიური დრამის განვითარება სრულად გამომდინარეობს თვით მუსიკის კონსტრუქციიდან, ბგერათა მოხაზულობიდან და მათი დინამიური განვითარებიდან და ამიტომ ვერავითარი სცენიური განხორციელება დრამისა ვერ შეუშლის ხელს თვით მუსიკით წარმოშობილ ღრმა შთაბეჭდილებას, — ოპერა „ტაის“-ში სცენიური მხარე სძლევს მუსიკალურ შინაარსს, ბგერათა მოხაზულობა და ჰარმონიის მიდრეკილებანი არ არიან დამახასიათებელნი, ბევრ შემთხვევაში განიცდიან უფერულობას და თვით ინსტრუმენტალობის მრავალ ადგილში მოიპოვებიან ბგერათა ჰარმონიული ორგანოები, რომელთა შევსება მაყურებელთა ფსიქიკაში შეუძლიან მხოლოდ სცენიურ შთაბეჭდილებას. ამ ოპერაში სცენიური მხარე ჩრდილავს მუსიკალურ ფრაზას და მაყურებელზე მუსიკალურ ზეგავლენის მისაღწევად მსახიობს სჭირდება, როგორიც მიზანსცენის დაწვრილებითი დამუშავება, ისე მაქსიმალური გამომეტყველება ხმის ინტონაციისა და ამ ინტონაციის საშუალებით ოპერაში მკრთალად დახატულ მუსიკალურ სურათების გაცოცხლება.

ჩვენის აზრით, სწორედ ამ მიზეზების გამო მირრა ელიავამ თავის პირველი გამოსვლისათვის ოპერაში ა.-წ. თებერვლის 17 ირჩია ტაისის როლი, რომლის გამომეტყველება შესაძლოა მხოლოდ თვით მსახიობის მხატვრულ აზროვნების გაქანებით. საერთოდ მირრა ელიავას ახასიათებს მისწრაფება სიძნელის დაძლევისაკენ და არა ადვილ გამარჯვებისაკენ. ტაისის როლის ვოკალურ დამზადებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან ინტონაციის ყველა წვრილმანიც კი მირრა ელიავას აქვს დეტალურად მოფიქრებული, ხმა თავისუფლად მოძრაობს ყველა ფორდაში და ავტორის განზრახვათა სასტიკი დაცვა ასრულებაში შეფარდებულია საკუთარ ინდივიდუალობასთან. ჩვენის აზრით, უფრო საინტერესოა როგორც ფართო მასისათვის, ისე მომწავლე მომღერლებისათვის მირრა ელიავას შემოქმედების ის თვისებანი, რომელნიც აახლოვებენ მას თანამედროვე მუსიკის და მეტადრე თეატრის პრობლემებთან. მისი გამარჯვება დამყარებულია არა ხმის მომხიბლაობაზე, ელფერზე ანდა ცალკე ხმისათვის ხელსაყრელ და ყურთა-სმენისათვის სასიამოვნო ფრაზების გამოძებნაზე და დამუშავებაზე; ე. ი. არა იმ ეფექტიურ მხარეზე, რომელიც მრავალ საოპერო მომღერალთათვის დასახულია როგორც ზედმიღწევა,— არამედ მხოლოდ ხმის ტექნიკურ შემუშავებაზე, რომელიც შეერთებულია ფართო აზროვნებასთან. მირრა ელიავა ეძებს მუსიკაში არა ლამაზ და ხმისათვის ხელსაყრელ ადგილებს, არამედ მხოლოდ აზრს და ეძებს ამ აზრის ამომწურავ რესურსებს ვოკალობაში ისე, რომ მის ფსიქიკაში ხელსაყრელ ეფექტიალურ მხარემ არ დაჩრდილოს აზროვნება. ამიტომ ხმის ბუნებრივ თვისებების დაკარგვის შემთხვევაშიც კი შთაბეჭდილება მირრა ელიავას შემოქმედებისაგან იქნება ძლიერი, და სწორედ ამისთანა მსახიობები არიან საჭირო ახალ, ფსიქოლოგიურ თეატრისათვის. სცენიურად მირრა ელიავას ტაისი ოპერის მეორე სურათში დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მსახიობმა ვერ დაახასიათა როსკიპი ქალის სულის ფუქსავატობა, ბავშური დაუდევრობა და გარყვნილობით გატაცება. მირრა ელიავას ტაისი ამ სურათში არის უკვე აზრიანი, მოფიქრებული და ამიტომ იკარგება შთაბეჭდილება ამ ტაისის დაპირდაპირებიდან იმ ტაისთან, რომელში უკვე მოხდა სულიერი გარდატეხა და აზროვნების განვითარება. ეს, მეორე ტაისი კი მირრა ელიავამ შესანიშნავად წარმოგვიდგინა, მეტადრე მეოთხე სურათში, მონასტერთან.

ვრონსკის მიერ ატანაილის დახასიათებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ატანაილში ტაისისადმი სიყვარულის გრძნობა იღვიძებს არა მარტო მეოთხე სურათიდან, არამედ ტაისი მას იზიდავს თავიდანვე. იზიდავს სქესობრივად და ამ სქესის ყვირილი ატანაილს მიაჩნია როგორც წმინდა მისწრაფება ტაისის სულის განწმენდისაკენ. ატანაილის ტრაღედია იწყება მაშინ, როდესაც იგი შეამჩნევს თავის თავში სქესის ამ ყვირილს და არა მაშინ, როდესაც იგი გლოვობს სიყვარულის განუხორციელობას. ჩვენის აზრით, ვრონსკიმ ზემოთქმულის გამოსახატავად ვერ იპოვა საჭირო ინტონაცია.

ვოკალურად სასიამოვნოდ შესრულდა ნიციასის პატარა როლი კრუზომ, მხოლოდ საჭიროა ამ როლის მეტი სცენიური დამუშავება.

ოპერას ლოტბარობდა ა. მელიქ - ფაშაევი.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი

ხელოვნების ქრონიკა

„არიფიონი“

გამოვიდა სამხატვრო სალიტერატურო კრებული შემდეგი შინაარსით:

სალიტერატურო განცხადება.

სანდრო შანშიაშვილი — ორი ბალადა (ლექსი), შალვა დადიანი — თეთ (მოთხრობა), კონსტანტინე ჭიჭინაძე — პრეისტორია, ორნი, გზები (ლექსები), მიხეილ ჯავახიშვილი— დამპატიჟე (მოთხრობა), ვახო გორგაძე — მაჩელისი (ლექსი), დავით ხულიაშვილი— კედელი (მოთხრობა), ილო მოსაშვილი — უღელ ტყიბულზე (ლექსი), ლევან მეტრეველი - ბოლშევიკი (მოთხრობა), მიხეილ მრევლიშვილი— სიმიდი (მოთხრობა), ბასილ მელიქიშვილი— მკერდშემოლილი მერცხალი (მოთხრობა), ლეო ქიაჩელი — თავადის ქალი მაია (მოთხრობა), იოსებ ტატიშვილი — უსათაურო (მოთხრობა), კონსტანტინე ჭიჭინაძე — ვეფხის - ტყაოსანის ვახტანგისეული რედაქცია, კონსტანტინე კაპანელი — მიმოქცევის იდეა, პლატონი — კრიტონი (თარგმ. ბერძნულით —პეტრე ქათამაძის მიერ), გერონტი ქიქოძე —არიფიონი ჰერეთში.

კრებული შეიცავს 380 გვ. და ღირს 2 მან.

დისპუტი კინოზე

დღეს, 19 თებერვალს. საღ. 8 საათზე ხელოვანთა სასახლეში შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყველა სექციების გაერთიანებული საჯარო სხდომა, რომელზედაც გაიმართება დისპუტი კინო - საკითხებზე. ამხ. სუტირინი მოხსენებას გააკეთებს თემაზე „საბჭოთა კინო და პროლეტარული მწერლობის ამოცანები“.

კამათში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულნი არიან: ს. ამაღლობელი, ს. არუსტანოვი, ვ. ბუაჩიძე, ს. ეული, შ. დუდუჩავა, გ. კრეიტანი. კ. მარჯანიშვილი, ვ. მაჭავარიანი, ქ. მეგრელიძე, ვ. ლუარსამიძე, ქ. ლორთქიფანიძე, ბ. ელენტი, დ. რონდელი, გ. რობაქიძე, ა. ჭუმბაძე, ტ. ტაბიძე, ტატელოვი, ს. ჩიქოვანი, მ. ჯავახიშვილი და სხვები.

კომკავშირელ მწერალთა წრეში

დღეს, 19 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის ბინაზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა მორიგი ლიტერატურული სხდომა, რომელზედაც მოხდება მასალების განხილვა ლიტერ. ფურცლისათვის.

◆ „თეატრი დღეს“. წითელ-არმიელთა კლუბში დღეს მუშათა თეატრის რუსული დრამის ხელმძღვანელი შვიცერი (პესიმისტი) წაიკითხავს მოხსენებას: „თეატრი დღეს“. მოხსენების შემდეგ გაიმართება დისპუტი.

◆ „რღვევა“. რუსთაველის თეატრში დღეს რკინისგზის მუშებისათვის წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

◆ ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება ოპერა „სილვა“. დღით გაიმართება საოპერო წარმოდგენა ბავშვებისათვის.

◆ „ლიუბოვ იაროვაია“. მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „ლიუბოვ იაროვაია“.

◆ „ლატავრა“. ამ თვის ბოლო რიცხვებში ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ახალი ოპერა: „ლატავრა“.

◆ მუშათა ახალ კლუბში მუშათა თეატრის ქართული დრამა დადგამს: „ვინც ყველაზე სულელია“.

◆ კონსერვატორიის დარბაზში 21 თებერვალს გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

შემთხვევები

მგლები მცხეთაში

თბილისში მიღებული ცნობებით, გუშინწინ ნაშუადღევის 5 ნახ. საათზე, მცხეთიდან ნახევარი ვერსის დაშორებით, გამოჩნდა მგლების ხროვა.

მგლების მოახლოვება შეამჩნია თბილისში მომავალმა მილიციელმა, რომელმაც მგლები თოფის სროლით მოიგერია.

მგლების ხროვა თავს დაესხა აგრეთვე გლეხს ურთიაშვილს, მაგრამ მან მოასწრო ხეზე ასვლა. მგლებმა ამ დროს მოასწრეს ვირის შეჭმა.

დაჭრა

გუშინ, დღისით ალი ხალიმ - ოღლიმ კომუნალურ ქუჩაზე № 26 მდებარე სახაბეში, დანით დასჭრა მუსეიფ ალაქბერ - ოღლი (მცხ. კომუნალური ქ. № 22).

ხალიმ - ოღლი მილიციამ დააპატიმრა. დაჭრის მიზეზი ჯერ - ჯერობით გამოურკვეველია.

უეცარი სიკვდილი

გუშინ, დღისით, კომუნალურ ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა 80 წლის პ. კაპილსკაია (მცხ. მილიუტინის ქ. № 2).

მკვლელობა და დაჭრა

გუშინწინ ღამით შალვა ალმასხანის ძე ახალაძემ „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერით მოჰკლა თავისი სიძის მამიდა ალექსანდრა ათანის ასული თუხარელი.

ახალაძის მიერ გასროლილი ტყვიით მძიმედ დაიჭრა აგრეთვე მისი სიძის დედა ნინა იოსების ასული ნიკოლაიშვილი. ნიკოლაიშვილის ქალი გადაგზავნეს საავადმყოფოში.

მოკ. ახალაძე დაპატიმრებულია.

რადიო-გადაცემა

კვირა, 19 თებერვალი

დღეს, 19 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო - სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება::

პიონერთა გაზეთი რუსულ ენაზე და პიონერების გამოსვლა; საუბარი აგრონომიაზე— ქართულ ენაზე; აბრეშუმის თესლის დამზადების წესები — ქართულ ენაზე; მოხსენება: განამტკიცეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა— ქართულ ენაზე; საგლეხო სესხი და წითელი არმია — რუსულ ენაზე; რადიოს მოყვარულთა საზოგადოების მოხსენება მოკლე ტალღების შესახებ — რუსულ ენაზე; მალარია და მასთან ბრძოლა — სომხურ ენაზე; ტექნიკური კონსულტაცია; ობსერვატორიის ცნობები; პასუხები რადიოს მოყვარულთა წერილებზე; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ტრანსლიაცია მოსკოვიდან.

ორშაბათი, 20 თებერვალი

მოხსენება: როგორ ცხოვრობს და მუშაობს ქართული წითელი არმია — ქართულ ენაზე; ავიაქიმის მუშაობა წითელ არმიაში—ქართულ ენაზე; საერთაშორისო მდგომარეობა—რუსულ ენაზე; მოხსენება: განამტკიცეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა — სომხურ ენაზე; საუბარი რადიო - ტექნიკაზე — რუსულ ენაზე; კომკავშირის გაზეთი — რუსულ ენაზე; შემნახველი სალაროების მნიშვნელობა—რუსულ ენაზე; ოპერის ტრანსლიაცია; ობსერვატორიის ცნობები; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში ორშაბათს, 20 თებერვალს დილის 11 საათზე მოწვეულნი არიან: ამხ. კანდელაკი, გვაზავა, ბიბინეიშვილი და მეგრელიძე.

დღის 1-ლ საათზე კი მოწვეულნი არიან: რ.ს.ფ.ს.რ. სახელგამის, ამიერ-კავკ. საოლქო კომ. ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების, ტრანსპორტის, ამიერ-კავკ. სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოების „ზაკკნიგა“-ს, საქპროფსაბჭოს კულტგანყოფილების, მთავარ პოლიტგანის, თბილისის პოლიტგანის, შინაგან საქმეთა სახკომისარიატის, მეორე დივიზიის პოლიტგანის, თავდაცვა ავიაქიმის, სოფლისა და ქალაქის კავშირის და საქართველოს სახელგამის წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნულთა დაუგვიანებლივ გამოცხადება აუცილებელია.

ორშაბათს, 20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილების შენობაში (ოთახი 10) შესდგება საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბ. კომ. მიმღები კომისიის სხდომა, რომელსაც კომისიის წევრთა გარდა აუცილებლად უნდა დაესწროს შემდეგი ამხანაგები: მიხეილ იოსების ძე ფანჩიკალაშვილი; ისაკ გიორგის ძე მიქელაძე; ალექსანდრე გიორგის ძე ოქროპაშვილი; ზაქარია გიორგის ძე ჯიქურაძე; სერგო გიორგის ძე დავითაშვილი; იოსებ ფარსადანის ძე ხუმსაძე; გალაქტიონ ივანეს ძე კოდუა, ადამ ეფრემის ძე ვალიშვილი; ბესარიონ ლევანის ძე ბეგეშიძე; ბართლომე ივლიანეს ძე ფოცხერია; ალექსანდრე სერგოს ძე პანომარენკო; ელქსანდრე გიორგის ძე ებიაშვილი; თეოფანე იოსების ძე ჩიხლაძე, დიმიტრი ნიკოლოზის ძე ქვარია; რობერტ იაკობის ძე რაიზერი, პავლე სოლომონის ძე თაქთაქიშვილი. (მე-4-ე, რაიონი) ანასტასია გრიგოლის ასული კასიმსკაია, ნიკოლოზ ბესარიონის ძე სოსელია.

აგრეთვე უნდა გამოცხადდენ: გრასელდა მეჩიალავის ასული ზელიავცევა; (ამიერ-კავკ. ფინსახკომი) ბაშინჯაღიანი (ფინსახკომის კომპარტიის უჯრედის მდივანი); ნიკიფორე ქიშვარდის ძე ცინცაძე (ქართული მუშფაკი) და ახდლულაძე (ქართულ მუშფაკის კომპარტიის უჯრედის მდივანი).

სახ. უნივერსიტეტის პედაგ. ფაკულტ. არჩეული ახ. ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ 20 თებერვლიდან პირველ მარტამდე იწარმოებს წევრ-კანდიდატთა ხელახალი აღრიცხვა. ვინც აღნიშნულ ვადის განმავლობაში არ გამოცხადდება მექანიკურად გამოირიცხებიან უჯრედიდან.

საკ. კომ. პარ. (ბ) ამიერ-კავკ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს სახ. უნივერსიტეტის სტუდენტს ამხ. ანდრო ანდრიას ძე გულოვანს გამოცხადდეს საკ. კომპ. (ბ) ამიერ-კავკ. საკონტროლო კომისიაში.

საქართველოს ახ. ლ.კ.კ. თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ ორშაბათს, 20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება ამავე რაიკომის ეკონომიურ და საწარმოო თათბირის ფრაქციათა თათბირი. დღის წესრიგშია:

მოხსენება საწარმოო და ეკონომიური თათბირების მუშაობის შესახებ, ფეხსაცმელის, ფეიქართა და ამიერ-კავკ. სახ. ვაჭრობის კომისარიატის ფაბრიკების საწარმოო თათბირთა ანგარიში, მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ახ. ლ.კ.კ. იუწყება, რომ ორშაბათს, 20 თებერვალს, საღამოს 5 საათზე მე-14-ე შრომის სკოლის შენობაში (მახარაძის ქუჩა № 4) იხსნება უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის მოსამზადებელი კურსები.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ ორშაბათს. 20 თებერვალს, დილის 10 საათზე საქართველოს კომ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განყოფილებაში (ოთახი 9) ამხ. თარხნიშვილთან: ადოლფ მაიერი; ალექსი მარგიშვილი; იოსებ ბახტაძე; სერგო აოუთინოვი; ივანე იარაჯული; ლევან ელიას ძე კოდანოვი; სილივესტრო ივანეს ძე ხარჩილაძე; ვარლამ მიხეილის ძე ხუნდიაშვილი; გიორგი მიხეილის ძე მათიაშვილი; ლევან დიმიტრის ძე თაქთაიშვილი; გრიგოლ მიხეილის ძე ქორჩიაშვილი; ლევან ზაალის ძე შახკულაშვილი; პეტრე გალ. დოვლათბეგოვი; შიო სოლომონის ძე არაქელაშვილი; გიორგი გიორგის ძე ხალათიანი; არამ ადამის ძე ბადალიანი; არშაკ ალექსის ძე ტორჩიანცი; სარდიონ დიმიტრის ძე ხიზანაშვილი; ალექსანდრე თედორეს ძე ვოლკოვი; ვარლამ ბესარიონის ძე ჩიტაძე; ანდრო ვასილის ძე ტარაევი; ასატურ კარაპეტის ძე მაგლამიანი; ისაკ არტემის ძე ტომაზოვი; ტიგრან ბალდასარის ძე ხუციშვილი; გიორგი ნიკოლოზის ძე თავდიშვილი; სუმბათ შამირის ძე კოსტანდოვი; არტაშ თადეოსის ძე მურადოვი; ჰოვანეს ავეტის ძე ავაკოვი; [illegible]გო მიხეილის ძე დემიდოვი; იოსებ კონსტანტინეს ძე კიზირია; ლეონიდ ერასტის ძე დოლიძე; ერვანდ ფილიპეს ძე დავიდოვი; თედორე ზაალის ძე გოგია; ანეტა კალაძე, ბარბაბა მიქია; მიხეილ ნებიერიძე; ვიქტორ თოფურია; კონსტანტინე ელქსანდრეს ძე წერეთელი; მარია ნიკოლოზის ასული თოიძე; პლატონ სპირიდონის ძე გდემია, თამარა ცინცაძე.

ტერეზი ნიკოლოზის ასული კახიანისა ბავშვებით სოფლე და ზაალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ მეუღლის და მამის.

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას.

ცხედრის გამოსვენება სახლიდან (ყაზბეგის ქ. № 41) უნივერსიტეტის მთავარ შენობაში შაბათს 18 თებერვალს საღამოს 5 საათზე. საქალაქო პანაშვიდი უნივერსიტეტის მთავარ შენობაში 18 თებერვალს საღამოს 6 საათზე და კვირას 19 თებერვალს დღის 12 საათ. გამოსვენება იქიდანვე 19 თებერვალს დღის 1 საათზე დიდუბის პანთეონში. ნ. 630 3—3

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 15 თებერვალს, ღამის 9 საათსა და 20 წუთზე ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანი ნ. 620 4—4

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იუწყება, რომ 15 თებერვალს გარდაიცვალა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მეცნიერული საბჭოს წევრი, სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანი

ნ. 631 2—2

სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყება სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას. 1492

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს რკინის გზის ტრანსპორტის მუშაკთ, თბილისის რკინის გზის საავადმყოფოს პროფ. ქირურგის, მუშათა კლასის ჯანმრთელობის დაუღალავი მეგობრის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 19 თებერვალს დღის 1-ლ საათზე. დიდუბის პანთეონში. 1496 2—2

ა.-კ. რკინის გზის ჯანმრთელობის სამმართველო, რკინის გზის საავადმყოფო, ტუბდისპანსერი, რკინის გზის ცენტრალური ამბულატორია და პროფილაქტიური დაწესებულებანი რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველოსი ღრმა მწუხარებით აცხადებენ საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილების გამგის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ დაკარგვას. ცხედრის გამოსვენება 19 თებერვალს 1928 წ. დღის 1 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობიდან. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. (ე)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 15 თებერვალს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანი

ნ. 632 2—2

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი იუწყება ქირურგიულ პროპედევტიულ კლინიკის დირექტორის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას ნ. 633 3—3

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანატი მწუხარებით იუწყება სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება სახლიდან (ყაზბეგის ქ. № 41) უნივერსიტეტის მთავარ შენობაში შაბათს, 18 თებერვალს, საღამოს 5 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი უნივერსიტეტის მთავარ შენობაში 18 თებერვალს, საღამოს 6 საათზე და კვირას, 19 თებერ. დღის 12 საათ. გამოსვენება იქიდანვე 19 თებერვალს, დღის 1 საათზე, დიდუბის პანთეონში. ნ. 634 3—3

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პროფესორები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას ამხანაგის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 635 3—3

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმი უღრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 15 თებერვალს უდროოდ გარდაიცვალა უნივერსიტეტის პროფესორი— დოსტაქარი, საყვარელი მასწავლებელი და იშვიათი ადამიანი

ნიკოლოზ კახიანი

ცხედრის გამოსვენება სახლიდან (ყაზბეგის ქ. № 41) უნივერსიტეტის მთავარ შენობაში შაბათს, 18 თებერვალს, საღამოს 5 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი უნივერსიტეტის მთავარ შენობაში 18 თებერვალს, საღამოს 6 საათზე და კვირას 19 თებერ. 1488 2—2

თავზარდაცემული პროპედევტიულ ქირურგიულ კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან საყვარელ ხელმძღვანელის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ დაკარგვას. ნ. 636 3—3

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა კლინიკები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას პროპედევტიული ქირურგიული კლინიკის პროფესორის

ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

გარდაცვალებას. ნ. 644

სახ. უნივერსიტეტის ფსიქიატრიის კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება სახელოვან დოსტაქარის,

პროფ. ნიკოლოზ კახიანის

უდროოდ გამოსალმებას. 1538

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკა გლოვით აუწყებს საზოგადოებას ბრწყინვალე მასწავლებლის, უბადლო ამხანაგის, იშვიათი ადამიანის და ცნობილი დასტაქარის

პროფ. ნიკოლოზ კახიანის

გარდაცვალებას. ნ. 638

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეანო კლინიკის თანამშრომლები გულითადის მწუხარებით აცხადებენ უსაყვარლესი ამხანაგის და საუცხოვო ადამიანის

პროფ. ნიკოლოზ კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას. 1457 2—2

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება

პროფ. ნიკოლოზ კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას. 1516

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის თერაპევტიული კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 15 თებერვალს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანი

(ე)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კანისა და ვენერიულ სნეულებათა კლინიკა და ქალაქის მე-3 საავადმყოფო უღრმეს მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას. 1526

სახელმწიფო უნივერსიტეტის დიაგნოსტიური კლინიკა უღრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას იშვიათი ადამიანის, ძვირფასი მეგობრისა და ცნობილი დასტაქარის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ დაკარგვას. 1518

თბილისის უბნის რკინის გზელთა პროფკავშირი მწუხარებით აუწყებს თბილისის უბნის რკინის გზელთა კავშირის წევრებს რკ. გზ. მთავარ საავადმყოფოს ხირურგის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას 19 თებერვალს დღის 1-ლ საათზე—ქალ. ტფილისში დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში 1530

მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას სექციის წევრის,

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძის
კახიანის

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება სახლიდან (ყაზბეგის ქ. № 41, უნივერსიტეტის მთავარ შენობაში შაბათს, 18 თებერვალს, საღამოს 5 საათზე. გამოსვენება იქიდანვე 19 თებერვალს, დღის 1 საათზე დიდუბის პანთეონში. ნ. 639 2—2

თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ახლად კურს დამთავრებული ექიმები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი მასწავლებლის, შეუდარებელ ადამიანის და დაუფასებელი აღმზრდელის ქირურგიის პროფესორის

ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას 1—1 (შ)

კამოს სახელობის საავადმყოფო მწუხარებით აღნიშნავს საქართველოს უნივერსიტეტის [illegible] დოსტაქარის

პროფესორ ნიკოლოზ
კახიანის

უდროოდ დაკარგვას.

საქართველოს ჯანსახკომის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება სახელმწიფო უნივერსიტეტის პროპედევტიულ-ქირურგიულ კლინიკის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ დაკარგვას. 1404

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი იუწყება

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 641

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი მწუხარებით იუწყება

პროფ. ნიკოლოზ კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას. 1515

თბილისის რკინის გზის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან შეუდარებელ პროფესორის და განყოფილების გამგის

ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ დაკარგვას. (ე)

ქალაქ ჯან. განყ. ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეები უღრმესი მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 15 თებერვალს, ღამის 9 საათ. 20 წუთზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი ადამიანი, უძვირფასესი თანამშრომელი და ინსტიტუტის კონსულტანტი სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანი 1476 3—3

თბილისის ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება დიდათ მგლოვიარეა საზოგადოების წევრის, უანგარო ადამიანის

პროფ. ნიკოლოზ კახიანის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 1527

სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მუშაკთა კავშირის გაერთიანებული ადგილობრივი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება თავის წევრის იშვიათ ადამიანის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას. 1527

პედაგოგიური პერსონალი ნორმალური ანატომიისა, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ჰისტოლოგიის კათედრებისა მწუხარებით იუწყება, რომ უდროოდ გარდაიცვალა ტოპოგრაფიული ანატომიის და ჰისტოლოგიის კათედრების პირველი მასწავლებელი

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანი

1525

თბ. მე-9 შრომის სკოლისა და პედაგოგიური კურსების მასწავლებლები, მოწაფეები და ტექნიკური პერსონალი უერთებენ თავიანთ მწუხარებას ქართველ საზოგადოების გლოვას ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის თავდადებულ მოღვაწის

პროფ. ნ. ს. კახიანის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 1535

ვარციხის სახალხო მამულის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ხალხის ერთგულ

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

გარდაცვალების გამო. ნ. 644

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთა მედსანშრომის პროფსექცია განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 15 თებერვალს, უდროოთ გარდაიცვალა უნივერსიტეტის პროფესორი-დასტაქარი, საყვარელი მასწავლებელი და იშვიათი ადამიანი

პროფ. ნიკოლოზ კახიანი

გამოსვენება დღეს, შუადღის 1 საათზე, დაკრძალვა მოხდება დიდუბის პანთეონში. 1524

ალისა პეტრეს ასული და ექიმი გრიშა კახიძე შვილით ნოდარით გამოუთქმელი მწუხარებით იუწყებიან უძვირფასეს საყვარელ ბიძის და შეუდარებელი მასწავლებლის და ადამიანის

კოლია კახიანის

უდროოდ დაკარგვას. 1518

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ამა წელს 15 თებერვალს, 9 საათზე და 20 წ. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა საყვარელი და იშვიათი მასწავლებელი

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანი

რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს, კვირას, 19 თებერვალს, დღის 1 საათზე ქართველ მოღვაწეთა პანთეონში — დიდუბე. 497

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით იუწყება სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. ნიკოლოზ კახიანის

უდროოდ დაკარგვას. 1477

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტობა დასტირის ძვირფასი მასწავლებლის, შეუდარებელი დოსტაქრის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

დაკარგვას და აუწყებს საზოგადოებას, რომ გამოსვენება მოხდება დღეს, კვირას, 19 თებერვალს, დღის პირველ საათზე უნივერსიტეტის მთავარ შენობიდან. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 1520

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-4 კურსის თავზარდაცემული სტუდენტობა გლოვობს და თავს დასტირის უდროოდ დაკარგულ საყვარელ მასწავლებელს

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანს

რომლის გამოსვენება მოხდება დღეს, 1 საათზე, უნივერსიტეტის მთავარ შენობიდან. 1512

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტობა აუწყებს საზოგადოებას, რომ უდროოდ გამოესალმა სიცოცხლეს მათთვის უძვირფასესი მასწავლებელი, შეუდარებელი ხელმძღვანელი და იშვიათი ადამიანი

პროფ. ნიკოლოზ კახიანი

გამოსვენება უნივერსიტეტიდან ნაშუადღევის 1 საათზე, 19 თებერვალს, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 1522

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტობა განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი უსაყვარლეს მასწავლებლის პროფესორის

ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ გარდაცვალებას. 1458

დაობლებული ორდინატორები მ. ტყავაძე, ა. ოსიძე, ს. ჩახუნაშვილი და ე. ფიფია აუწყებენ საზოგადოებას დიდი მასწავლებლის და მეგობრის

პროფ. ნიკოლოზ კახიანის

უეცარ გარდაცვალებას. გამოსვენება სახ. უნივერსიტ. დღეს, 1 საათზე, დაკრძალვა ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. 1531

საყვარელი მასწავლებლის მოულოდნელი სიკვდილით თავზარდაცემული მოწაფეები ექიმები: ქ. ერისთავი, ე. ზაქარაია, ნ. დემეტრაძე, დ. იოსელიანი, ზ. ალასოვი, მ. ტყავაძე, ა. ოსიძე, ს. ჩახუნაშვილი, ე. ფიფია, ნ. ჯაფარიძე, მ. მოსიძე, გ. კახიძე, შ. თავხელიძე, გ. მჟავანაძე, ნ. ტურავეროვა, ი. ბურჯანაძე, დ. ასათიანი, შ. თაქთაქიშვილი, პ. ქაჯაია, მ. უკლებაშვილი, გ. კაბისოვი და დ. გედევანიშვილი აუწყებენ საზოგადოებას ქირურგი—ბუმბერაზის

პროფ. ნიკოლოზ კახიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება სახ. უნივ.-დან დღეს, 1 საათზე, დაკრძალვა ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. 1531

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოპერატიული ქირურგიის კათედრის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან საყვარელ ხელმძღვანელის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ დაკარგვას. ნ. 637 3—3

ბაღდათის რაიონში მომუშავე საექიმო პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყება, სოფ. ბაღდათის სიამაყის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

გარდაცვალებას. ნ.

დ. ბაღდადიდან—სახელმწიფო უნივერსიტეტში მყოფი სტუდენთა ჯგუფი: გორგოძე პარმენ, ჯანელიძე გრიშა, მინაძე გოგი, ქარაბაკი ალ., კვირიკაძე გურია, თოლორდავა გრიშა, ნერგაძე შალვა, ფურცელაძე გრიგოლ, ფოჩხიძე ნაუმი, ზიბზიბაძე კოლია, ადამია ვანიჩკა, გოგსაძე მინა, ენდელაძე ლევან, ენდელაძე შალვა, ჯიხვაძე ევგენი, თავხელიძე ნიკოლოზ, ზირაქაძე ნაუმი, თავხელიძე ივანე, დევიძე კოწია, ქარაბაკი აკაკი და მეფარიშვილი კალ. უდიდეს მწუხარებას გამოვსთქვამთ ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის, იშვიათი ადამიანის და ცნობილი დოსტაქრის— სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფ. ნიკოლოზ სავლეს-ძე
კახიანის

უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება სახ. უნ. მთავარ შენობიდან კვირას, 19 თებერვალს, დღის 1 საათზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 1498

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: დედა და ძმა ვლადიმერი, დები: ნინა, ელენა, კატო, ნადია და სიძეები: ვლადიმერ კიკნაძე და ნიკოლოზ დემეტრაძე შვილებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ საყვარელ და ძვირფასს

კოლია კახიანის

უდროოდ დაკარგვას. 1519

ღრმად დამწუხრებულნი დედა ელისაბედ კლაცმანი, და თამარა ივანეს ასული ადაძიძე, სიძე ლადო სუხიშვილი ბავშვებითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ამხანაგებს პირველის შვილის, მეორესი დის და უკანასკნელის ცოლის დის ძვირფას

დარიკოს

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 21 თებერვალს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 4 საათზე პეტროგრადის ქუჩიდან № 1 2—1 ნ.

ღრმათ დამწუხრებულნი: ქმარი ვოლოდია (ვლადიმერ), დედა ალათი, ძმა სოლომონ, რძალი მარუსია თენიეშვილები, სიძე ილიკო ჭანუყვაძე ცოლით მაშიკოთი და შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს: პირველი საყვარელი ცოლის, დანარჩენები საყვარელი რძლის და ბიცოლის

დარიკო ივანეს ასულის
თენიეშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე, სამშაბათს, 21 თებერვალს, გამოსვენება საკუთარ ბინიდან ლენინგრადის ქ. № 1 (ყოფ. პეტროგრადის), დღის სრულ 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათიდან. ნ. 640 3—2

ღრმათ დამწუხრებულნი და ძმა, სიძე ისაკი, შვილები: ვანო, ქენია და ბორია არუთინოვები, და კატუშა, სიძე ვანო შვილებით— ჟორა და ვოვა მაგალიანცები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თებერვლის 17-ს, გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

დარიკო (დარია) ივანეს ასული
თენიეშვილისა

დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე სამშაბათს, 21 თებერვალს, გამოსვენება საკუთარ ბინიდან ლენინგრადის ქ. № 1 (ყოფ. პეტროგრადისა) დღის სრულ 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე. (ე)

თბილისის ქალაქის ლომბარდის, მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ლომბარდის გამგის მეუღლის და უსაყვარლესი ამხანაგის

დარიკო ივანეს ასულის
თენიეშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ლენინგრადის ქუჩიდან № 1, დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 21 თებერვალს, კუკიის სასაფლაოზე. ნ. 646

ამიერ-კავკასიის რკინის გზ. ექსპლოატაციის დარგის სამსახურის [illegible] წილი და მატარებელთა რევიზორები იუწყებიან

ანდრო ფეოდორ[illegible]
პლოტნიკოვის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება კვირას, 4 საათზე, საშემოსავლო დარგის წითელ კუთხეში (საბჭოთა ქ. № 70). დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, ორშაბათს, 20 თებერვალს. (ე)

---

17 თებერვალს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

აქსენტი გიორგის-ძე
აბესაძე

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებული შვილები: შალვა, ქეთევანი, ევგენია, არჩილი და გიორგი. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე კვირას, 19 თებერვალს, ქაშვეთის ეკლესიაში წირვის შემდეგ. 1513

ყოფილი მოწაფეები: გელაძე-მინდიაშვილისა, გურგენიშვილი-ხოშასურიძისა, დათიკაშვილი-ვარძელაშვილისა, დიმიტრაშვილი-რუსტამოვისა, კენჭაძე-ხახანოვისა და ოქროპირიძე-იარალოვისა მწუხარებით იუწყებიან, რომ 14 თებერვალს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი (ყოფილი ქართველ ქალთა ამხანაგობის სასწავლებლის) მასწავლებელი

მარიამ ლუარსაბის ასული
ნემსაძისა

გამოსვენება კვირას, 19 თებერვალს, შუადღის 12 საათზე. იაზონოვის ქ. № 9. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1511

ღრმად დამწუხრებულნი: სვიმონ ილიას-ძე მაჩაბელი შვილებით: კონსტანტინე, ვახტანგი, ეკატერინე და ბარბარე, რძალი მარიამ, სიძეები: ივანე ფალავანდიშვილი და სიმონ ხეთაგური აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ორშაბასს, 20 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, ვერის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ პირველის მეუღლის და დანარჩენების დედის

ანასტასია ალექსანდრეს ასულის
მაჩაბლისა

1532

ღრმად დამწუხრებულნი აკაკი და ვერა ვახტაკაძენი შვილებით: ვახტანგით და კონსტანტინეთი, ქსენია, კლიმენტი და თომნა თავის ქმრით დიანოზ კალმახელიძით, იულიანა და ნადია ქმრით ილიკო ტომარიძით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ დღეს, 19 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე კუკიის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება დაუვიწყარი უდროოთ დაკარგული ბიძის

სევერიან სიმონის-ძის
ვახტაკაძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი. 1514

სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები

წითელი არმიის ათი წლისთავისათვის სახელგამის ყველა მაღაზიებში

სამხედრო ბიბლიოთეკის

წიგნები იყიდება

50% ფასდაკლებით

ნ. 429
25—11

სახელმწიფო ოპერა

ნ. 628

ორშაბათს 27 თებერვალს და ორშაბათს 5 მარტს

სრულიად სხვადასხვა პროგრამით

ბოშურ რომანსების და სიმღერების ცნობილ შემსრულებლის მოსკოველ მომღერალის

თამარ წერეთლის

ბოშურ სიმღერების

ორი დიდი კონცერტი

ლენინგრადის სახელმწიფო აკადემიურ კონსერვატორიის ლაურეატის მ. ფაინბეტის და პოპულიარულ პიანისტ კომპოზიტორის ბ. ა. პროზოროვსკის მონაწილეობით. ბილეთების გათამაშება ხდება ყველა დაწესებულებებში და წარმოებებში. ნ. 643

აპოლო სოლეი პროლეტარი (ავლაბარში) არფასტო დარბაზი ოდეონ	სახელმწიფო კინოთეატრები

დადგმის უკანასკნელი დღე

„ქალი ბაზრობიდან“

ორშაბათიდან: აპოლო „ბედნიერი სიკვდილი“
სოლეი „ბ ე დ ი ა ნ ი“
პროლეტარი „როცა მტრები ილვიძებენ“

პრემიერა **მოჯადოებული კუნძული**

ორშაბათიდან დადგმის მეორე კვირა

„სპიდ“ 1 და 2 სერია
ორშაბათიდან 3 და 4 სერია

რა საჭიროა ცოლის გამოცვლა

ორშაბათიდან „მ ო ნ ა ს ტ რ ი ს კ ე დ ე ლ ს ი ქ ი თ“

ანონსი მალე გრანდიოზული ფილმი „დ რ ა მ ა პ ო მ ე რ ი ს ც ი რ კ შ ი“ 0—15

ცირკი „კოლოს“
ტელეფ. № 8—64

ხუთშაბათს 16, პარასკევს 17, შაბათს 18, და კვირას 19 თებერვ. გრანდიოზული სანახაობანი საქვეყნოდ სახელგანთქმულ ცხოველთა მწვრთნელის

ა. ა. დუროვის და მისი ოთხფეხა მსახიობების გამოსვლა

პირველად! გაწვრთნილი ვირთხები მცურავნი
კატა —ვირთხები მეზავრები

პირველად! ცოცხალი კარუსელი! პირველად! გაწვრთნილი პელიკანები, გაფრენა ცირკის მთელს სივრცეზე და სხვ. №№ ამერ. გაუტები. ძმ არდანები. 5 პოლდი და სხვ.

კვირას 19 თებერვალს დღისით სანახაობა საღამოს სრული პროგრამით. დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე მონაწილ. ა. ა. დუროვი და მისი ცხოველები.

ნ. 613 4—1

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რეჟის. კ. გროდზიცკი. ადმინისტრატორი მ. ტადე.



ხვალ ორშაბათიდან 20 თებერვლიდან კინო-თეატრებში

აპოლო
სეზონის საუკეთესო კომედია
ბედნიერი სიკვდილი
მთავარ როლებში
ნიკოლოზ რიმსკი
და
სიუზანა ბლანკეტი

არფასტო
დადგმის მეორე კვირა
მოჯადოებული კუნძული
ეოველდდე ანშლაგები

მალე გრანდიოზული სურათი თხვისი დხდგმით „დრამა პომერის ცირკში“

ნ. 648

მალე
ვრანდიოზული
სურათი

დრამა პომერის ცირკში

ნ. 647 თვალყური ადევნეთ რეკლამას

განათლების კომისარიატში

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

ახალი ჯგუფისათვის მიღება სწარმოებს მდივანთან ხელოსანთა კლუბში, პლეხანოვის პრ. № 66, ან კურსების გამგე იოვანე ზაქარიასძე ტერ-სტეფანოვთან, ბოჭორიშვილის (1-ლი თუმანოვის) ქ. № 13. 1509

ა. წ. თებერვლის 22, დღის 12 საათზე

ალმასკომის 1-ლ საბჭოთა სასტუმრო „პალასი“-ს კანტორაში, პუშკინის ქ. № 4 დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

საჯარო შეჯიბრებითი ვაჭრობა

რომელზედაც გაიყიდება როიალი (შესაკეთებელი და მოსაწყობი) მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ცნობები ხსენებულ კანტორაში 1537

ამით ცხადდება, რომ ა. წ. 26 თებერვალს დღის 1 საათ.

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

სამსართულიანი სახლი, ძდებარე კომუნალურ ქუჩ ზე № 53 (ყოფ. ვორონცოვის ქ. ძე-5 კომ. სამ.) სახლი შეიცავს 39 საცხოვრებელ ოთახს ვაჭრობა დაიწყება 10 000 მანეთიდან ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე აჭარვაჭრობის მაღაზიაში, ბნელი რიგი № 41

2—1 1541 **აჭარვაჭრობის გამგეობა**

ხონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

პ. ბ. ერისთავი

ამით აცხადებს, რომ მის მიერ 28 თებერვალს 1928 წლ. დღის 12 საათზე ქალ. ხონში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა:** გაიყიდება მოქ. ერმილე ნესტორის ძე მუშკუდიანის ქონება, სახელდობრ: ერთი საცხოვრებელი აგურის სახლი, ხუთი განყოფილებით, კრამიტით დახურული, წინ აივნით, ზევით და ქვევით ჭერით და იატაკით, აღნიშნული ქონება შეფასებულია 400 მანეთად და იყიდება თედორე ბალავაძის და გიორგი უგრეხელიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა, ხონის უბნის სახ. სასამ. 24 დეკემბრის 1927 წლ. № 3489, ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. ვაჭრობა იწყება შეფასებულ თანხიდან: ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დროს და აგრეთვე საწინდარი 10 პრ.

ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ქ. ოგანეზოვი

ამით აცხადებს, რომ ის 23 თებერვალს 1928 წ. დილის 11 საათზე ლენინის ქუჩა ვერის ბაზარში და იმავე დღეს—დღის 1 საათზე ლომინაძის შეს. სახლში № 6 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი იხტიაროვის მოძრავ ქონებას: 1 მისი დუქანში (ვერის ბაზარში) ერთ სასწორს—15 კგ., 60 გირვ. ჩანახის ყველს, 13 გირვ. ერბოს და სამი ბოჩკას შეფასებულს 75 მანეთად და 2. მისი ბინაზე (ლომინაძის შეს. სახლში № 6) ტანისამოსის შკაფს, გასაშლელ მაგიდას, სარკეს, ფაბრიკულ ხალიჩას კედლისა და სხვ. შეფასებულს 189 მან. 95 კაპ. ალექსანდრა და ნიკოლოზ რაევების ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოსაგან 9 თებერვალს 1926 წ. № 479 და 1927 წ. 23 ნოემბერს № 1551 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. 1536

ქ. თბილისის 1-ლ რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი

გ. გ. ბარუტჩევი

ამით აცხადებს, რომ ის 22 თებერვალს 1928 წლ. დღის 1-ლ საათზე, სახლში № 4 არკადიევის ჩიხში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის შალვა ჩხაიძის მოძრავ ქონებას: გარდეროფის შკაფს, ბუფეტს, სასადილო მაგიდას, ხავერდის სუფრას და რკინის კრავოტს, შეფასებულს 260 მანეთად, გეორგ გალუსტოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-4 სახ. სანოტარო კანტორის აღსრულების წარწერისა 8 დეკემბრის 1927 წლ., № 4487. 1523

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს სამხედრო აკადემიაში. უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენა და არითმეტიკის გაკვეთილები თვითგანვით. პლეხანოვის ქუჩა № 45. მიღება 9—12 2—6 ს. 1521 1—1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება: 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღის) ქუჩა № 11, ტელ. 4—82

კბილის ექიმი

დავით სავლეს ძე რიქინაშვილი

კბილების და პირის სნეულება, ლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთველის და ლენინის მოედანის კუთხე.

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78 13—1

ექიმი **მეგრაბიანცი**

ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონტოფორეზა პია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ 6—8 საათზე.

ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

ექიმი

ნ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანნები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—4

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი ამლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ საღამოს 5—8 საათ.

დილის 11—1 საათ.

სპეციალურად სიფილისით ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს. საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქუჩა (ყოფ. კირკის) კუთხე. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, მესამალი კუთხიდან იარიყალის ქ. № 1.) 25—1

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროს. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კ ა მ ო ს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.) 25—1

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისხლი, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—1

დაიკარგა ტ. ს. უნივერსიტეტის მიერ მოცემული სალექციო წიგნაკი № 2116 | 1627 ლევან გაჩეჩილაძის სახელზე, ჩ. გ. 1542

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბილეთი გაცემული თბილისის მაზ. სამხ. კომისარიატის მიერ დ. კოპლატაძეს სახელზე, ჩ. გ. 1533

დაიკარგა: ა. ლ. კ. კავშირის წევრობის მანდატი № 51690, მიღებული გურიის ორგანიზაციიდგან გიორგი სარიშვილის სახელზე. ჩ. გ. ნ. 642

დაიკარგა: სამხედრო წიგნაკი მიღებული ოზურგეთის სამხედრო მაგიდისაგან ერმილე ივლიანესძე სალუქვაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 642

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 1762 ივლიტა ელიზბარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1597

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ფორმა № 4 გაცემული მე-2 სამილიციო უბნის სამხედრო მაგიდის მიერ ტარიელ ივანესძე კილურაძის სახელზე, ჩ. გ. 1508

დაიკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 6195 თამარა ქავთარაძის სახელზე ჩ. გ. 1517

დაიკარგა: პარტიული ბილეთი № 0857883 გიორგი დავითისძე ყუფუნაშვილის სახელზე, ჩ. გ.